კულტურა, ისტორია, სპორტი და სხვა

„დილა ამ გაზეთის გადაშლით დაიწყეთ...“ ჯუანი ვალერ

სნსკ
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

# საქართველოს რესპუბლიკა

შპს „საქართველოს რკინიგზა“
The Georgian Railway Ltd

ორშაბათი
31 მარტი,
2003 წელი
№84
(4463)

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. ფასი 50 თეთრი.

## ოპერაცია „თავისუფალი ერაყი“: დღე მეთერთმეტე

მოკავშირეთა წარმომადგენელმა, კაპიტანმა ალ ლოკვუდმა განაცხადა, რომ კოალიციის ჯარის ნაწილებმა ბასრის მისადგომებთან დაატყვევეს ერაყელი გენერალი. მე არ ვიცი, რომელი ქვედანაყოფიდანაა იგი. მხოლოდ ის ვიცი, რომ გენერალი შევიპყარით, თქვა მან.

ბაღდადში განადგურებულია Fedayeeb გასამხედროებული ორგანიზაციის მთავარი სასწავლო ბაზა. გარდა ამისა, ამერიკელი სამხედრო მეთაურების თქმით, შაბათსა და კვირას დაბომბვების შედეგად განადგურებულია სადამ ჰუსეინის ერთ-ერთი სასახლე, კარადის სადაზვერვო კომპლექსის ორი ობიექტი და რამდენიმე საზენიტო დანადგარი.

## თვალსაწიერი

## მითხარი, რომელი პარტიის სიაში ხარ და გეტყვი, ვინა ხარ შენ!

**მთელი ცხოვრება ისე გავატარეთ, ერთფეროვნებისგან ნამთქნარები ყბები დღესაც გვტკივა. ერთფეროვნებისა და... სტაბილურობისაგან, როცა წინდაწინ ვიცოდით, რა მოხდებოდა ხვალ, ზეგ და 10 წლის შემდეგ. მაგრამ ისეთი არაერთფეროვნება და „სიხალისე“, რაც დღეს არის, მტრისას!**

**ხვალ და ათი წლის შემდეგ კი არა, ამ საღამოს ვის რა ბუზანკალი დააჯდება, ვინ სად ააგრიალებს ტანკებს და საით დაიძრება სალაშქროდ, არ იცი.**

აი, იმ დღესაც, 24 მარტს, გვეძინა ამ „მასოვკა“ ხალხს გულისძილით, სიზმრად „ეი-ი-ეს თელასის“ პირველი ლობის თვითკმაყოფილ სახეს ვხედავდით და ამ დროს თურზე ისანში, ყოფილი მე-11 ბრიგადის სანახებში (საიდანაც თავის დროზე ვალტერ შურღაიამ შეუტია თბილისს და მერე თოვლზე მუხლუხების კვალს მიყოლილმა გელა ლანჩავამ ტელერადიოკომიტეტთან მიაკვლია), თავის დაკარგულ ტანკებს, დიდი ამბები ხდებოდა.

თურმე იქ შეჭრილ გვარდიის ვეტერანებს ტანკები დაუთრევიათ, ზედ ამხედრებულან, ავტომატებიც აუსხამთ და...

არა, არავითარი იმის მსგავსი! საწყალმა ბიჭებმა თურმე კბილებამდე იარაღი იმიტომ აისხეს (რაც საქმეში ჩაუხედავ ხალხს შეიძლება სამხედრო ამბოხი, ან სხვა, უარესი რამ ჰგონებოდა), რომ „მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში არიან“.

არადა, სამთარდალამცავებს რომ ჰკითხო, ვეტერანების იმდღევანდელი „ცელქობა“ რაღაც უფრო სხვას გაფიქრებინებს, რაღაც შეთქმულების სუნი ასდის, რაღაც ეჭვების საფუძველი იკვეთებაო.

ერთი სიტყვით, არის ვარაუდი, რომ 24 მარტის „ინციდენტი“ წყალში ჩაგდებული კენჭია, რომელიც სულ უფრო და უფრო ფართო წრეებს იკეთებს...

ერთადერთი იმედი ეს არის: ჩვენი შეთქმულ-მეამბოხენი (ეს პირობითად, თორემ ოფიციალურად სწორი იქნებოდა, გვეთქვა, ჩვენი „შიმშილის გამო ახმაურებული ბიჭებიო“) იმდენად არაპროფესიულად და უჭკუოდ გეგმავენ ხოლმე ასეთ ტანკიან-ავტომატიან აქციებს, მადლობა ღმერთს, დაწყება და დამთავრება ერთია ხოლმე. მერე კი ატყდება ალიაქოთი მათს გასამრთლებლად და გარეთ გამოსაყრელად: „ბიჭები“ ცოდვააო, ასე არ ფიქრობდნენ, ისე ფიქრობდნენო და ა. შ.

იხ. მე-2 გვ.



## ციტატა

## ჯაშუშომანია ბაღდადში

„პირველი ეჭვმიტანილები ჩვენ, უცხოელი ჟურნალისტები, გავხდით. ყველა აქაურს დღეს ოთხი თვალი და ოთხი ყური აქვს და ისრუტავს ნანახსა და გაგონილს. ძალიან იოლად შეგრაცხავენ ამერიკელ ჯაშუშად: საკმარისია მხოლოდ ერთხელ დაგირეკონ ერაყიდან გაძევებული CNN-იდან. ასე დაემართა ჩემს მეგობარს, ხორვატ ჟურნალისტს რობერტს. ის-ის იყო ტელეფონით გადასცა, რა ხდებოდა ბაღდადში, რომ კარზე დაგვიკაკუნეს ზრდილობიანმა, მაგრამ შეუვალმა კაცებმა. დიდების სამი წუთი პირდაპირ ეთერში და — გარდუვალი სასჯელი: ჩვენ მათ განგვიცხადეს, რომ ვალდებული ვართ დაუყოვნებლივ დავტოვოთ ბაღდადი ოფიციალური პირების თანხლებით. ეს იყო ღამით, ძლიერი დაბომბვის დროს.

**დარია ასლამოვა,**
„კომსომოლსკაია პრავდას“
სპეც. კორ. („კპ“ №54).

ერაყის ინფორმაციის სამინისტრო პრაქტიკულად მთლიანად განადგურებულია. დამკვირვებელთა აზრით, გამორიცხული არ არის, რომ სარაკეტო დარტყმის ობიექტი გახდეს კატარის ტელეკომპანია „ალ-ჯაზირას“ კორპუნქტიც, რომლის ერაყული გადაცემებიც ვაშინგტონს განსაკუთრებით აღიზიანებს.

ერაყის ვიცე-პრეზიდენტმა ტახა ი[redacted] განაცხადა, რომ ქ[redacted]რიდან, ლიბანიდ[redacted] ეგვიპტიდან, სი-რ[redacted]დის არაბეთიდან ჩ[redacted]ასი თვითმკვლე-ლ[redacted]ინი აგრესორთა წ[redacted]რძოლველად სა-ჭ[redacted]ღობას მიიღებენ.

[redacted]გენერალმა სტე-ნ[redacted]მა ბრიფინგზე გა-ნ[redacted]მერიკელი ჯარი-ს[redacted]ეფექტურობით იბ-რ[redacted]კის რაკეტის გა-მ[redacted]ანობა 99 პრო-ც[redacted]ბიან მოსახლეო-ბ[redacted]ა რაოდენობა კი ძ[redacted]დებულია.

## გამოხმაურება „ვაზის გზის“ გამო

## დიდი „ვაზის გზა“ საქართველოდან იწყება

**როდესაც გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 13 მარტის ნომერში დაბეჭდილი საქართველოს პრეზიდენტის, ბატონ ედუარდ შევარდნაძის ნარკვევი: — „ვაზის გზა“ წავიკითხე, არ დავმალავ, გაოცება, სიამაყის გრძნობა დამეუფლა, ეს სახელმწიფო პროგრამაა!**

**კარგად მოგეხსენებათ, როგორ გამოიყენა ბატონმა ედუარდმა ისტორიული აბრეშუმის (ტრანსკონტინენტური სავაჭრო-საქარავნო) დიდი გზის არსებობა, რომელიც საქართველოს (შავი ზღვის) გავლით, ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებს დიდ ჩინეთთან აკავშირებდა, და რომელსაც დასაბამი ძვ. წ. აღ. II საუკუნეში მიეცა. როგორ მოახდინა ამ გზის საქართველოსთვის რეაბილიტირება, როდესაც წამოაყენა ბაქო-ჯეიჰანის პროექტი, რომლის განხორციელება დღეს უკვე რეალობაა და ეს გზა საქართველოს ეკონომიკისათვის სასიცოცხლო გზად იქცა.**

იხ. მე-3 გვ.

## მიმოხილვა

## როგორ აღმოჩნდნენ ერაყის ომის ფონზე კრიტიკის ობიექტად რუსეთი, საქართველო და გადახვეწილი ბიზნესმენი მეცენატები

იხ. მე-3 გვ.



## ინტერპანორამა



ბაღდადმა ომის მანძილზე ყველაზე ძლიერი დაბომბვა განიცადა. ქალაქში დიდი ხანძრები და ნგრევაა. იტყობინებიან, რომ 4-5-სართულიანი მრავალბინიანი ნაგებობების გვერდით აგრეთვე განლაგებულია ბაასის მმართველი პარტიისა და სადამ ჰუსეინის ადმინისტრაციის ობიექტები.



პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ბაღდადის აღების ბრძანება გასცა. მან „სამხედრო საბჭოს“ სხდომაზე, რომელშიც მისი ადმინისტრაციის საკვანძო თანამდებობის პირები მონაწილეობდნენ, მხარი დაუჭირა თავდაცვის მინისტრის დონალდ რამსფელდის პოზიციას, რომელიც დაჟინებით მოითხოვს ბაღდადის სწრაფად აღებას.

ქვეყანა
საქართველოს რესპუბლიკა
№ 84, ორშაბათი, 31 მარტი, 2003 წელი.

## თვალსაწიერი

(პირველი გვერდიდან)

# მითხარი, რომელი პარტიის სიაში ხარ და გეტყვი, ვინა ხარ შენ!

ალბათ, ხელისუფლებასაც, ტრადიციულად, მოუწევს რამე მოიფიქროს „24-მარტელების“ პირის მოსაწმენდად და მათი „საზოგადოებისთვის დასაბრუნებლად“ (ასე იყო მუხროვანში, ასე იყო კოდაში...) ისევე, როგორც ანეკდოტშია: სახლში დაბრუნებულ ქმარს ლოყაზე პომადა აცხია. „ალბათ, თანაკლასელი გოგო შეგხვდა, არა, ძვირფასო?“ – იხტიბარს არ იტეხს ცოლი. მეორე დღეს ქმარს პერანგზე ეტყობოდა პომადის კვალი. ცოლი კვლავ მხნედ არის: „ალბათ, თანაკურსელი გოგო შეგხვდა, არა, ძვირფასო?“. მესამე დღეს კაცს ყელზე ეტყობა ნაკოცნი. ცოლი დაბნეულია. „დროზე მოიფიქრე, ქალო, რამე, თორემ დაგვენგრა ოჯახი!“ – ეხვეწება ქმარი.

ახლაც ასე სახვეწნად ხომ არ გახდება საქმე, „ბალანსი“ რომ არ დაირღვეს? იქნებ ძირძირობამდე ჩაღრმავება სჯობს (როგორც პრეზიდენტმა თქვა), თორემ ვინ იცის, ხვალ ვინ დაქოქავს ამ დაფხავებულ ტანკებს და საით გასწევს!..

იმ დღეს „პრაიმ-ნიუსის“ ძალზე საინტერესო ცნობა წავიკითხე. თურმე ჩვენი საამაყო პროფესიონალი მოკრივე გიორგი კანდელაკი შემოდგომაზე საპარლამენტო არჩევნებში ერთ-ერთი პოლიტიკური ორგანიზაციის პარტიული სიით კენჭისყრას აპირებს. ოღონდ ჯერ არ გადაუწყვეტია, რომელი პოლიტიკური ორგანიზაციის სიით გამოვა არჩევნებში. ისე კი, თურმე, თითქმის ყველა პარტია სთავაზობს მათი სიით არჩევნებში მონაწილეობას...

წავიკითხე ეს და ისეთი სიცილი ამიტყდა, ხალხმა შიშით დამიწყო ყურება, რამე ფარცაგი ხომ არაფერია ამის თავსო.

არა, ჩემდათავად არაფერი მჭირს, ჩვენ პარლამენტს რომ ჭირს და მომავალ პარლამენტს რომ უარესი ეჭირვება, იმას თუ არ ჩავთვლით.

ასე და ამრიგად, ჩვენმა პარტიებმა მკლავები დაიკაპიწეს და ქვიდან წვენს ადენენ. ოღონდ მათი სენთი და მოქნილობა უმთარესად იმაში იხარჯება, რომ როგორმე სახელოვანი მოკრივე თავიანთი სიისთვის დაიბევონ.

რასაკვირველია, პარლამენტში სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები, მათ შორის სპორტსმენებიც, უნდა იყვნენ, ოღონდ...

ერთი რამ უნდა ვურჩიო გიორგის.

მაგრამ, სანამ ვურჩევდე, დასაწყისისთვის გავახსენებ, რომ როცა ნაპოლეონი იმპერატორად ეკურთხა, ევროპაში აჩურჩულდნენ, რა დაცემაა, კაცი ნაპოლეონი იყო და იმპერატორი გახდეო?

საბჭოთა საქართველოში კარგ (მიკროფონთან ლაპარაკის შემდეგ) მეჩაიეს, მესიმინდეს, მევენახეს სოციალისტური შრომის გმირად აკურთხებდნენ თუ არა, რომელიმე უმაღლეს სასწავლებელსაც დაამთავრებინებდნენ დაუსწრებლად და დიდებული, სახელოვანი მშრომელის ნაცვლად ყოვლად უღიმღამო „ინტელიგენტს“ მიიღებდნენ ხოლმე, რომელიც „აღარც მიწისა იყო და აღარც ცისა“.

რას მისცემს მძლეთამძლე გიორგის პარლამენტარობა, სხდომებზე ჯდომა და მოსაწყენი კანონპროექტების პირველი, მეორე და მესამე მოსმენით მიღება, როცა გარეთ პირთამდე გაჭედილი დარბაზები და გამარჯვების ნიშნად ხელის მაღლა აწევა ელის, რასაც იმ დარბაზის ოვაციით შეზანზარება მოსდევს?

სახელოვანი სპორტსმენი წინა პარლამენტშიც გვყავდა და ამჟამინდელშიც გვყავს, ისეთები, რომელთა სახელიც ოქროს ასოებით არის ჩაწერილი საქართველოს სპორტის მატიანეში, ოღონდ არა... ქართული პარლამენტარიზმის მატიანეში. ჯერჯერობით მათ ვერავითარი შესამჩნევი კვალი ვერ დატოვეს კანონშემოქმედებაში.

თუმცა ისიც სათქმელია, რომ ისინი პარლამენტში თავიანთი სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ მოვიდნენ.

გიორგი კანდელაკი კი ამომავალი ვარსკვლავია, იგი ახლა ბრწყინდება და მთელი თავისი ძალისხმევა საამისოდ უნდა წარმართოს. ვითომ მოიცლის იგი პარლამენტისთვის? თუ ვერ მოიცლის და ვერ ივლის, კიდევ ერთი ცარიელი სკამის შემატება ან პარლამენტს რას მისცემს და ან მას?

ტელევიზიით იმ დღეს ისიც მოვისმინე, რომელიღაც ახალგაზრდა მომღერალიც გეგმავს პარლამენტში მოხვედრასო.

ღმერთმა ყველას ხელი მოუმართოს, მაგრამ არც მაიკლ ტაისონი ზის აშშ კონგრესში და არც ლუჩანო პავაროტი – იტალიის პარლამენტში. მერე რა, ერთიც და მეორეც დიდებული ოსტატია (იქნებ ამიტომ უფრო) და იმ ქვეყანაში კანონებს უმათოდაც მშვენივრად იღებენ.

ისე რომ, შენ გაგიმარჯოს, საქართველოს სიხარულო, მოკრივე გიორგი კანდელაკო, არ გვემეტები პარლამენტისთვის!

ვინმემ რომ დროის მანქანაში ჩაგახედოს და ჩვენი მომავალი პარლამენტი (რომელიც, უკვე დაწყებული სამზადისის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დღევანდელზე უკეთესი არამც და არამც არ იქნება) და იმ პარლამენტში საკუთარი თავი გაჩვენოს, სადაც, იმის მიუხედავად, რომ დარწმუნებული ხარ, პროფესიის გამოყენება არ დაგჭირდება (?!), რადგან იქ შენი შესვლის შემდეგ „საკანონმდებლო ორგანოში“ ჩხუბი არ მოხდება (?!), დაფრთხები და, ალბათ, ნებისმიერ მოწინააღმდეგესთან რიგზე ბრძოლას ინატრებ, ვიდრე იმ დარბაზში ყოფნას.

კაცმა რომ თქვას, ამას რა დროის მანქანა და ჯადოქრის სარკე სჭირდება, სწორედ ასე მოხდება.

ფრთხილად, გიორგი, ნათქვამია, მითხარი რომელი პარტიის სიაში ხარ და გეტყვი, ვინა ხარ შენ!..

დაბოლოს, დღეს 31 მარტია, იმ ისტორიული რეფერენდუმის მე-12 წლისთავი, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ ქართველი ხალხის ნება წარმოაჩინა.

დღეს საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეც არის!

**ალეკო ასლანიშვილი.**

## პოლიტოლოგის აზრი

# შეიცვლის მოსკოვი პოზიციას?



**საქართველო-აშშ-ის ურთიერთობების გაღრმავებით გაღიზიანებული მოსკოვი უახლოეს მომავალში თბილისის მიმართ დამოკიდებულებას არ შეიცვლის, – მიიჩნევს პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე. 27-28 მარტს მან მონაწილეობა მიიღო ებერტის ფონდის ინიციატივით მოსკოვში გამართულ „მრგვალ მაგიდაში“, რომლის ორი ქვეყნის პოლიტოლოგებმა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში არსებული პრობლემები და პერსპექტივები განიხილეს.**

„საქართველოსადმი რუსეთის დამოკიდებულება უახლოეს პერსპექტივაში არ შეიცვლება და ეს თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს უკავშირდება“, – განაცხადა საყვარელიძემ მოსკოვში გამართული „მრგვალი მაგიდის“ შედეგებზე საუბრისას.

მისი თქმით, რუს პოლიტიკოსებსა და პოლიტოლოგებს ერაყში აშშ-ის სავარაუდო წარმატების შემდეგ მსოფლიო პოლიტიკაში მოსალოდნელი ცვლილებები აშფოთებთ: გავლენის სფეროებისათვის ბრძოლაში ისინი აშშ-სა და ევროპას კვლავინდებურად პოტენციურ მტრებად განიხილავენ.

„მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის პოლიტიკური ელიტა მოსკოვის მიერ თბილისისადმი წარმოებულ პოლიტიკას კრიტიკულად აფასებს, მისი მიდგომები არათანმიმდევრულია: რუსეთი თავად ისწრაფვის აშშ-სთან ურთიერთობების გაღრმავებისკენ და ამავდროულად აშშ-საქართველოს დაახლოება აღიზიანებს“, – აღნიშნა საყვარელიძემ.

პოლიტოლოგის შეფასებით, რუსეთის პოლიტიკური წრეები აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში აშშ-ის მონაწილეობის კატეგორიული წინააღმდეგნი არიან და კონფლიქტის მოგვარებაში ქართულ მხარეს ევროსტრუქტურების აქტიურ ჩაბმას სთავაზობენ.

რუსეთის მცდელობას, ქართულ მხარეს აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში „არაეფექტური ევროსტრუქტურების“ ჩაბმისკენ უბიძგოს, საყვარელიძე იმით ხსნის, რომ ევროპა რუსეთის ნავთობსა და გაზზეა დამოკიდებული, რის გამოც ევროსტრუქტურები აფხაზეთის საკითხში მოსკოვისათვის საზიანო ნაბიჯს არ გადადგამენ.

რაც შეეხება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების პერსპექტივებს, პოლიტოლოგის თქმით, რუსეთის პოლიტიკური ისტებლიშმენტი მომავალს ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებაში ხედავს, სადაო საკითხების მოგვარება კი, მათ შორის – აფხაზეთის პრობლემისა – სურს, „უკეთესი დროისათვის“ გადადოს.

**ინტერ-პრესი.**

## ინფორმაცია



### მორიგი ავარია „კავკასიონზე“

**გუშინ** დილით, დაახლოებით 6 საათზე რუსეთთან დამაკავშირებელი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის „კავკასიონის“ გამორთვის მიზეზი დივერსია გახდა. აფხაზეთის ტერიტორიაზე ჯერჯერობით დაუდგენელმა პირებმა გადამცემი ხაზის მე-12 ანძა ააფეთქეს, რის გამოც საქართველოს ელექტროსისტემას 400 მეგავატის სიმძლავრე მოაკლდა.

როგორც „ინტერ-პრესს“ გუშინ „საქრუსენერგოში“ აცნობეს, სპეციალისტები აფხაზეთში ვერტმფრენით გადაფრინდნენ, ისინი შეეცდებიან, დაადგინონ ავარიის ხარისხი და მისი ლიკვიდაციის ვადები. აფხაზეთის ტერიტორიაზე ენერგეტიკოსთა მუშაობის უსაფრთხოებას უშიშროების სამსახურები უზრუნველყოფენ.

### კოდექსის მეორე მოსმენით განხილვისათვის

**საქართველოს** ახალ საგადასახადო კოდექსს პარლამენტში მეორე მოსმენით განხილვისთვის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთაგან შემდგარი ერთობლივი სამუშაო ჯგუფი მოამზადებს. პარლამენტმა საგანგებო დადგენილება მიიღო აღნიშნული ჯგუფის შექმნასთან დაკავშირებით, მის ხელმძღვანელად კი კოდექსის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი, ფრაქცია „მრეწველების“ ლიდერი ზურაბ ტყემალაძე დანიშნა.

სამუშაო ჯგუფმა კოდექსის ახალი ვარიანტი საკანონმდებლო ორგანოს ერთ თვეში, სავარაუდოდ, მაისის დასაწყისში უნდა წარუდგინოს.

### პარლამენტის დელეგაცია სტრასბურგს გაემგზავრა

**საქართველოს** პარლამენტის დელეგაცია სტრასბურგში, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მორიგ სესიაზე გაემგზავრა.

სესიის დღის წესრიგში ჩეჩნეთსა და ერაყში მიმდინარე საომარი მოქმედებების საკითხების განხილვაა შეტანილი, თუმცა საქართველოს დელეგაცია შეეცდება, პარალელურად აფხაზეთის საკითხი დააყენოს და ასამბლეის ყურადღება აფხაზეთში ადამიანის უფლებების დარღვევის მხრივ არსებულ მდგომარეობაზე გაამახვილოს.

### ეუთოს მისიის ქვეყნების ელჩები – ცხინვალში

**გუშინ** დილიდან ცხინვალში ეუთოს მისიის წევრი ქვეყნების ელჩები იმყოფებოდნენ.

დღის პირველ ნახევარში მათ შეხვედრა გამართეს მისიის ცხინვალის შტაბ-ბინაში. საუბარი დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა.

შემდეგ დელეგაცია ცხინვალის რეგიონში დისლოცირებული შერეული სამშვიდობო ძალების მთავარ შტაბში ქართული, რუსული და ოსური მხარეების სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელობას შეხვდა. დღის მეორე ნახევარში კი – სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტს.

### განაჩენი საბოლოო იქნება

**დღეს** საოლქო სასამართლო ორ ქისტ პატიმარს რობიზონ მარგოშვილსა და გიორგი კუშტანაშვილს საბოლოო განაჩენს გამოუტანს. როგორც „ინტერ-პრესს“ გუშინ ქისტების ადვოკატმა კახა არაბიძემ განუცხადა, პროცესზე იგი განსასჯელების დარბაზიდან გათავისუფლების მოთხოვნას დააყენებს.

მარგოშვილსა და კუშტანაშვილს საქართველოს საზღვრის უკანონოდ გადმოკვეთაში ედებათ ბრალი.

ადვოკატის განცხადებით, ქისტები საქართველოს მოქალაქეები არიან და საკუთარი ქვეყნის საზღვრის გადმოკვეთისთვის მათი გასამართლება ყოველგვარ ლოგიკას არის მოკლებული.

**ინფორმაციები მოგვაწოდა ინტერ-პრესმა.**

## კვირა

# რუბრიკას უძღვება ზურაბ ოიკაშვილი

**– რით იყო მნიშვნელოვანი გასული კვირა ქვეყნისთვის და თქვენთვის პირადად? – „კვირის“ ტრადიციულ შეკითხვას უპასუხებს საქართველოს ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის დირექტორ-მენეჯერი თამარ იოსებაშვილი.**



### ქვეყნისთვის

– ვფიქრობ, ძალზე მნიშვნელოვანი იყო 28-29 მარტს კულტურის სამინისტროსა და ევროპის საბჭოს ეგიდით კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში გამართული საქართველოს კულტურის პოლიტიკის განხილვისადმი მიძღვნილი ეროვნული დებატები. ამ ღონისძიებამ დამაიმედა, რომ კულტურა, შესაძლოა, რეალურად იქცეს ჩვენი ქვეყნის პრიორიტეტულ სფეროდ არა ოდენ დეკლარირების დონეზე, არამედ, ეს პოზიცია აისახოს სახელმწიფო ბიუჯეტში და, თუ ასე მოხდა, კულტურის მოღვაწეების დიდი ხნის მოთხოვნა აღსრულდება.

მართლაც, ქართული კულტურა ის ფენომენია, რომელიც ნათლად და სრულად წარმოაჩენს ერის, ქვეყნის თვითმყოფადობას და მას ხელისუფლებისგან ყურადღების სრული კონცენტრაცია სჭირდება. ამდენად, ეროვნული დებატები სერიოზულ განაცხადად იქცა ჩვენი ქვეყნისთვის.

### ჩემთვის პირადად

– ნაწილობრივ ზემოთაც, ალბათ, გავეცი აღნიშნულ შეკითხვას პასუხი, რადგან თავადაც ვესწრებოდი ეროვნულ დებატებს. ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ ჩვენმა ორკესტრმა და ვახტანგ მაჭავარიანმა დაიწყეს ვაგნერის ოპერაზე „ტრისტანი და იზოლდა“ მუშაობა, დაიწყო რეპეტიციები. უკვე დავასრულეთ მოლაპარაკებები ცნობილ უცხოელ მომღერლებთან, რომლებიც იმღერებენ ამ ოპერაში. ვაგრძელებთ თანხების მოძიებას ამ ჭეშმარიტად საინტერესო პროექტის განსახორციელებლად.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## მიმოხილვა

# როგორ აღმოჩნდნენ ერაყის ომის ფონზე კრიტიკის ობიექტად რუსეთი, საქართველო და გადახვეწილი ბიზნესმენი-მეცენატები

ახლა, როცა ერაყში ომი მიმდინარეობს, მსოფლიო მკვეთრად გაიყო კოალიციის მხარდამჭერ და აშშ-დიდი ბრიტანეთის სამხედრო ოპერაციების მოწინააღმდეგე ბანაკებად. რაც უფრო დიდხანს გაგრძელდება ომი, მით უფრო მეტი ზეწოლა განხორციელდება ქვეყნებზე, ისინიც ამ ომში რომ ჩაერთონ. გასული კვირის განმავლობაში საქართველო კვლავ გზაჯვარედინზე აღმოჩნდა ამერიკასა და რუსეთს შორის – რუსეთის მთავრობა აპროტესტებდა საქართველოს საჰაერო სივრცეში USAF-ის (სამხედრო-საჰაერო ძალების) U-2 ტიპის თვითმფრინავების შემოსვლას.

რუსულ მედიაში გამოქვეყნდა მწვავე სტატიები იმის შესახებ, რომ ამერიკის მთავრობა საქართველოს სამხედრო ბაზებს გამოიყენებდა. 28 მარტით დათარიღებულ ერთ-ერთ სტატიაში ნათქვამია, რომ ამერიკის მთავრობას, შესაძლოა, დასჭირდეს საქართველოს საჰაერო ბაზები, მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც თურქულმა მხარემ უარი განაცხადა ტრანზიტულ გატარებაზე. რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, გენერალმა მანილოვმა 24 მარტს გაკეთებულ განცხადებაში საქართველოს მიერ აშშ მთავრობის მხარდაჭერას „რუსეთისათვის ზურგში ლახვარის ჩაცემა“ უწოდა.

ახლა, როდესაც გაეროს უშიშროების საბჭოში და ერაყში გეოპოლიტიკური ჭადრაკის რთული პარტია გრძელდება, საკმაოდ ძნელია განსაზღვრო შტატების ქმედება. ან გაარკვიო, აწოდებს თუ არა რუსეთი სამხედრო ტექნიკას ერაყს. დღევანდელ პირობებში ყველა ტრივიალური საკითხი სხვა ელფერს იძენს. პირველი, რაც ამ ჭრილში მაგალითისთვის გაგვახსენდება, ეს არის ბორის ბერეზოვსკის „დაკავება“ ბრიტანელი ძალოვნების მიერ. საქართველოს პრესაში გაჩნდა სტატიები, რომლებიც არ გამორიცხავს ბერეზოვსკის ქართველი კოლეგის ბადრი პატარკაციშვილის მიმართ ანალოგიური ზომების განხორციელებას.

„რუსი მეცენატი ბერეზოვსკი დაკავებულია დიდ ბრიტანეთში“, – ასე ერქვა „ასოშიეიტედ-პრესის“ მიერ 25 მარტს გავრცელებულ მასალას. ამ წერილში საუბარი იყო იმაზე, რომ პუტინის მთავრობა ადანაშაულებდა ბერეზოვსკის კორუფციულ საქმიანობაში, რის შედეგადაც ბიზნესმენი-მეცენატი მწარე კრიტიკის ობიექტი გახდა. ბერეზოვსკი, თავის მხრივ, აღნიშნავს, რომ მისი დევნა განაპირობა რუსეთის მთავრობის მიმართ მისმა კრიტიკულმა დამოკიდებულებამ. სწორედ ეს გახდა მიზეზი მისი ბრიტანეთში გადახვეწისა. აქვე გაშუქებულია ბრიტანელ ხელისუფალთა ქმედებები ბერეზოვსკის წინააღმდეგ, რაც ძირითადად პრეზიდენტ პუტინთან ლონდონის დაახლოებას ემსახურება.



თუ გადავხედავთ რუსულ მედიას, აქ გაცილებით უფრო მწვავე შიდაპოლიტიკური ბრძოლა გაჩაღებული რუსეთის მომავლისათვის. ბერეზოვსკიმ, რომელიც ვლადიმერ პუტინის ყველაზე აშკარად გამოხატული და ცნობილი ოპონენტია, განაცხადა, რომ სახელმწიფო სათათბიროს მოახლოებულ არჩევნებში მხარს უჭერს კომუნისტურ პარტიას. ეს მისი კერძო უფლება და არჩევანია. ბერეზოვსკის მიაჩნია, რომ ერთადერთი გზა გამოსტაცო პუტინს ძალაუფლება, არის გაიმარჯვო საპარლამენტო არჩევნებში და ხელთ იგდო კონტროლის სადავეები. თავის გამარჯვებას ბერეზოვსკი კომუნისტურ პარტიასთან ალიანსში ხედავს. ამ განცხადებამ უდავოდ ფრთები შეაჭრა ბევრ პოლიტიკურ ძალას რუსეთის შიგნით, თუ მის გარეთ.

არსებობს აზრი, რომ ბერეზოვსკის მისია პუტინის საბოლოო განადგურებაა. ბერეზოვსკის არაერთხელ განუცხადებია, რომ პუტინი აქტიურად იყო ჩართული ნარკობიზნესში, ადანაშაულებდა მას ჩეჩენი ბოევიკების განადგურებაში და ჩეჩნეთში ომის ხელმეორედ წამოწყებაში. ალტერნატიული საინფორმაციო წყაროები იუწყებიან, რომ ამ ბრალდებების დამადასტურებელი ოფიციალური მასალები უახლოეს მომავალში გამოქვეყნდება.

რუსეთის სამართალდამცველი ორგანოების ქმედებანი ბორის ბერეზოვსკის წინააღმდეგ, შესაძლოა, საქართველოშიც, ამჯერად ბადრი პატარკაციშვილის მიმართ განმეორდეს. ერაყის ომის ციებცხელებაში, 90-იანი წლების „ოლიგარქები“ დევნის ახალ ფორმებს განიცდიან რუსეთის ხელისუფლების მხრიდან. რუსი ხელისუფალნი შეაშფოთა რუსული ტელეარხის ОРТ, TV-6-ის და ჟურნალ „ოგონიოკის“ ყოფილი მფლობელების დაბრუნებამ.

მოსკოვში სასამართლო პროცესი თითქმის დასრულდა, თუმცა ხელისუფლების პოზიციის გამო, სავარაუდოა, ბერეზოვსკი მაინც ვერ მიიღებს სატელევიზიო საქმიანობის ლიცენზიას. ზოგიერთი მიკერძოებული ჟურნალისტის აზრით, კრემლი ბერეზოვსკის წინააღმდეგ გააქტიურებას აპირებს, რათა საიდუმლო გარიგებაზე დაყრდნობით, სატელევიზიო საქმიანობა მას ბრიტანეთშიც აუკრძალავს.

რუსეთში ბადრი პატარკაციშვილის ექსტრადიცია შეუძლებელია. რამდენიმე ხნის წინათ ერთ-ერთმა ქართულმა გაზეთმა გამოაქვეყნა სტატია – „შევარდნაძე მფარველობს ბერეზოვსკის – რუსეთში ძებნილ პარტნიორს“, მაგრამ პატარკაციშვილის ექსტრადირებას სათუოს ხდის ის ფაქტი, რომ იგი საქართველოს მოქალაქეა.

2003 წლის 15 მარტს პატარკაციშვილმა ახალი ტელეარხი „იმედი“ გახსნა, რომელიც საქართველოს ტერიტორიის 65 პროცენტს ფარავს. მან აღნიშნა, რომ ტელეარხის მიზანი ქართველი ხალხისთვის იმედის დაბრუნებაა.

დადიოდა ხმები, რომ პატარკაციშვილის დაბრუნება სამშობლოში რამდენიმე მოტივმა განაპირობა, კერძოდ, თითქოს მას სურდა, თავი აერიდებინა რუსეთის საპყრობილისათვის და შეესყიდა მთელი ქვეყანა, მაგრამ ახლა საზოგადოებრივი აზრი შეიცვალა, ქართველი ხალხი მზადაა უსმინოს „იმედს“ და მისცეს ქართველ ბიზნესმენსა და მეცენატს შესაძლებლობა მიაღწიოს წარმატებას სამშობლოს საკეთილდღეოდ.

საქართველოში, სადაც გასულ კვირას ეროვნული გვარდიის ვეტერანების მესამე ექსცესი მოხდა, ერაყთან დაკავშირებული პოზიციების გამო, ეჭვგარეშეა, დებატები გამძაფრდება. პარალელურად, ამერიკისთვის საჰაერო გზების დათმობის გამო ალბათ, გაიზრდება ზეწოლა, როგორც მთელ სამხრეთ კავკასიაზე, ასევე ჩვენს ქვეყანაზეც.

ამას წინათ ერთმა პოლიტიკოსმა ტელევიზიით განაცხადა: „საქართველოს აკისრია მორალური ვალდებულება მხარი დაუჭიროს შეერთებულ შტატებს, რომელიც ამ დრომდე საქართველოს უძლიერესი და უმნიშვნელოვანესი მოკავშირე იყო“. სამწუხაროდ, ასეთი პოზიცია იშვიათად შეიმჩნევა აშშ გაცილებით უძველესი მეგობრებისა და მოკავშირეების კომენტარებში.

* * *

მასალებს გამოქვეყნებული მიმოხილვის თემებზე შეგიძლიათ გაეცნოთ ინტერნეტში: Daily Report On Rusia/ web-site: www.dailyreporton russia.com (ყოველდღიური ანგარიში რუსეთის შესახებ).

## გამოხმაურება „ვაზის გზის“ გამო

# დიდი „ვაზის გზა“ საქართველოდან იწყება

(პირველი გვერდიდან)

ედუარდ შევარდნაძის ნარკვევში „ვაზის გზა“, მოკლედ, მაგრამ ყოვლისმომცველად არის განხილული ვაზის და ღვინის თემატიკასთან დაკავშირებული ის ზღვა მასალა, რაც ქართველმა მეცნიერებმა მარცვალ-მარცვალ მოიპოვეს და შეკრიბეს ისტორიულ, არქეოლოგიურ, ეთნოგრაფიულ, ფილოლოგიურ, ლინგვისტურ, პალეობოტანიკურ, ამპელოგრაფიულ და სხვა გამოკვლევებში. გააზრებულია ისიც, რომ ყოველივე ამას აუცილებლად სჭირდება ქართველი ერის ისტორიის მანძილზე ჩამოყალიბებული გენეტიკის, მისი ბუნების გამოღვიძება და აღდგენა, მევენახეობა-მეღვინეობის მრავალასპექტიანი და მრავალწახნაგოვანი საკითხების მართებული ინტერპრეტაცია, იმ უძველესი ერუდიციის გაცნობიერება, რაც დღევანდლამდე კვებავს ჩვენი ერის ცნობიერებას და ბოლოს, ყოველივე ამის მკითხველამდე მიტანა, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ნარკვევი არის ქართველი ერის სახელმწიფო პროგრამა ვაზისა და ღვინის შესახებ, რომლის უპირველესი და უმნიშვნელოვანესი, ჩვენი აზრით, შეიძლება ითქვას, ისტორიული ნიშანსვეტია ის, რაც ბატონმა ედუარდმა ერთ წინადადებაში გამოხატა: – „ვაზის გზა“ საქართველოდან იწყება“!. ამ გამონათქვამს არანაკლები სიკეთის მოტანა შეუძლია ჩვენი ერისათვის, ვიდრე „აბრეშუმის გზას“. იგი მთელ მსოფლიოს დაანახებს უძველესი საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობას და მის ერუდიციას.



1



2

როგორც არ უნდა შეეცადოს ვინმე ისტორიის გაყალბებას და ფაქტების მიჩქმალვას, მრავალ ქვეყანაში ვაზის ჯიშებს დღემდე ქართული ან ქართულიდან ნათარგმნი სახელები ჰქვია. იტალიაში უძველესი დროიდან ცნობილი ღვინის „დიგიტელას“, იგივე „დაქტილოს“ – ბერძნულად, ან „დიგიტუმს“ – ლათინურად, უძველესი ქართული ვაზის ჯიშის „თითას“ სახელწოდებაა თარგმნილი. ბერძნული – „ალოპექსი“ ქართული მელისკუდაა და გვხვდება იტალიაშიც – „კუდა ვოლპე“, რუსეთში – „მელინ კუდა“, აზერბაიჯანში და ოსმალეთში – „თილქი ყუირული“ და სხვა; მსგავსი მაგალითი ბევრია.

საბერძნეთში, მათი თქმულებით, ვაზი და ღვინო ძვ. წ. VIII-VI საუკ. უკვე იყო, მაგრამ ვაზი, ასევე მათივე თქმულებით, ძაღლისგან არის წარმოშობილი! ამ გაუგებარი თქმულების გახსნა, ივ. ჯავახიშვილის აზრით, ველური ვაზის – კრიკინას უძველესი ქართული სახელწოდებით ადვილად ხერხდება. ქართველი ბერძენთან საუბარში იტყოდა, რომ ვენახი კრიკინასაგან არის წარმომდგარი. ბერძენს, ალბათ, „კრიკინა“ საკუთარ სახელად მიუჩნევია, და მისი მეორე ნაწილი „კინ“ ძაღლის ბერძნულ სახელად აღუქვამს. თუ იმასაც აღვნიშნავთ, რომ არის მოსაზრება, რის მიხედვითაც ბერძენთა ღვინის ღვთაება დიონისე და მისი ყველაზე მეტად გავრცელებული ზედმეტი სახელი „ბახუსი“ არაბერძნული წარმოშობისაა, მაშინ ყოველივე ზემოთქმული იმის უტყუარი საბუთია, რომ ბერძნებისათვის „ვაზის გზა“ საქართველოდან იწყება!

საქართველოს პრეზიდენტი თავის ნაშრომში ხაზგასმით მიგვანიშნებს, რომ მევენახეობა-მეღვინეობის შემქმნელ საქართველოში დაუნჯებული ქართული უზღვავი მასალის გამომზეურება ფართო სამსჯავროზე საერო საქმედ უნდა იქცეს, რაც მსოფლიოს დაანახვებს უზადო ჭეშმარიტებას, რომ – „ვაზის აკვანი საქართველოა“.

იმ იმედით, რომ ბატონი ედუარდი ამ გამოხმაურებას წაიკითხავს, აქვე დავძენთ, რომ ჩვენ თითქოს ვიგრძენით ამ თემის აქტუალობა და რამდენიმე წლის კვლევის შედეგად დავწერეთ 40-გვერდიანი ნარკვევი სათაურით: – **„ქართული ფენომენი ღვინო და ღვინის ღვთაება ბადაგონი“**, რომელიც შემოკლებული სახით გამოქვეყნდა გაზეთ – „საქართველოს რესპუბლიკის“ ოთხ ნომერში (30. 12, 2001; 1-3-4 I, 2002) სათაურით „ბადაგონი დიონისეზე ხნიერია“. ჩემდა სასიხარულოდ და საამაყოდ, საქართველოს პრეზიდენტმა, ბატონმა ედუარდმა პირველ გაზეთზევე თავისი ხელით წააწერა რეზოლუცია ა. ჯორბენაძის და თ. ისაკაძის სახელზე პრეზიდენტის ფონდის ხარჯზე ნარკვევის გამოცემის შესახებ. თ. ისაკაძის დავალებით მართლაც შედგა ხარჯთაღრიცხვა და გადაეცა ფინანსთა სამინისტროს (22-02-02; №04-02-01-11/20/227).

პრეზიდენტის განკარგულება, სამწუხაროდ, დღემდე არ შესრულებულა, თუმცა მე იმედით ვცოცხლობ. ნარკვევი დადებითად აქვთ შეფასებული და მისი გამოცემა აუცილებლად მიაჩნიათ თავიანთ გამოხმაურებაში აკადემიკოსებს ოთარ ლორთქიფანიძეს (აწ გარდაცვლილი), ანდრია აფაქიძეს, ნოდარ ჩხარტიშვილს, აკადემიის წევრ-კორესპონდენტებს კიაზო ფიცხელაურს, აბესალომ ვეკუას, პროფესორებს ირაკლი სურგულაძეს და მალხაზ ბარამიძეს.

ექვთიმე მთაწმინდელის „მცირე სჯულის კანონში“ (XI საუკ. ხელნაწერი), ჩამოთვლილია ქართველთა წარმართული ღვთაებები: – „არმაზი, გაცი, გაიმი, ბოჩი და ბადაგეონ“; ბადაგეონი, ანუ ბადაგონი, როგორც მას ივ. ჯავახიშვილი უწოდებს, ქართველთა წარმართული დროის ღვინის ღვთაებაა. მისი სახელი ყურძნის წვენის ბადაგთან არის დაკავშირებული, ცნობილია აგრეთვე უძველესი ქართული ვაზის ჯიშიც – ბადაგი.

ჩვენს მიერ აღმოჩენილია ღვინის ქართველთა ღვთაება ბადაგონი, ბრინჯაოს სკულპტურული ფიგურა (სიმაღლით 18 სმ), რომელიც ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. იგი კახეთში, მელაანში, ძვ. წ. XI საუკუნით დათარიღებული წარმართული სალოცავის ტერიტორიაზე არის მოპოვებული **(სურ. 1)**, და ქართველი კაცის ბუნების გამომხატველია – მარჯვენა ხელში მას ღვინით სავსე ყანწი უჭირავს, რითაც ქართველი სტუმარს ეგებებოდა, ხოლო მტრის დასახვედრად კი მხარიღლივ სატევარი აქვს გადაკიდებული. თვით ბადაგონის წინაპრად, ჩვენი აზრით, შულავერის ძვ. წ. 7000 წლის წინანდელ ღვინის ჭურჭელზე, მამრის ბარელიეფური გამოსახულება **(სურ. 2)** უნდა მივიჩნიოთ, რომელიც, მეცნიერთა აზრით, ღვინის მფარველი ღვთაებაა.

მუზეუმშივე დაცულია ღვინის უნიკალური ჭურჭლის ათზე მეტი ნიმუში, რომელთა ასლის გადაღება გათვალისწინებული გვაქვს არქეოლოგიური კომისიისა და სახელმწიფო მუზეუმის დირექციის ნებართვით.

ზემოთ აღნიშნულ მეცნიერთა გამოხმაურებები საფუძველს გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ნარკვევი – „ქართული ფენომენი და ღვინის ღვთაება ბადაგონი“, თავისი შინაარსით, ბატონ ედუარდის მიერ წარმოდგენილი უმნიშვნელოვანესი ქართული ეროვნული კონცეფციის „ვაზის გზა“ საქართველოდან იწყება“, პირველ აღიარებად შეიძლება ჩაითვალოს. ნარკვევი და ჩვენს მიერ გააზრებული ღვინის უძველესი ჭურჭლის ასლები, ტიპური ქართული ეროვნული საჩუქარი იქნება ყველა რანგის, ეროვნებისა და სარწმუნოების მქონე საქართველოს სტუმრისთვის, რაც ასე სჭირდება ჩვენს დღევანდელობას.

**ზაურ ძოძუაშვილი,**
გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

**სურათებზე:** ბადაგონი, ღვინის ქართველთა ღვთაება (ძვ. წ. XI საუკუნე); ღვინის ჭურჭელზე მამრის გამოსახულება (ძვ. წ. 7000 წლის წინანდელი).

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## XX საუკუნის საიდუმლოებანი

**მარტი თავისებური გამორჩეული თვეა ვასილ სტალინის ბედისწერაში: „ხალხთა მამის“ ვაჟიშვილი 1920 წლის 24 მარტს დაიბადა, 1940 წლის მარტში დაამთავრა კაჩინსკის მფრინავთა სკოლა, 1943 წლის მარტში მიიღო ალექსანდრე ნეველის ორდენი, 1946 წლის მარტში მიანიჭეს გენერალ-მაიორის წოდება, 1953 წლის მარტში გარდაიცვალა მისი ყოვლისშემძლე მამა, იმავე წლის მარტში ვასილი დაითხოვეს არმიიდან, 1962 წლის 19 მარტს იგი გარდაიცვალა. თუმცა „მეფის“ აკვანში მის დაბადებაზე, „ოქროს“ ბავშვობასა და სახელოვან საბრძოლო გზაზე ბევრი რამ დაწერილა, მაგრამ ყაზანის გადასახლებაში ვასილ სტალინის ცხოვრების ბოლო წლებზე პრაქტიკულად არაფერია ცნობილი.**

**სწორედ ამიტომ ვთავაზობთ ჩვენს მკითხველებს გაზეთ „მოსკოვსკი კომსომოლეციდან“ მონათხრობს შერისხული გენერლის ცხოვრებაზე ყაზანში.**

# კულტი პიროვნების გარეშე



ყაზანში ვასილ სტალინი გამოჩნდა 1961 წლის 29 აპრილს სუკ-ის სამი ოფიცრის თანხლებით. უკან დარჩა ვლადიმირისა და ლეფორტოვის ციხეებში გატარებული რვა წელი. დილის 11 საათზე ის მიიღო თათრეთის სუკ-ის თავმჯდომარემ და აცნობა მისი ცხოვრების პირობები: ერთოთახიანი ბინა, პენსია 150 რუბლი, ქალაქიდან გასვლის აკრძალვა. გადასახლებაში მოსკოვის სამხედრო ოლქის სამხედრო-საჰაერო ძალების ყოფილ სარდალს მთელი ხუთი წელი უნდა დაეყო.

პირველსავე დღეს გაგარინის ქუჩაზე მდებარე სახლის ერთ-ერთმა მობინადრემ, მფრინავმა-გამომცდელმა კარიმოვმა — ახალმოსახლე-მეზობელში შეიცნო ვასილ სტალინი, რომლის მეთაურობითაც ოდესღაც მსახურობდა. ყაზანში „ერის მესაჭის“ ვაჟიშვილის ჩამოსვლის შესახებ ხმები მომენტალურად გავარდა ქალაქში.

— ყაზანში ყოფნისას სტალინის შვილი მუდამ იყო ადგილობრივი სუკ-ის თანამშრომლების ფხიზელი მეთვალყურეობის ქვეშ, მათ ამის გამო შემოიღეს სპეციალური მრავალტომიანი საქმე კოდური სახელწოდებით „ფლიგერ“ — გერმანული სიტყვიდან „flieger“ — „მფრინავი“, — გვიამბობს ყაზანის უნივერსიტეტის პროფესორი ალექსი ლიტვინი, ერთ-ერთი პირველი რომ დაუშვეს თათრეთის რესპუბლიკის უშიშროების ფედერალური სამსახურის ცენტრალური სამმართველოს არქივში.

საქმეში ჩაკერებულია 1961 წლის 13 ივნისის მოხსენებითი ბარათი. ადგილობრივი სუკ-ის თავმჯდომარე ინსტანციების მიხედვით მოახსენებდა: „ყაზანში ჩამოსვლის შემდეგ „ფლიგერის“ ქცევა გვიჩვენებს, რომ ის, გაფრთხილების მიუხედავად, ცდილობს ქალაქში რაც შეიძლება ფართოდ გაავრცელოს ხმები თავის შესახებ, თითქმის ყველას, ვისაც კი ის ხვდება (სახლის მეზობლები, ტაქსის მძღოლები, ფოსტალიონები), დაწვრილებით, ისე რომ არც კი უცდის თანამოსაუბრის შეკითხვებს, უამბობს თავის ბიოგრაფიას, 1953 წელს დაპატიმრების მოტივებზე, პატიმრობაში ყოფნაზე, ვითარებაზე, რომელშიც აღმოჩნდა ყაზანში. ამასთან, უმეტეს შემთხვევაში, „ფლიგერი“ ცდილობს ახსნას, რომ მისი დაპატიმრება დაკავშირებულია იმასთან, რომ არ სურს უარყოფითად ილაპარაკოს მამაზე, ხოლო იმიტომ „მალავენ“, რომ მან „ძალზე ბევრი იცის“.

— მოსკოვიდან ყაზანში ვასილი მარტო არ ჩამოსულა, — აგრძელებს თხრობას პროფესორი ლიტვინი, — მას თან ახლდა მარია იგნატის ასული შევერგინა, პირველი ქმრის გვარით — ნუზბერგი. სწორედ მის სახელზე იყო გამოწერილი ბინის ორდერი, სადაც გადასახლება უნდა გაეტარებინა ვასილ სტალინს.

შერისხულმა გენერალმა ოცდაათი წლის მედიცინის და მოსკოვის ვიშნევსკის სახელობის ინსტიტუტში გაიცნო, სადაც ციხიდან გამოშვების შემდეგ გამოკვლევაზე იწვა. სანდომიანი ქალი უვლიდა დაუძლურებულ ვასილს, რომელსაც ჰქონდა კუჭის წყლული და ფეხის სისხლძარღვების შევიწროება.

ნომერ 1588 საქმეში ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ალექსი ლიტვინმა აღმოაჩინა თათრეთის სუკ-ის თავმჯდომარესთან ვასილ სტალინის 1961 წლის 7 ოქტომბრის საუბრის ოქმი. ვასილი ითხოვდა უფლებას — გაეფორმებინა ქორწინება მარია შევერგინასთან და მოეწყოთ სამუშაოზე საავიაციო ქარხნის აეროდრომის კომენდანტად. თავმჯდომარე თავის მხრივ სთავაზობდა ვასილს — შეეცვალა სტალინის გვარი მამის ან დედის ნამდვილ გვარზე და მიეღო პასპორტი ნაცვლად მის ხელზე არსებული პატიმრობიდან განთავისუფლების ცნობისა. მოულოდნელად ვასილი დათანხმდა, მხოლოდ იმ პირობით, რომ მას დაუბრუნებდნენ თანხას — 30 ათას რუბლს, რომელიც უნდა მიეცათ ჩამორთმეული მოსკოვური აგარაკის საკომპენსაციოდ. მაგრამ რამდენიმე საათის შემდეგ დარეკა შევერგინამ და აცნობა თანხის გადიდებაზე: მისი თქმით, გვარის შეცვლისათვის ვასილმა მოითხოვა მოსკოვში დაბრუნება, ბინის, მანქანის დაბრუნება და პენსიის გადიდება.

ხელისუფლებამ ვაჭრობა დაიწყო. 27 ოქტომბერს ვასილი დათანხმდა ჯუღაშვილის გვარით პასპორტის მიღებაზე, იმ პირობით, რომ 7 ნოემბერს, ოქტომბრის რევოლუციის დღესასწაულზე გააფორმებდა ქორწინებას შევერგინასთან და დააკანონებდა ურთიერთობას მის შვილებთან. ამასთან დაკავშირებით ის თხოულობდა ყაზანში სამოთახიან ბინას და მოსკოვიდან მანქანისა და ნივთების ჩამოტანას.

ეს უნდა შეეთანხმებინათ მოსკოველ ხელმძღვანელებთან. 30 ოქტომბერს სუკ-ის თავკაცის ალექსანდრე შელეპინის სახელზე ყაზანიდან აგზავნიან მოხსენებით ბარათს. პასუხი დათარიღებულია 17 ნოემბრით. მოსკოვში ვაჭრობდნენ — საცხოვრებელი ფართობი შეიძლება გადიდდეს 2-ოთახიან ბინამდე, ნივთები შეიძლება დაუბრუნდეს, მანქანის ნაცვლად შესაძლებელია კომპენსაცია.

### ჩამსვეს სტალინად, მასამართლებდნენ სტალინად, სტალინადვე ჩავძაღლდები...

1962 წლის 9 იანვარს ქალაქ ყაზანის მილიციის ლენინის რაიონულმა განყოფილებამ ვასილს მისცა პასპორტი ჯუღაშვილის გვარზე, — ამბობს ლიტვინი, — ორი დღის შემდეგ მან რეგისტრაციაში გაატარა მარიასთან ქორწინება და იშვილა გოგონები — ლუდმილა და ტატიანა.

ჯერ კიდევ ნახევარი წლის წინათ ვასილი ხომ სწერდა თავის დეიდას, ანა ალილუევას: „რაც შეეხება გვარს, უმალ ყელს გამოვიჭრი და არ შევიცვლი! არასოდეს ამაზე არ წავალ და ჩემთან ამაზე ლაპარაკს აზრი არა აქვს. ჩამსვეს სტალინად, მასამართლებდნენ სტალინად და ახლა მათი გულისათვის შევიცვალო... არა! როგორადაც დავიბადე, ისეთადვე ჩავძაღლდები!“ შემდეგ ამატებდა: „თანაც ეს უაზრობაა, ვინაიდან სახლში ჩემმა მეზობლებმა, მფრინავებმა, ადრე ჩემთან რომ მსახურობდნენ — მიცნეს და მთელმა ყაზანმა იცის, თუ ვინ ვარ მე... განწყობილება საშინელი მაქვს, ჯანმრთელობა უფრო უარესი, მაგრამ ვეცდები — ეს გადავიტანო, თუმც მომბეზრდა და მეზიზღება ასეთ ყოფაში ყოფნა“...

ისტორიკოსი ალექსი ლიტვინი ფიქრობს, რომ ვასილმა გვარის შეცვლა გადაწყვიტა შევერგინას ზეწოლით. №1588 საქმეში ნათქვამია, რომ სექტემბერში მედიცინის და მარია გაემგზავრა მოსკოვში, რათა აბორტი გაეკეთებინა. ქალების მოყვარულმა ვასილმა მაშინვე გააბა რომანი მეორე მარიასთან, ვეტერინარული ინსტიტუტის ოცი წლის სტუდენტთან. მისი ორივე ბიძა მფრინავი იყო და ვასილის მეთაურობით მსახურობდნენ. შერისხული გენერალი სტუდენტს მარიშას ეძახდა, ის კი მოფერებით — ვასიკოს. სუკ-ის თანამშრომლები მაგნიტურ ფირზე აფიქსირებდნენ ყოველ ვნებიან ხვნეშას გაგარინის ქუჩაზე მდებარე სახლში. მოსკოვიდან დაბრუნებულმა მედიცინის დამ თავის ბინაში აღმოაჩინა მშვენიერი უცნობი სტუდენტი. მარიშა შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებაში დაიბარეს და იმაში დაადანაშაულეს, რომ მან სკანდალი ატეხა ბინაში, სადაც ჩაწერილი არ იყო. შევერგინა კი ვასილ სტალინს გაყრით დაემუქრა, თუ მისი და მისი შვილების ცხოვრება სათანადოდ არ იქნებოდა მოწყობილი. ალბათ, სწორედ მაშინ, წინააღმდეგობით რომ დაიღალა, ვასილმა ფარ-ხმალი დაყარა და გვარის შეცვლაზე დათანხმდა.

მარია შევერგინა არსებითად, ვასილ სტალინის მეოთხე ცოლი გახდა.

თავის პირველ მეუღლეს — პოლიგრაფიული ინსტიტუტის სტუდენტს გალინა ბურდონსკაიას — ვასილი გაეცნო საციგურაოზე. ქორწილზე საპატარძლოს წითელი კაბა ეცვა, ვიღაცამ მაშინვე შენიშნა, რომ ეს სასიკეთო არ იყო. ცოლ-ქმრობისას ორი შვილი რომ შეეძინათ — ბიჭი საშა და ქალიშვილი ნადია — მეუღლეები გაცილდნენ. მეორე ცოლი ვასილმა „თავისი წრიდან“ აირჩია, „ერის მესაჭის“ შვილის საცოლე გახდა მარშლის ქალიშვილი — ეკატერინე ტიმოშენკო, რომელმაც მას ვაჟიშვილი ვასია და ქალიშვილი სვეტა გაუჩინა. თვითმხილველთა მოგონებებით, მათთვის იშვიათი იყო უსკანდალო დღე. ვასილ სტალინის შემდეგი რჩეული იყო სსრ კავშირის 19-გზის ჩემპიონი და რეკორდსმენი კაპიტოლინა ვასილევა. მათი ქორწინება რეგისტრირებული არ ყოფილა, ვინაიდან პასპორტის მიხედვით ის ისევ რჩებოდა... გალინა ბურდონსკაიას ქმრად (მეორე ცოლთან ის რეგისტრირებული იყო კანონის საწინააღმდეგოდ. ჩაწერეს მხოლოდ რეგისტრაციის წიგნში. პასპორტში კი შტამპი ძველი დატოვეს). ვასილი იყო კარგი პატრონიცა და მამაც... სანამ არ სვამდა. ამასთან ერთად ის ეჭვიანობდა სპორტზე შეყვარებულ კაპაზე. როცა მისი სამოქალაქო ცოლისათვის უნდა გადაეცათ სპორტის დამსახურებული ოსტატის მოწმობა, მან დაურეკა სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს და უბრძანა, არ მიენიჭებინათ კაპიტოლინასთვის ეს წოდება. შინ კი განაჩენი გამოაცხადა: „სპორტთან ყველაფერი დამთავრდა!“ დარწმუნებული იყო რა თავის დაუსჯელობაში, მან კაპიტოლინაზე ხელიც კი აღმართა, მალე ქალმა დატოვა სახლი გოგოლის ბულვარზე.





მოამზადა
**ვალიკო სიმონიშვილმა.**
(დასასრული იქნება).

## მსოფლიო შტრიხებში

# მაიკლ ჯეკსონი — მაფიაში?

**როგორ, ვერ იცანით? ეს ხომ მაიკლ ჯეკსონია — პოპ-მუსიკის მეფე, თუმც ნიღაბჩამოხსნილი. საერთოდ რომ ერიდებოდა გულშემატკივრებისათვის ნამდვილი სახის ჩვენებას, შარშან, ნოემბერში კალიფორნიის სასამართლოში ირჩეოდა ჰავაის კუნძულებსა და ავსტრალიაში მისი მიზეზით გასტროლების ჩაშლის გამო ზარალის — 21 მილიონი დოლარის ანაზღაურების შესახებ გერმანელი იმპრესარიოს მარსელ ავრამის სარჩელი. სწორედ მაშინ სთხოვა მოსამართლემ გულშემატკივართა კერპს, ახლოს თითქმის არავის რომ უნახავს, ნიღბის ჩამოხსნა. რაზეც, ყველას გასაოცრად, მომღერალი დათანხმდა და საზოგადოებას აი, ასეთი, 44 წლის ჯეკსონი წარუდგა — მრავალგზის პლასტიკური ოპერაციებით დასახიჩრებული სახით, წამახვილებული ცხვირით, გაუპარსავი, შავად შეღებილი თვალებითა და ვარდისფრად აღაჟღაჟებული ტუჩებით.**

**ბულვარულმა პრესამ მისი ეს სურათი აიტაცა. რაც შეეხება 21-მილიონიან ჯარიმას, ის, ალბათ, არ გააღატაკებს 800-მილიონიანი ქონების პატრონს.**

**ახლა რაც შეეხება იმას, რაც სათაურში გამოვიტანეთ. მაიკლის შესახებ თითქოს ყველაფერი უკვე ითქვა და დაიწერა. მაგრამ სინამდვილეში ასე როდი ყოფილა. ამერიკული ყოველკვირეულის „ნეშილ ინკუაირერის“ ჟურნალისტებმა ახლახან გამოავლინეს, რომ მაიკლმა ახალი მეგობარი გაიჩინა, რომელიც მას თითქმის მამად ერგება და, რომელთანაც მას საერთო არაფერი უნდა ჰქონდეს. სამოცდაათი წლის ალვინ მალნიკი, ფლორიდელი მულტიმილიარდერი, სამართალდამცავი ორგანოების აზრით, მჭიდრო კავშირშია ორგანიზებულ დამნაშავეობასთან.**

**მაიამიში, სადაც ის ცხოვრობს, კრიმინალთა სამყაროში ის ისევე ცნობილი პიროვნებაა, როგორც ჯეკსონი — მუსიკის სამყაროში. ყველა, ვინც კი ალვინ მალნიკს იცნობს, მს ჭკვიან ადამიანად მიიჩნევს: ვერც ერთხელ ვერ მოახერხეს მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა. მალნიკს ისე მოხერხებულად მიჰყავს სინდიკატის საქმეები, თვით ყველაზე მარჯვე პროკურორმაც კი ვერ შეძლო მისთვის სერიოზული ბრალდების წაყენება.**

**მაიკლ ჯექსონის ახალი მეგობრის შემოსავლების წყაროა სამშენებლო კომპანია და საკრედიტო ფირმა „Title Loans of America“ ფულს 300 პროცენტად რომ გაასესხებს.**

**ალვინი მრავალჯერ გაუმასპინძლდა ჯეკსონს თავის ფეშენებელურ რესტორანში „მაიამი-ბიჩ“. ამ დაწესებულების ავ-კარგზე იმითაც შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ იქ ყველაზე ძვირფასი ბოთლი ღვინის ფასი 75 ათას დოლარამდე ადის. გასაკვირი არაა, რომ ერთი ასეთი მეფური ვახშმის შემდეგ მადლობის ნიშნად მასპინძლისათვის მაიკლმა პიანინოზე დაუკრა.**

**რამდენჯერმე მუსიკოსმა ღამე გაათია ალვინ მალნიკის 20 მილიონ დოლარად ღირებულ სახლში.**

**მაიკლ ჯეკსონის თაყვანისმცემლები, ისინი კი ამერიკაში ახლაც ბევრნი არიან, ვერ ხვდებიან, თუ რა უნდა აკავშირებდეს მათ კერპს ისეთ კაცთან, როგორიც მალნიკია. მათ საერთო ის გააჩნიათ, რომ ორივეს სამ-სამი შვილი ჰყავს.**

**მიაჩნიათ, რომ ვუდუს ქურუმი, რომელიც 150 ათას დოლარად დაპირდა მაიკლს მის ჰოლივუდელ მტრებში „გარკვევას“, ვერაფერს გახდა, ყველა მათგანი კვლავაც კარგად არის. შეიძლება, როგორც ისინი ფიქრობენ, ჯეკსონმა კრიმინალურ ავტორიტეტთან იმიტომ გააბა მეგობრობა, რომ მისგან დახმარებას მოელის.**



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

# საქართველოს ეროვნული ბანკის სატენდერო კომისიის განცხადება

1. საქართველოს ეროვნული ბანკი, სატენდერო კომისიის 28. 01. 2003 წლის №1 სხდომის ოქმის თანახმად, საქართველოს ეროვნული ბანკის 2003 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ოთხი უცხოური წარმოების ნახმარ მდგომარეობაში ავტომობილის შეძენაზე ეროვნული ბანკი აცხადებს ღია ტენდერს და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. მიწოდება უნდა განხორციელდეს ტენდერის დამთავრებისა და ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 კალენდარულ დღეში CIP-თბილისის პირობით. საქონელი ტექნიკური სპეციფიკაციის მიხედვით, თავის დანიშნულებით და გამოყენებით უნდა აკმაყოფილებდეს სეკ(CPA)002-99 შესაბამის მოქმედ სტანდარტებს კერძოდ: D-DM-34.10.25; CPC-49113.5; HS/KN-8703.21.90,-.22.90,.23.90,.24.90,.31.90,.32.90,.33.90

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, განცხადების გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს 15 კალენდარული დღისა სებ-ის კანცელარიაში 17.00-სთ-მდე სათანადო რეგისტრაციის გავლით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ლეონიძის ქ. 3/5, სატენდერო კომისიის სამდივნო ტელ/ფაქსი: 98-21-34. ტელ. 44-23-88, 44-22-11 შიდა ტელ. 2-11; 3-88

4. დაინტერესებულ პირთა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს ცნობებს და ინფორმაციებს რომ:

ა) მისი ქონება არ არის დაყადაღებული (ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან);

ბ) მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან);

გ) მის მიმართ არ მიმდინარეობს იძულებითსააღსრულებო წარმოება (ცნობა სააღსრულებო ბიუროდან);

დ) ტენდერის დაწყების მომენტისთვის მისი ხელმძღვანელის (ფიზიკური პირის) მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან);

ე) ფიზიკური პირისთვის; ცნობა, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (ცნობა ჯანმრთელობის დაცვის სპეციალიზირებული დაწესებულებიდან);

ვ) ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან].

ზ) ბოლო ხუთი წლის აუდიტირებული ბალანსი აუდიტის დასკვნასთან ერთად;

თ) დადგენილების ასლი სასამართლოში რეგისტრაციის შესახებ;

ი) ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ;

კ) რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი,ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

5. იურიდიული ან ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკავალიფიკაციო მონაცემებს თუ იგი დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტით განსაზღვრულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ ს.ე.ბ.-ის სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტად აღიარებული ის პირები, რომლებიც აღიარებიდან და შეტყობინებიდან 3 დღის განმავლობაში გადაიხდიან სატენდერო მოსაკრებელს 500 ლარის ოდენობით, საქართველოს ეროვნულ ბანკში გახსნილ №000904742 "შესყიდვებთან დაკავშირებით მიღებული სატენდერო მოსაკრებლის" სპეციალურ ანგარიშზე, ბანკის კოდი 220101107.

7. საკვალიფიკაციო მონაცემებს განიხილავს სატენდერო კომისია საკვალიფიკაციო მონაცემთა წარდგენის ბოლო დღიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში, რის შედეგადაც დადგინდება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტთა სია, რომელიც 3 დღის ვადაში ეცნობებათ პრეტენდენტებს.

8. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ სატენდერო კომისიის სამდივნოს საქ. ეროვნულ ბანკში, მის. ქ. თბილისი, ლეონიძის ქ. 3/5, ოთახი№124,125 ტელ./ფაქსი:98-21-34. ტელ. 44-23-88, 44-22-11 შიდა ტელ. 2-11; 3-88

**საქართველოს ეროვნული ბანკის სატენდერო კომისია.**

# საქართველოს ეროვნული ბანკის სატენდერო კომისიის განცხადება

1. საქართველოს ეროვნული ბანკი, სატენდერო კომისიის 28. 01. 2003 წლის №1 სხდომის ოქმის თანახმად, საქართველოს ეროვნული ბანკის 2003 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ოთხი 15კვტ.-იანი ორ ფაზიანი (220ვ.50ჰც) ცვლადი დენის დიზელ გენერატორების შეძენაზე ეროვნული ბანკი აცხადებს ღია ტენდერს და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. მიწოდება უნდა განხორციელდეს ტენდერის დამთავრებისა და ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 კალენდარულ დღეში CIP-თბილისის პირობით. საქონელი, ტექნიკური სპეციფიკაციის მიხედვით, თავის დანიშნულებით და გამოყენებით უნდა აკმაყოფილებდეს სეკ(CPA)002-99 შესაბამის მოქმედ სტანდარტებს კერძოდ: D-DL-31.10.31; CPC-46113.1;HS/KN-8502.1.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, განცხადების გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს 15 კალენდარული დღისა სებ-ის კანცელარიაში 17.00-სთ-მდე სათანადო რეგისტრაციის გავლით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ლეონიძის ქ. 3/5, სატენდერო კომისიის სამდივნო ტელ/ფაქსი:98-21-34. ტელ. 44-23-88, 44-22-11 შიდა ტელ. 2-11; 3-88

4. დაინტერესებულ პირთა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს ცნობებს და ინფორმაციებს რომ:

ა) მისი ქონება არ არის დაყადაღებული (ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან);

ბ) მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან);

გ) მის მიმართ არ მიმდინარეობს იძულებითსააღსრულებო წარმოება (ცნობა სააღსრულებო ბიუროდან);

დ) ტენდერის დაწყების მომენტისთვის მისი ხელმძღვანელის (ფიზიკური პირის) მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან);

ე) ფიზიკური პირისთვის; ცნობა, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (ცნობა ჯანმრთელობის დაცვის სპეციალიზირებული დაწესებულებიდან);

ვ) ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან].

ზ) ბოლო ხუთი წლის აუდიტირებული ბალანსი აუდიტის დასკვნასთან ერთად;

თ) დადგენილების ასლი სასამართლოში რეგისტრაციის შესახებ;

ი) ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ;

კ) რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი,ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

5. იურიდიული ან ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკავალიფიკაციო მონაცემებს თუ იგი დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტით განსაზღვრულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ ს.ე.ბ.-ის სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტად აღიარებული ის პირები, რომლებიც აღიარებიდან და შეტყობინებიდან 3 დღის განმავლობაში გადაიხდიან სატენდერო მოსაკრებელს 500 ლარის ოდენობით, საქართველოს ეროვნულ ბანკში გახსნილ №000904742 "შესყიდვებთან დაკავშირებით მიღებული სატენდერო მოსაკრებლის" სპეციალურ ანგარიშზე, ბანკის კოდი 220101107.

7. საკვალიფიკაციო მონაცემებს განიხილავს სატენდერო კომისია საკვალიფიკაციო მონაცემთა წარდგენის ბოლო დღიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში, რის შედეგადაც დადგინდება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტთა სია, რომელიც 3 დღის ვადაში ეცნობებათ პრეტენდენტებს.

8. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ სატენდერო კომისიის სამდივნოს საქ. ეროვნულ ბანკში, მის. ქ. თბილისი, ლეონიძის ქ. 3/5, ოთახი№124,125 ტელ./ფაქსი:98-21-34. ტელ. 44-23-88, 44-22-11 შიდა ტელ. 2-11; 3-88

**საქართველოს ეროვნული ბანკის სატენდერო კომისია.**

# საქართველოს თავდაცვის სამინისტროს განცხადება

**თანახმად, „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების 26-ე მუხლისა, ვაქვეყნებთ ერთ პირთან მოლაპარაკების მეშვეობით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით თავდაცვის სამინისტროს მთავარი სამეურნეო სამმართველოს მიერ მომწოდებელთან ა. წ. 4 მარტს გაფორმებულ ხელშეკრულებას:**

| № ხელშეკრულების № და გაფორმების თარიღი | პროდუქციის დასახელება | საერთო ღირ. ლარებში |
|---|---|---|
| № 01/50; 04.03.03 წ. | კვების პროდუქტები | 289 800. |

# განცხადება

## 1. ქალაქ თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული გამგეობა ატარებს ღია ტენდერს რაიონის ტერიტორიაზე გზების, მოედნებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

შესყიდვის მოკლე დახასიათება:

შესაკეთებელი გზების, მოედნებისა და ტროტუარების სავარაუდო საერთო ფართობია 20400 კვ. მ. მათ შორის: ასფალტ-ბეტონი 19100 კვ. მ.; ქვაფენილი 1300 კვ. მ.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაოფრმებიდან 2004 წლის 01 იანვრამდე.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ განცხადების გამოქვეყნებიდან 15 კალენდარული დღის (განცხადების გამოქვეყნების დღე ითვლება პირველ დღედ) მომდევნო 3 სამუშაო დღის ვადაში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი დ. აღმაშენებლის გამზირი №140ა, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობა.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობას შესაბამისი სასამართლოდან და/ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) ცნობას საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

**4.2 ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას, რომ სასამართლოს მიერ, მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობას შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ დანაშაულისათვის;

**4.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობას სასამართლოდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ინფორმაციას უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური სამუშაოს განხორციელების შესახებ;

გ) ინფორმაციას სამუშაოს განხორციელებისათვის საჭირო ძირითადი მანქანა-მექანიზმების, სატრანსპორტო საშუალებებისა და მოწყობილობა-დანადგარების შესახებ;

დ) ინფორმაციას ტენდერში მონაწილის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

ე) ლიცენზიას სამშენებლო საქმიანობის განხორციელების შესახებ.

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემის ვადაა 2003 წლის 27 აპრილიდან 2003 წლის 28 აპრილის 17 საათამდე სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ ქართულ ენაზე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №140ა, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობა.

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან:

მაია გოგოლაძე — ეკონომიკური პოლიტიკის განყოფილების უფროსი, სატენდერო კომისიის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი 95-99-85 და თემურ ოქრომელიძე — საქალაქო მეურნეობის სამსახურის უფროსის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი 95-66-01. მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №140ა. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობა.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე
**ჯ. ბურბენაშვილი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## ჩვენი პუბლიკაცია

**დღეს ჩვენ გთავაზობთ ცნობილი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის შალვა აფხაიძის პირად წერილს, რომელიც მან პეტერბურგიდან გამოუგზავნა თავის ახლობელსა და სიყრმის მეგობარს, შემდეგში „ცისფერყანწელთა ორდენის“ ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს ალექსანდრე ცირეკიძეს, რომელიც დედის მხრიდან ბებიაჩემის ძმა გახლდათ. ალექსანდრე ცირეკიძე, შალვა აფხაიძე და გიორგი ქლენტი (ცნობილი ლიტერატორისა და კრიტიკოსის ბესო ჟღენტის ძმა), ქუთაისის რეალური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ უმაღლესი განათლების მისაღებად პეტერბურგს გაემგზავრნენ, სადაც იქაური უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები გახდნენ.**

**ამ „წმინდა სამებას“, როგორც მათ რეალურ სასწავლებელში სწავლის პერიოდში უწოდებდნენ, პირველი გიორგი ჟღენტი გამოაკლდა, რომელმაც ვერ გაუძლო ჩრდილოეთის ნესტიან ჰავას და იძულებული შეიქნა მძიმედ დაავადებული სამშობლოში დაბრუნებულიყო. იქაურ მკაცრ კლიმატს ვერც ალექსანდრე ცირეკიძე შეეგუა, რომელიც მშობლიურ ქუთაისს დაუბრუნდა (შემდეგ მან სწავლა კიევის უნივერსიტეტში გააგრძელა), სადაც ის აქტიურ ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდა, გამოსცემდა და რედაქტორობდა ჟურნალებს „მეოცნებე ნიამორებს“ და „ცისფერ ყანწებს“. სამწუხაროდ, იგი სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა და სიცოცხლეში მხოლოდ მინიატიურების ერთი პატარა წიგნის „მთვარეულების“ გამოცემა მოასწრო.**

**იმედია, შალვა აფხაიძის აღნიშნული წერილი ჩვენს დღევანდელ მკითხველებსაც დააინტერესებს და მათ კიდევ ერთხელ შეახსენებს ოქტომბრის რევოლუციის იმ „ქარიშხლიან დღეებს“, რომელთაც ჩვენს საზოგადოებას დღემდე ავადმოსაგონარი „წარუშლელი კვალი“ დააჩნია და რომლის მოშუშებასაც, ალბათ, კიდევ დიდი ხანი დასჭირდება.**

**ეტყობა გოლგოთის ამ გზის გავლა ქართველებს ბედმა გვარგუნა, წარსულის გონივრულად გაანალიზება კი, იმედია, სამომავლოდ გამოგვადგება. წერილი მკითხველს საშუალებას მისცემს თვალი გაადევნოს იმ დროის პეტერბურგის კულტურულ ცხოვრებას, რომელიც ნევისპირა ქალაქის რევოლუციური ფუთფუთის მიუხედავად, მისთვის ჩვეულ რიტმს ინარჩუნებდა.**

**თეიმურაზ კინწურაშვილი.**

# წარსულით შობილი აწმყო

სანდროს სალამი! გუშინ წინ მივიღე შენი ბარათი. რომ იცოდე, როგორ გავიხარე და უფრო გამახარა, სანდრო, სურათებმა, განსაკუთრებით შენი მეგობრის სურათმა. ეს წერილი ჩემთვის დაუვიწყარი იქნება. არ ვიცი, სანდრო, შევძლებ თუ არა როდესმე შენც გითავაზო ისეთი სიამოვნება. იმ საღამოსვე მინდოდა, რომ მომეწერა შენთვის ბარათი, მაგრამ ბილეთი მქონდა კრიგენის ლექციაზე და წაველი. როგორც კი გამოვედი კარში, მაშინვე თავი მეტკინა და მივანებე თავი წასვლას. დოდიკასთან წაველი და იქ ვიჯექი დილის 4 საათამდე. ლექციაზე ვანიჩკა წავიდა და მითხრა, რომ კარგი ქენი რომ არ წამოდიო, მთელი მისი ლექცია უბრალო კომპილაცია იყოვო. აქ ეხლა, სანდრო, ოთხი გამოფენაა, ჯერჯერობით ვიყავი მხოლოდ ერთზედ, სამხატვრო აკადემიაში „საგაზაფხულო გამოფენაზე“. მართალი გითხრა, მხატვრობის ცოტა მესმის როგორც მოგეხსენება და შეიძლება ეს იყოს მიზეზი, რომ არ მომეწონა (რამოდენიმე სურათის გამოკლებით). თუმცა იქვე ვნახეთ კაკაბაძე – ახალგაზრდა მხატვარი და მანაც გაგვიზიარა თავისი უარყოფითი აზრი გამოფენაზე. ხვალ მინდა, რომ წავიდე სხვა გამოფენაზე. აქ ანდრეი ბელიმ წაიკითხა ლექცია. პირადად ვერ წაველი (ბილეთი ვერ ვიშოვნე 4 მან. ნაკლები). ვანიჩკა იყო და ვერაფერი გაეგო, გადმოულაგებია მთელი ფილოსოფია კანტიდგან დაწყებული. მე რეცენზია წავიკითხე და შენ წარმოიდგინე იქიდგანაც ვერ გავიგე შინაარსი ლექციის. ვკითხულობ ბელის, მაგრამ თითო წინადადებას მგონი ერთი საათი უნდები, ძნელი გასაგებია ძალიან. ეხლა მივხვდი, რამდენად მოუმზადებელი ვყოფილვარ.

ეხლა მოგწერ, სანდრო, 14 თებერვლის ამბებზე. საშინელი ხმები დადიოდა: თითქოს მუშებს გადაწყვეტილი ჰქონდათ იარაღით ხელში გამოსვლა, რევოლუციის დაწყება. ორივე მხარე ემზადებოდა ამ დღისთვის, მუშებს უნდოდათ გამოსულიყვნენ ქუჩაში, მოეწყოთ დემონსტრაციები და წასულიყვნენ სათათბიროში და იქ წარედგინათ განსაზღვრული პოლიტიკური მოთხოვნილებები, თუ საჭირო იქნებოდა, იარაღიც ეხმარათ, არც პოლიციას ეძინა, რასაკვირველია და მიღებული ჰქონდა შესაფერისი ზომები. სწორედ იმ დღეებში გაქრა აქ პური. სულ აღარ იშოვებოდა აღარც თეთრი და აღარც შავი. ამან უფრო ააღელვა ხალხი. თითქმის პანიკა იყო ხალხში. ყველას გადაწყვეტილი ქონდა, რომ 14 დაიწყებოდა რევოლუცია, და ემზადებოდნენ. ჩემს დიასახლისებს წასვლა უნდოდათ ქალაქს გარეთ, მაგრამ მე დავამშვიდე, სტუდენტებმაც გადაწყვიტეს შეერთებოდნენ მუშებს და მათთან ერთად გამოსულიყვნენ ქუჩაში. კომენდანტმა გამოაკრა განცხადებები, რომ თუ მუშებმა არ დაიშალეს და ქუჩაში გამოვიდნენ, იარაღს ვიხმართო. მდგომარეობა მწვავე იყო. თვით სოციალისტურ პარტიებში არ იყო სრული თანხმობა, ზოგი წინაალმდეგი იყო გამოსვლის. მოუთმენლად ველოდით 14 თებერვალს. გათენდა 14 თებერვალი, წავედით უნივერსიტეტში. იქ მოხდა სტუდენტების კრება, ვიღაცამ სიტყვა თქვა და მოუწოდებდა, გამოსულიყვნენ ქუჩაში, გადმოყარეს ფურცლები. 2 საათზე გავემართეთ სათათბიროსკენ, გამოირკვა, რომ მთელ სათათბიროს რგოლი ჰქონდა შემოკრული და უბილეთოდ არავის უშვებდნენ. ასე რომ, იქ დემონსტრაციის მოხდენა შეუძლებელი შეიქმნა. მუშებს სულ აღარ უშვებდნენ ერთი რაიონიდან მეორეში და ამიტომ შეუძლებელი შეიქმნა მათთან შეერთება. წამოვედით სამი ქართველი ერთად ნევის პროსპექტზე და სეირნობა დავიწყეთ, გავიხედეთ და მოდიოდნენ ჯგროდ სტუდენტები, გადაეწყვიტათ ნევის პროსპექტზე დემონსტრაციის გამართვა. პოლიცია სულ არ ჩანდა, თურმე სახლებში იყო დამალული. შევერიეთ სტუდენტებში და სიმღერით წამოვედით ყაზანის სობორისკენ. იქ გამოცვივდნენ პოლიციელები და გვთხოვეს, დავშლილიყავით (პოლიციას ჯერ თავაზიანად ეჭირა თავი). სტუდენტობა არ დაიშალა, მობრუნდა და უკან წამოვიდა კვლავ სიმღერით, პოლიციელები გვერდში მოგვყვებოდნენ. მაგრამ რომ შეატყვეს, რიცხვი იზრდებოდა, უკვე უფრო მაგრად მოგვკიდეს ხელი, ცხენებით გადაგვიღობეს გზა, გვინდოდა, გაგვერღვია წრე და შევერთებოდით მეორე ჯგუფს, მაგრამ შეუძლებელი შეიქნა და როგორც ცხვრის ფარა, გამოგვრეკეს ნევის პროსპექტიდან. სტუდენტები დაიფანტნენ. მაგრამ გავიდა ერთი საათი და უფრო დიდმა რიცხვმა მოიყარა თავი და მარსელიოზის სიმღერით გაემართა ქუჩაში. სხვათა შორის, ვიმღერეთ „საუკუნოდ იყოს“ და საყურადღებოა, რომ ყველა იხრიდა თავს, აფიცრები განსაკუთრებით, ეტყობოდათ სიმპატია ჩვენკენ იყო. უკვე სერიოზული ხასიათი მიიღო დემონსტრაციამ და პოლიციამაც გამოიღო ხელი, მოცვივდნენ უცბად კაზაკები, ჩვენ თვალწინ გამოგვგლიჯეს ორი მუშა და ცემა დაუწყეს, გვიძახდა, ამხანაგებო, მაგრამ შველა შეუძლებელი იყო, რადგანაც „გარადოვებმა“ იშიშვლეს ხმლები. მე და ვალოდია ყველაზე წინ ვიყავით. ყველა გაიქცა, ჩამოვრჩით უკან და ერთი კი გამიელვა თავში, ვაი თუ მზდვა ზურგში-თქვა, მაგრამ ამით გათავდა სულ დემონსტრაცია. მარცხი არ ყოფილა. მუშებს თავის ქარხნებთან მოეწყოთ დემონსტრაციები. ასე იყო საქმეები.



აქ ხმები მოდიოდა, რომ გაფიცვების და დემონსტრაციებისთვის ემზადებიან მოსკოვში და კიევშიაცო. არაფელი ვიცით, მაქეთ რა მოხდა. ან მოხდა კი რამე? თუ დღემ მშვიდობიანად ჩაიარა?

სანდრო, სწორედ ამ საღამოს მივედი ჯავახიშვილთან (ლაპარაკია ივანე ჯავახიშვილზე – **თ.კ.**) და წყაროები მიჩვენა.

უკანასკნელის შესახებ სთქვა, რომ კარგათ არ მახსოვს აქვს თუ არაო, ყოველ შემთხვევაში გადაათვალიეროსო.

გამომკითხა ვისთან მუშაობსო, იცის თუ არა ფრანგულიო, ვუთხარი კი იცის-მეთქი. მერე მითხრა, რომ ძალიან საინტერესო თემაა და ძნელიც არისო. საჭიროა სათანადო ხუროთმოძღვრების ცოდნა და საერთოდ ხელოვნების ცოდნაო. ჯერ ვერ აღუდგენიათ კიდევ გეგმა ბაგრატის ტაძრისო.

მუტერის ფერწერის ისტორია ვიკითხე, აქვს ვოლფს. მხოლოდ ღირს, სანდრო, 31 მან. სამი ტომია და მეოთხე ბენუას ისტორიაა დამატებით (რუსეთის მხატვრობის ისტორიაა). მუტერის ისტორია მხოლოდ XIX საუკუნ. შეეხება. შემომითვალე სანდრო მიცემ თუ არა 31 მ. და გიყიდი. ასეა ჩემო სანდრო საქმეები. სხვა ჩემზე რა მოგწერო. სასწავლო წიგნი, რომ ჩამოვედი აქ არ გამიშლია, წელს არაფერს არ ვაბარებ. ასე რომ, ამ მხრვ თავისუფალი ვარ. მხოლოდ ორ პროსემინარიაში დავდივარ. ამხანაგ კურსისტკებში მივატოვე სიარული მხოლოდ დოდიკას და ლიდა ცინცაძეს (ერთად დგანან) თუ ვნახავ. სხვასთან კი აღარ დავდივარ. ხან და ხან გრ. გველესიანის ქალიშვილს ვესტუმრები, ძალიან კარგი გოგოა, შეხედულებით კი არა ისე, მუჩუტას და ნონასთან ორი თვეა მგონი აღარ ვყოფილვარ. ნამდვილად გემაფროდიტკაა პირველი. „ყვითელი მასწავლებელი“ ქებაა მაგისთვის. მეორე მეტის მეტი პასიური ქმნილებაა. ტყუილა გგონია, სანდრო, რომ მე იმას ვეტრფოდე. არა! ჩემო სანდრო ეს გრძნობა ისე უცხოა ჩემთვის, როგორც არ ვიცი რა ვთქვა. მომწონს მხოლოდ მისი თვალები. სხვა არაფელი.

კარგი ხანია აღარ მომიწერია ლექსები და ეხლა გწერ ამიტომ რამოდენიმეს.

## 1. ქუჩის ქალი

**მიბნედილი სანთლის შუქი, ხან ცისფერი, ხან კი მუქი და ლანდების შავი ბუქი შენ ოთახში ზეიმობენ. შენი კედლის სურათები აბრეშუმის მჩატელები, სარკესავით ღრმა თვალები უბიწობას ურცხვად გმობენ.**

**შენ დარბაზში ვინ არ მოვა? ტანჯვა, ლხინი, სევდა, გლოვა და უსახო მთელი გროვა შენთან მარხავს ნაზ საღამოს. ხან ნილოსის გველსა გევხარ – ძირს ხავერდის ნოხზე წევხარ ჯადოსანი, სირინო ხარ, გსურს რომ „სხვებმა აქ აღამოს“.**

* * *

**დაღალული წუთი სოფლით, ხშირად თვრები ღლიის ოფლით დღეს გაკოცებს უცხო ლოთი – უთავაზებ მჭლე სიფილისს. ფერად ძილში მოკლავ ღამეს, ლურჯ სიზმარში ნახავ რამე არ განაცად ჯერ სიამეს. ფრთას შემოგკრავს ჩრდილი დილის.**

* * *

**ზიქი ქუჩა აწ სარდაფი,**
**ჩახრენწილი მთვრალი დაფი,**
**ოქროს ბრწყინვა და კიაფი –**
**გადაგხვევენ ძმურად ხელებს**
**გავიწყდება ბუდუარი, თეთრი,**
**კოხტა და ნარნარი.**
**თითები კი სულ დამჭკნარი**
**სწერენ წიგნში ყრუ სახელებს.**

## მთვარიან ღამეში

**ღამით მოვალ ფანჯარასთან,**
**(სიო აწევს ფარჩის ფარდას)**
**თეთრი ლოცვით დაღალული**
**ჩუმად გიმღერ სერენადას.**
**„შენ მაისის რიჟრაჟი ხარ**
**ბროლ კისერა – ტუჩებლალი.**
**ხან ვარდივით გაიშლები,**
**ხან მთვარე ხარ ფერმიმკრთალი.**
**შენ ლურჯ ოთახს სულ აგიძებს**
**ვნებით სავსე კლეოპატრა,**
**მიხვალ მასთან ფეხაკრეფით!**
**თითქოს კოცნა მოგენატრა.**
**უცხო სიზმარს ქარგავს მოლზედ**
**ზღაპრის მსგავსი კვიპაროსი.**
**შენ მაგიდას ასევდავებს**
**ნაზი ელო და პარისი.**
**აგერ მოდი ფანჯარასთან –**
**ყური უგდე ცქვიტ სალამურს.**
**შენ ცეცხლიან გულმკერდს დავწვავ,**
**ვაზეიმებ ფრთიან ამურს.**
**ფანჯარასთან ყვავის ია**
**მანდრაგორი, ვარდი, შინდი,**
**აქ დილამდი ვიოცნებებ**
**შენი მცველი და „რაინდი“.**
**შალიკო**

## წითელი დღე

**ჩემი ოთახი დილით ალიონს**
**ვერცხლისფერ მტვერით სულ**
**გაიწმინდა.**
**დღეს მზე ამოვა! (მოვწევ**
**ყალიონს)**
**და ცეცხლი, ცეცხლი, ცეცხლი**
**მომინდა!**
**მან დამივიწყა, ვინც მე**
**მიყვარდა**
**და შემიყვარა ვისაც რომ**
**ვძულდი,**
**დღეს გრძნობამ ერთხელ კიდევ**
**ივარდა –**
**მომეცით ღვინო –**
**დავცალე ლუდი.**
**დღეს ტრფობით ყველას**
**ვეამბორები,**
**ყველას დაუბნევ გულზე მიმოზას,**
**დასწვავს ქვეყანას ცეცხლის**
**რგოლები,**
**დღეს გავიგონებ მარსელიოზას.**
**ჩემი ოთახი მოვრთე მეფურად,**
**ავაყვავილე დამჭკნარი მკვარი.**
**ვიცვალე ფერი, გავხდი ამურათ**
**დაწყევლილ წარსულს**
**ვუთხარ უარი.**
**მომესმის მღერა! და თეთრი**
**ხალხი**
**ცახცახით ელის გარეთ დამწვარ**
**მზეს.**
**დაფხრიწე ფარდა, მოშავო-თალხი**
**და დუდუკებმა ხალხი დარაზმეს.**
**ყვირის ქარხანა, ყიჟინს**
**სცემს ქუჩა,**
**წითელ დღეს ვამკობთ**
**წითელ ენებით.**
**ვიწვებით ცეცხლში და თმა**
**ქუჩურა**
**თან იღებება წითელ ფერებით.**
**შალიკო.**

დავიღალე სანდრო წერით, ღამის ორი საათია. მინდა კასოს მივწერო წერილი და შენ მეგობარს, მაგრამ ხელი აღარ მემორჩილება ჯერჯერობით მხურვალე სალამი ორივე მეგობარს. იმედია მაპატიებენ. ხვალ ან ზეგ წერილსაც მოგწერ, რომ იცოდე როგორ ხვრინავს ვანიჩკა, ამ მაძლევს საშველს. ჩემო სანდრო, მომწერე შენი მინიატურები რამდენი ხანია აღარ წამიკითხავს. „ცისფერი ყანწები“ ძალიან მომეწონა. „ავზნიანი ქალაქი“ ამ მომწონს. შესანიშნავია პაოლას ტრიპტიხი, სუყველაზე უფრო მომეწონა. ლეილა – „არა უშავს რაა“. საფირონნი კი შენ რომ იცი, იქ გამოდგება – ბუდეა შაბლონის. ღირსშესანიშნავია, რომ მოხდა ასეთი კლასიფიკაცია ჩვენი პოეტების, ცისფერ ყანწების, ლეილასი და საფირონის გამოსვლის დრო ღირსშესანიშნავ ისტორიულ მოვლენად შეგვიძლია მივიღოთ. კარგი იქნება თუ გაგრძელდა ასე მომავალში, რომ აღარ მოხდეს არევ დარევა. სანდრო, ეხლა ნახვამდის. ველი შენგან დიდ დიდ ბარათს.

**შენი შალიკო.**

**P. S. აქვე არ შემიძლია გულისტკივილით არ აღვნიშნო ჩემთვის (და, ალბათ, არა მარტო ჩემთვის) ერთი მეტად არასასიამოვნო ფაქტის შესახებ, რომელიც ალექსანდრე ცირეკიძის არქივთანაა დაკავშირებული. „ცისფერყანწელთა ორდენის“ წევრთა, მათ შორის, პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძის, ნიკოლო მიწიშვილის, კოლაუ ნადირაძის და სხვათა წერილები, თავად ა. ცირეკიძის პირადი დღიურები, ქუთაისის თეატრში იმ პერიოდში გამართული შემოქმედებითი საღამოების აფიშები და ბევრი სხვა მნიშვნელოვანი მასალა, რომელთაც დღეს ფასდაუდებელი სამსახური შეეძლო გაეწია ამ მიმდინარეობით დაინტერესებულ მკვლევართათვის „დაიკარგა“. ოჯახში დაცული ეს მასალები დროებით სარგებლობისთვის გადავეცი ჟურნალისტ სალომე ნიკოლეიშვილს, რომელიც იმ დროს ალექსანდრე ცირეკიძეზე წიგნის დაწერას აპირებდა.**

**სამწუხაროდ, ჩემი ნდობა მან ბოროტად გამოიყენა და მთელი არქივი უნამუსოდ მიითვისა.**

**თ. კ.**

**სურათზე: მარცხნიდან მარჯვნივ: ალექსანდრე ცირეკიძე, კასიანე მეგრელიძე (შემდეგში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი) და შალვა აფხაიძე.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## ხელოვნების ქურუმები

### ორი ლეგენდა

მეოცე საუკუნის ქართულ ოპერას ორი დიდი ტენორი ჰყავდა — ვანო სარაჯიშვილი და ზურაბ ანჯაფარიძე. ახლა ისინი ზაქარია ფალიაშვილის მხარდამხარ ოპერის თეატრის ბაღში განისვენებენ.

ზურაბისთვის წარმოუდგენელი იყო, რომ სამუდამო სავანეს დიდი წინაპრების გვერდით მიუჩენდნენ, ანდერძიც დატოვა, ძმასთან დაეკრძალათ ვერის სასაფლაოზე.

მაგრამ ერის ნებამ სამუდამოდ დააკავშირა ორი ლეგენდა.

**ამ წერილში ზურაბ ანჯაფარიძის სიყვარულის ანატომიაზე ვისაუბრებთ: წინაპრების და მასწავლებლების, მუსიკისა და სიმღერის, დედისა და მეუღლის, ერისა და მიწის სიყვარულზე. იმაზეც, თუ როგორ აღმერთებდნენ და ეთაყვანებოდნენ მას.**

„დრომ ვანო სარაჯიშვილის სახელი ლეგენდად, მშვენიერ საიდუმლოდ, სრულქმნილი ხელოვნების სიმბოლოდ აქცია. ვანო თვით ჰანგია. ვანოზე სავსედ, ვანოზე უკეთესად, ალბათ, ვერავინ იგრძნობს, ვერავინ გამოხატავს ქართული სიმღერის ეშხს და ძალას.

ამიტომ არის იგი დიდი, განუმეორებელი, უკვდავი, ამიტომ შეიყვარა ასე მშობელმა ხალხმა, ვანოს სიცოცხლეშივე რომ დაადგა დაფნის გვირგვინი“, — ასე წარმოაჩინა მომდევნომ წინამორბედი.

ბუნებრივია, ზურაბ ანჯაფარიძე პირველთაგანი ილვწოდა ვანოს სახელის უკვდავსაყოფად: „ხშირად მიფიქრია, მაინც როგორი უნდა იყოს ვანოს ქანდაკება, რომლის დადგმა აქამდე ვერ შევძელით. რატომღაც მგონია, რომ მხოლოდ პორტრეტი ვერ გამოხატავს იმ მაღალ პოეზიას, მის ნათელ არსებაში რომ იყო ჩამდგარი. მას უნდა მივუძღვნათ ალეგორიული ძეგლი — „სიმღერა“, რომელშიც გაცოცხლდება ვანოსეული სითბო და გზნება, ამეტყველდება მისი ბობოქარი სული“.

დიდხანს ამაოდ ეცადა თბილისში ვანოს ძეგლის დადგმას, ბოლოს, საქართველოს ბულბულს მშობლიურ სიღნაღში აუგო ძეგლიც და გაუხსნა მუზეუმიც.

ყური მივუგდოთ ნოდარ ანდღულაძეს: „რასაც უნდა მღეროდეს ანჯაფარიძე, სადაც უნდა გადაისროლოს იგი ბედმა, მუდამ რჩება ნამდვილ მომღერლად, ეროვნულ მომღერლად“.

სწორედ ზეგარდმო მადლმა და უშურველმა სიყვარულმა ატარა იგი სრული ტრიუმფით დასაწყისიდან ოლიმპომდე, თბილისის კონსერვატორიის მცირე აუდიტორიიდან ეროვნული ოპერის თეატრის, დიდი თეატრის, ლა სკალას და მსოფლიოს თითქმის ყველა აღიარებული საოპერო თეატრების სცენაზე... სანამ საუკუნის დასასრულს დაღლილი და ვალმოხდილი არ მიეახლა თავის სათაყვანებელ წინამავალს, სანამ ოპერის ბაღში არ შეერწყა ერთმანეთს ორი ლეგენდა.

### მეხანძრე მღერის აბესალომს

არქივს შემორჩა ნორვეგიელი მწერლის ოდ ეიდემის 1952 წელს ჩაწერილი შთაბეჭდილება: „ვეწვიეთ თბილისის კონსერვატორიას, სადაც ახალგაზრდა, ჯერ კიდევ უცნობი მოწაფეები დგამდნენ ოპერას... განსაკუთრებით გამოირჩეოდა ახალგაზრდა ტენორი, რომელიც საუცხოოდ ასრულებდა მთავარ როლს. მალე, ალბათ, მისი სახელი საქვეყნოდ გახდება ცნობილი“.

ეს იყო ზურაბის აბესალომი.

როცა კონსერვატორიაში სპექტაკლი ნახა, ოპერის თეატრის მაშინდელმა დირექტორმა დიმიტრი მჭედლიძემ მაშინვე თავისთან წაიყვანა და იმ დროისათვის ზემოდან დამტკიცებული მკაცრი განრიგის გამო მომღერლის საშტატო ერთეული რომ ვერ მოიძია, კადრების განყოფილებას მეხანძრედ გააფორმებია. მისივე ზედამხედველობით მეხანძრე ანჯაფარიძე ოპერის პრემიერთან, სათაყვანო მაესტროსთან დავით ანდღულაძესთან ხვეწდა აბესალომის პარტიას.

ზურაბის სიყრმის მეგობარი ნიკო ხატიაშვილი იგონებს: „დავითს ერთ სპექტაკლზე პირველი ორი მოქმედება ჩვეული ოსტატობით ჰქონდა შესრულებული, საგრიმიორო ოთახში იჯდა და მესამე მოქმედების დაწყებას ელოდებოდა, გვიან შემოესმა მუსიკის ხმა და სირბილით გავარდა სცენისაკენ. კულისებში ტახტს დაეჯახა და წაიქცა, ფეხი ისე



# ზურაბ ანჯაფარიძის სიყვარულის ანატომია

ეტკინა (ამ შემთხვევამ სამუდამოდ დაუზიანა. — **ზ. შ.**), რომ წამოდგომა ველარ შეძლო, ორკესტრი დაკვრას განაგრძობდა, აბესალომი კი არსად ჩანდა. დარბაზში მჯდარ ზურაბს ეს ცუდად ენიშნა და უმალ კულისებში გაჩნდა. იატაკზე დავარდნილი მასწავლებლის საავადმყოფოში წაყვანა განიზრახა. ტკივილებისაგან გაწამებულმა პედაგოგმა უთხრა: ზურაბ, განაგრძე სპექტაკლი. ჩემს წაყვანას სხვები მოახერხებენ“.

ასე კურიოზული იყო დებიუტი თეატრში „მეხანძრედ“ მისული ყმაწვილისა, რომელიც ორმოცდაორი წლის განმავლობაში 30-მდე ოპერაში და მათგან უმეტესად მსოფლიოს კლასიკაში იმღერებს მთავარ როლებს — აბესალომიდან დაწყებული ოტელოთი დამთავრებული.

მოგვიანებით დავით ანდღულაძე იტყვის: „ვამაყობ, რომ ზურაბის შესანიშნავი არტისტული გზა დაიწყო აქ, თბილისში, რომ აბესალომის, გერმანის, რადამესის, კავარადოსის, ხოზეს საუკეთესო პარტიები განხორციელებულია ჩემი ხელმძღვანელობით“.

### გერმანი — მწვერვალი

**„ზურაბი საოპერო ხელოვნების მოვლენაა“.**
**პაველ ლისიციანი.**

1958 წელს მოსკოვში გამართული ქართული ხელოვნების დეკადის დროს ახალგაზრდა ტენორმა ისე დაატყვევა მუსიკის რუსი მესვეურები, რომ მათ მართლაც „დაატყვევეს“ ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით იგი და თავისთან დატოვეს.

სწორედ აქ განხორციელებულ როლებს შორის საყოველთაო აღიარება ჩაიკოვსკის „პიკის ქალში“ შესრულებულმა გერმანის პარტიამ მოუტანა.

ზურაბის გერმანმა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის საოპერო სცენა დაამშვენა.

1964 წელს „ლა-სკალაში“ არნახული რამ მოხდა. საზოგადოება ერთხმად აღიარებდა, რომ ასეთი გერმანი არასდროს მოესმინა.

„დიდი წარმატება მოიპოვა ზურაბ ანჯაფარიძემ, რომელიც ნამდვილი აღმოჩენა იყო მილანელი მსმენელისათვის. მას აქვს ძლიერი, თანაბარი, ყველა რეგისტრში მჟღერი ხმა და თავისუფლად შეუძლია იტალიის საოპერო თეატრის ყველაზე ცნობილ მომღერლებზე ბევრად მაღლა დადგეს“, — წერდა გაზეთი „იტალია“. მსგავსი ეპითეტებით იყო სავსე იტალიური პრესა.

1965 წელს პარიზის „გრანდ ოპერა“ ზურაბმა არნახული ტრიუმფით „აიდო“.

აღფრთოვანებული სალვადორ დალი ერთ-ერთი სპექტაკლის შემდეგ კულისებში ეწვია და ემოციურად გადაუხადა მადლობა ქართველ მომღერალს.

ქუდბედიანი აღმოჩნდა ამ ალალი, ბავშვივით გულუბრყვილო, მართალი და ულამაზესი კაცის სცენური კარიერა. მის გულწრფელ სიყვარულს სიყვარულითვე პასუხობდნენ პარტნიორები, პედაგოგები, დირიჟორები, რეჟისორები, ყველა, თეატრთა ხელმძღვანელებიდან დაწყებული, გარდერობის მუშაკებით დამთავრებული.

11 წელი იმღერა ზურაბ ანჯაფარიძემ დიდ თეატრში, შემდეგ მშობლიურ თბილისს დაუბრუნდა, მისი სათაყვანო ქუთაისიც საოპერო ქალაქად მონათლა, ვერდის „ოტელოს“ შემდეგ ბიძინა კვერნაძის და გია ყანჩელის ორ ქართულ ოპერაში გაიბრწყინა.

### საკრალური 12 აპრილი

ზურაბ ანჯაფარიძის და მარინა მაჭავარიანის უცნაური და საოცარი სიყვარულის ისტორია ქართველ საზოგადოებას წლინახევრის წინათ თავის უკანასკნელი წერილით გააცნო ჟურნალისტმა ნარგიზა მგელაძემ.

მკითხველს ვთავაზობ ერთ ამონარიდს. ქალბატონი მარინა მოგვითხრობს:

„თხუთმეტი წლისა ვიყავი, დედამ კონსერვატორიაში რომ წამიყვანა მაყვალა ქასრაშვილისა და ლელი ჯაფარიძის გამოსაშვებ საღამო-კონცერტზე. პირველად მეცვა მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი და მთელი საღამო დაძაბული ვიყავი, ფეხი არ გადამიბრუნდეს-მეთქი.

ანტრაქტის დროს, კიბის მოაჯირთან მდგომს, ცალი ფეხსაცმელი წამძვრა და ქვემოთ ჩავარდა. წარმოიდგინეთ, 15 წლის ქალიშვილისათვის რა საშინელება მოხდა. ვდგავარ ყაყაჩოსავით აწითლებული, დაბნეული, მგონია, ქვეყანა თავზე ჩამომექცა, აღარ ვიცი, რა ვქნა და ვხედავ, კიბეებზე ამოდის ულამაზესი ახალგაზრდა კაცი, ხელში ჩემი ფეხსაცმელი უჭირავს და ღიმილით ამბობს: ვისაც ამ ფეხსაცმელს ჩავაცმევ, ჩემი ცოლი გახდება. გვერდით ირაკლი შუშანია მოჰყვება, ჩემი კარის მეზობელი, შემამჩნიეს და ჩემსკენ წამოვიდნენ.

— უჰ, ეს სულ ბავშვი არ ყოფილა, — თითქოს დანანებით თქვა ამ უფლისწულივით ლამაზმა კაცმა, — ა, ბიძიკო, ჩაიცვი ეს შენი ფეხსაცმელი.

ირაკლიმ ჩემი თავი წარუდგინა...

მესიზმრებოდა ხოლმე, გაჩირაღდნებულ დარბაზში ჟღერს მუსიკა, ჩემთან მოდის უფლისწული, მაცმევს ფეხსაცმელს და ცოლად მივყავარ.

დრო გადიოდა, უფლისწული არ მოდიოდა. მე ვიზრდებოდი... მაგრამ განგებამ ისე ინება, რომ კვლავ შევხვდი ჩემს უფლისწულს გვიან, თუმც არც იყო გვიან და ცის კარაბადინში ასე ეწერა, ზუსტად ამ დროს უნდა შევხვედროდით ერთმანეთს.

ზურაბი ცოლს დიდი ხნის გაცილებული იყო, დიდ თეატრში მჩქეფარე მოღვაწეობა უკან ჰქონდა მოტოვებული და თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორად მუშაობდა, მეც ჩემი გოგონასთვის საახალწლო საკარნავალო კოსტიუმის სათხოვნელად ოპერის დირექტორთან მიმიყვანა იმავე ირაკლი შუშანიამ.

შევაღე თუ არა კარი, მისალმების მაგიერ ზურიკომ მკითხა:

— აა, შენი ფეხით მოხვედი?

— სად? — დავიბენი მე.

— სადაც უნდა მისულიყავი“.

იხ. მე-11 გვ.

## გამოლიშვილი

# „სანამ თვით საქართველო ამგვარ ტყვეობაშია, მე მირჩევნია ვიქნე ორმაგ ტყვეობაში“...

## გრიგოლ ლორთქიფანიძისათვის ეროვნული გმირის წოდების მინიჭების თაობაზე

**1918-1921 წ.წ. დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ, სამხედრო და განათლების მინისტრმა გრიგოლ სპირიდონის ძე ლორთქიფანიძემ თავისი ხანმოკლე ცხოვრების პერიოდი მეფის ციხესა და კატორღებში, შემდეგ კი ბოლშევიკების ჯურღმულებში გაატარა.** სადაც არ უნდა ყოფილიყო გრიგოლი, ყველგან ქართული ენის, მამულის და სარწმუნოებისათვის თავგანწირვისა და გონიერების მაგალითს იძლეოდა. მაგალითად, ქუთაისის ცნობილ საზავო მოლაპარაკებისას, სადაც ორივე მხარეს ქართველები ისხდნენ, მას თავგანწირვით მოუხდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვა და მიაღწია რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის აღიარებას, რის გამოც ქართველმა რევკომის წარმომადგენლებმა თავისი რუსი ბატონებისაგან სასტიკი საყვედური დაიმსახურეს.

როდესაც ქ. ქუთაისის 1921 წლის 17-18 მარტის ცნობილი მოლაპარაკებიდან გრ. ლორთქიფანიძე ბათუმში დაბრუნდა, უკვე ზღვაში გასული მარსელში მიმავალი გემიდან ოჯახის წევრები მცირეწლოვან ბავშვებთან ერთად ჩამოსვა. ის ემიგრაციაში არ წავიდა და გენერალ მაზნიაშვილთან ერთად, ბოლშევიკების მიერ ბრესტის ზავით უკვე გასხვისებული ბათუმი და ბათუმის ოლქი გაათავისუფლა თურქი დამპყრობლებისაგან.



ნიშანდობლივია, რომ გრ. ლორთქიფანიძის მინისტრობის დროს კიდევ უფრო განმტკიცდა საქართველოს სამხედრო ძლიერება, სტაბილური ხდებოდა ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობა. ქართულმა ჯარმა სძლია მოხალისეთა არმიის ნაწილებს და სოჭის ოლქი დაიკავა, დაამარცხა სარვალ ბეგის მეამბოხეები და მესხეთის დიდი ნაწილი საქართველოს შემოუერთა. სასტიკად აილაგმა რუსების მიერ პროვოცირებული ოსებისა და აფხაზების ანტიქართული გამოსვლები.

გრ. ლორთქიფანიძემ ჯერ კიდევ მეტეხის ციხეში ყოფნისას წამოაყენა იდეა „თეთრი გიორგის“ ორგანიზაციის დაარსებისა. საზღვარგარეთ წასულმა ახალგაზრდებმა ხიმშიაშვილმა, სალიამ, ნაკაშიძემ და სხვებმა ეს იდეა განახორციელეს და დააარსეს ქართველ პატრიოტთა ორგანიზაცია „თეთრი გიორგი“, რომლის მიზანი საქართველოს განთავისუფლება იყო.

ბოლშევიკებმა გრიგოლ ლორთქიფანიძეს ეს არ აპატიეს და ჯერ ქუთაისის, ხოლო შემდეგ მეტეხის ციხეში მიუჩინეს ბინა, 1922 წლის დეკემბერში კი 53 სხვა ქართველ პოლიტიკურ პატიმართან ერთად მძევლებად რუსეთში გადაასახლეს. გრიგოლ ლორთქიფანიძე ყველგან თავგანწირვით იცავდა ქართველი ერის ინტერესებს და მათ კანონიერ უფლებებს. ამისათვის არაერთი საპროტესტო წერილით მიმართა ტროცკის, სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს პირველ პირებს და თავად სტალინსაც.

1923 წელს ბოლშევიკებმა საქართველოში გაითამაშეს მენშევიკური პარტიის თვითლიკვიდაციის ფარსი, რაც ცინიზმის განსაკუთრებულ ნიმუშს წარმოადგენდა. სუზდალის საპყრობილეში მყოფ გრ. ლორთქიფანიძეს ყოფილმა თანაპარტიელებმა არჩილ რუხაძემ, სანდრო პარნიევმა და სხვებმა წერილით მიმართეს, რათა მასაც უარი ეთქვა თავის პრინციპებზე და ბოლშევიკების პოზიციებზე გადასულიყო. მან 108-გვერდიანი საპასუხო წერილი გამოგზავნა, სადაც ნათლად ჩანს გრიგოლ ლორთქიფანიძის არა მარტო უზადო ზნეობა და სულის სიმტკიცე, არამედ დიდი ინტელექტუალური პოტენციალიც. არგუმენტები, რომლითაც ის აბათილებს ბოლშევიკურ შეხედულებებს, განსაკუთრებით აქტუალურია.

მას რომ ბოლშევიკების წინადადება გაეზიარებინა, ტკბილი ცხოვრების საშუალება მიეცემოდა თავის ოჯახთან ერთად. მაგრამ ის თვლიდა, რომ ეს ღალატის ტოლფასი იქნებოდა და ციხის ცივ კედლებში ყოფნა ამჯობინა.

1923 წლის 11 თებერვალს იაროსლავლის საკატორღო ციხიდან გრ. ლორთქიფანიძემ ციხის კომენდანტს გაუგზავნა საპროტესტო წერილი, სადაც აცხადებდა, რომ ქართველი ტყვეები, პროტესტის ნიშნად, უარს ამბობდნენ საჭმელზე, გასეირნებაზე და სხვ. და აი რატომ: „ორი წლის წინ 11 თებერვალს დამოუკიდებელ საქართველოს თავს დაესხა რუსეთის ჯარი, დაიპყრეს და დაიმონეს მთელი ქართველი ხალხი, ჩვენ კი წამოგვიყვანეს ტყვეებად და მძევლებად რუსეთში, მკაცრ კლიმატურ პირობებში“. გრიგოლმა ამ წერილს გაუკეთა მინაწერი. „როდესაც ეს იმპერიალისტური და შოვინისტური ძალადობა პირუთვნელად ინიღბება კიდევ ინტერნაციონალური და სოციალისტური ნიღბით, მე, როგორც სოციალისტი, რომელიც უკვე 22 წელია ვიბრძვი რევოლუციური სოციალიზმის რიგებში, კიდევ უფრო მკაცრ პროტესტს ვაცხადებ ამ სამარცხვინო ქმედების წინააღმდეგ“.

1924 წელს სუზდალის ციხეში პატიმარი ამხანაგების თხოვნით გრიგოლმა მოხსენება წაიკითხა იმ დროს ტროცკის მიერ გამოქვეყნებულ დებულებებთან დაკავშირებით და თვალნათლივ დაასაბუთა, რომ „ადრე იქნება თუ გვიან, საქმე გათავდება კომუნისტური რუსეთის სრული კაპიტულაციით“.

1924 წ. სუზდალელმა ქართველმა პატიმრებმა გრ. ლორთქიფანიძის ინიციატივით წერილით მიმართეს რუს სოციალისტებს, სადაც ვრცლად და დამაჯერებლად არის ასახული ის საშინელებები და ტრაგედია, რასაც გამხეცებული რუსული წითელი იმპერიალიზმი ინტერნაციონალიზმის ლოზუნგით აკეთებდა საქართველოში.

იხ. მე-8 გვ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 84, ორშაბათი, 31 მარტი, 2003 წელი.

## მამულიშვილი

(მეშვიდე გვერდიდან)

წერილის ბოლოს ნათქვამია: „ერი იბრძვის, ის მარცხდება, მისი მხედრობა წყდება, მაგრამ ნურც მოსწრებოდეს ჩვენი მტერი იმას, რომ მათთან ერთად საქართველოს ტვინიც გასრესილიყოს! არა, ტვინმა უნდა გააგრძელოს მუშაობა ერისათვის, დღეს დახოცილებს ახალი თაობები შეცვლიან, ერის თავი და მისი აზროვნება მუდამ უნდა დარაჯობდეს ეროვნული მეცნიერების ჭურჭელს“.

სუზდალის ციხის საკანში, 1922-1924 წლებში, დაიწერა შესანიშნავი ნარკვევი „ფიქრები საქართველოზე“, სადაც პოლიტიკური ფილოსოფიის ფონზე კრიტიკულად არის გააზრებული საქართველოს უახლესი ისტორიის ძირითადი მომენტები, რომელთა ერთ-ერთი აქტიური მომქმედი პირი თავად იყო. „ფიქრებში“ დიდი ადგილი უკავია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემის მიზეზებსა და ქართველი ერის მომავალი ყოფნა-არყოფნის პრობლემას. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ფილოსოფიური და რეალისტური პოლიტიკური აზროვნების სიღრმით, მასშტაბებითა და ნაფიქრის პუბლიცისტური გადმოცემის მანერით, გრ. ლორთქიფანიძის ნარკვევი არა მარტო უახლესი დროის, არამედ საერთოდ, ქართული ფილოსოფიურ-ესეისტური ჟანრის ერთ-ერთი შედევრია.

1925 წლის 9 იანვარს გრ. ლორთქიფანიძემ სუზდალის ციხის საკანში დაწერა „წერილი ანდერძისა“, რომელიც მეტად საყურადღებოა და მნიშვნელოვანი. ის წერს: **„ჩემი მტკიცე სურვილია, თუ ვინიცობაა რუსეთის ტყვეობაში გარდავიცვალო, ნურავითარ შემთხვევაში ნუ ჩამოვა ჩემი მეუღლე ან სხვა ჭირისუფალი. რა თქმა უნდა, ჩემი სურვილია სამშობლოს მიწის გულში ჩახუტება, მაგრამ ეს მეტად ძნელი იქნება და თანაც სანამ თვით საქართველო ამგვარ ტყვეობაშია, მე მირჩევნია ვიქნე ორმაგ ტყვეობაში...“**

ის აქვე ზრუნავს იმ დიდ ეროვნულ საფლავებზე, რომლებიც ობლად მიტოვებულია სპარსეთ-ოსმალეთ-რუსეთში. ასე მაგალითად, სოლომონ მეფის, ალექსანდრე ბატონიშვილის, ვახტანგის და გენათელი მიტროპოლიტი ექვთიმესი და სხვათა. „და მხოლოდ მერმედაა დასაშვები ზრუნვა ჩვენი თაობის ისეთ საფლავებზე, როგორიცაა ჩემი ძვირფასი მეგობრის ალექსანდრე ლომთათიძის, სტეფანე ახმეტელაშვილის და სხვათა. შვილების საყურადღებოდ კი ამბობს: **„ჩემო ძვირფასებო, თქვენ რომ გაიზრდებით, გაიგებთ, რომ მე სოციალისტი და ინტერნაციონალისტი ვიყავი, გაიგებთ, თუ რას ნიშნავს ეს სიტყვები, გაიგებთ იმასაც, რომ რუსეთმა სოციალიზმის საბაბით დაიპყრო საქართველო და მე სხვა მრავალ მოქალაქესთან ერთად ტყვედ და მძევლად წამიყვანა თავის ქვეყანაში. ჩემი კატეგორიული ნებაა, რომ ჩემმა შვილებმა საქართველოში მიიღონ განათლება, და თუ ასეთი საშუალება ექნებათ, სწავლა გააფართოვონ საქართველოს გარეთ, ეს უნდა იქნეს დასავლეთ ევროპის რომელიმე სახელმწიფო“.** საჭიროა სახელმწიფომ იზრუნოს ამ პოლიტიკური ანდერძის აღსრულებაზე.

სუზდალის ქართველი პატიმრები პირადად იცნობდნენ საბჭოთა კავშირის მაშინდელ „საკავშირო მამასახლისს“ მიხეილ კალინინს. როცა იგი საქართველოს ეწვია, მუშების წინაშე გამოსვლისას ცდილობდა გაემართლებინა საბჭოთა რეჟიმის დამყარება საქართველოში და ის მუშათა კლასის „სანუკვარ ოცნებად“ მონათლა. ამან აღაშფოთა სუზდალის ციხის ქართველი პატიმრები და საპასუხოდ 1925 წელს, გრ. ლორთქიფანიძის ინიციატივით, 61-გვერდიანი წერილი გაუგზავნეს კალინინს, სადაც დამაჯერებლად იყო აღნიშნული ბოროტების ის ფაქტები, რომელსაც საქართველოში წითელი რუსეთი ჩადიოდა.

თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა გრიგოლი მშობლიურ ენაზე სწავლებას, ეს ნათლად ჩანს შვილებისადმი მისი ანდერძიდან. მეუღლემ, უკრაინელმა ქალმა, სულ ორსამ თვეში შეისწავლა ქართული ენა, რუსეთში გადასახლებულ მეუღლესთან ქართულ ენაზე ჰქონდა მიმოწერა. მან გრიგოლის სამივე შვილს ქართულ ენაზე მისცა განათლება, საქართველოს პატრიოტებად აღზარდა, მათ საქართველო არ მიუტოვებიათ. რეპრესიების იმ საშინელ პერიოდში შემოინახეს გრ. ლორთქიფანიძის მდიდარი არქივი, რომელიც 1997 წელს საზეიმო პირობებში გადაეცა საქართველოს პარლამენტს.

> ## „სანამ თვით საქართველო ამგვარ ტყვეობაშია, მე მირჩევნია ვიქნე ორმაგ ტყვეობაში“...
>
> **გრიგოლ ლორთქიფანიძისათვის ეროვნული გმირის წოდების მინიჭების თაობაზე**

1927 წელს ქ. კურსკიდან გრ. ლორთქიფანიძემ ვრცელი წერილით მიმართა საქართველოს განათლების კომისარს მარიამ ორახელაშვილს, სადაც ასაბუთებდა და ამტკიცებდა, რომ საჭიროა სკოლებში და უნივერსიტეტში ქართულ ენას მეტი ყურადღება დაეთმოს, ვიდრე სხვა ენებს.

1928 წელს გრ. ლორთქიფანიძეს ნება დართეს საქართველოში ჩამოსულიყო ოჯახისა და მოხუცი მშობლების სანახავად. საქართველოს იმდროინდელმა მთავრობის წევრებმა მ. კახიანმა, ლ. ღოღობერიძემ და სხვებმა მას შესთავაზეს დაეთვალიერებინა საქართველოს რაიონები და თავისი შეხედულებები წერილობით წარედგინა მათთვის.

გრიგოლმა მათი თხოვნა შეასრულა და ლევან ღოღობერიძეს წერილი წარუდგინა, სადაც მეტად მწვავედ გააკრიტიკა საბჭოთა ხელისუფლების საქმიანობა. ამის გამო 1928 წელს საქართველოს კპ (ბ) ცეკას პლენუმზე მ. კახიანმა მკაცრად გააკრიტიკა გრიგოლი და აღნიშნა, რომ მისი დახმარება საბჭოთა ხელისუფლებას არ ჭირდება. გრიგოლი იძულებული გახდა კურსკში, გადასახლების ადგილას დაბრუნებულიყო.

გრ. ლორთქიფანიძეს საქართველოს ბედი მუდმივად აწუხებდა. ის ყველა მომენტს იყენებდა, რათა საქართველო დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოეცხადებინათ. და აი, 1929 წლის 21 დეკემბერს ი. სტალინის დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით ბელადს 200-სიტყვიანი მისალოცი დეპეშა გაუგზავნა, სადაც კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ იმ დროს, როდესაც ტაჯიკეთს მოკავშირე რესპუბლიკის უფლებები მიეცა, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ავტონომიის ნაშთთა სრული, საბოლოო ლიკვიდაცია მოხდა და ის გადაიქცა რუსულ საბჭოთა ადგილმამულად, კრინიცკის მეთაურობით.

აბა, წარმოიდგინეთ, 1929 წელს სტალინის ნახევარსაუკუნოვან საიუბილეო ზეიმზე, „ვიღაც პატიმარი კაცი“, ბედავს და ასეთ კრიტიკულ მილოცვის დეპეშას უგზავნის. იგი მეორე დღესვე დააპატიმრეს და ვორონეჟის ციხეში გამოკეტეს. ვორონეჟში მისი ჯანმრთელობა საგრძნობლად შეირყა. მისი მეუღლე და შვილები რამდენიმე წლით გადასახლდნენ ქ. ვორონეჟში, რათა გრიგოლისათვის მოევლოთ. გრიგოლის კატეგორიული თხოვნით ისინი საქართველოში დაბრუნდნენ, საკუთარ ფესვებს რომ არ მოწყვეტილიყვნენ.

1935 წლის მარტში გრ. ლორთქიფანიძემ, ალექსანდრე დგებუაძემ და კანდელაკმა წერილით მიმართეს საბჭოების VII ყრილობის საკონსტიტუციო კომისიას (თავმჯდომარე – ი. სტალინი, წევრები – ვ. მოლოტოვი, მ. ლიტვინოვი, კ. რადეკი...) მათ ახალ კონსტიტუციაში შესატანად წარადგინეს თავისი შენიშვნები, სადაც ვრცლად იყო დახასიათებული საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხები.

განათლების საკითხებში მას დავა ჰქონდა საკავშირო განათლების კომისარ ბუბნოვთან. დავა კომპარტიის საკავშირო ცენტრალური კომიტეტის დონეზე გადაწყდა. ეს აქტიურობა პოლიტიკურ ასპარეზზე გრიგოლს ძვირად დაუჯდა. 1937 წლის 13 იანვარს იგი გამოიძახეს ქ. ვორონეჟის სახელმწიფო პოლიტსამმართველოში და აცნობეს, სპეცდადგენილებით დაპატიმრებული ხარ და 5 წლით ციმბირში გადასახლება გაქვს მისჯილიო.

1937 წლის მარტ-აპრილში, ლ. ბერიას განკარგულებით, გრ. ლორთქიფანიძე საქართველოში ჩამოუყვანიათ. ლავრენტი თურმე ცდილობდა იგი გამოეყენებინა, როგორც წამყვანი ძალა, ვითომც დივერსიული ჯგუფის აღმოსაჩენად. მის საქმეებში ინახება ბ. ქობულოვის აგენტური მონაცემები, რომ თითქოს ნ. ჟორდანიას პარიზში განუცხადებია: „თუ საქართველოში შესაძლებელია ვინმეზე დაყრდნობა, ეს გრ. ლორთქიფანიძეაო“.

გრიგოლი სასტიკად აწამეს, მაგრამ ამ მითიური ჯგუფის არსებობაზე ხელი ვერ მოაწერინეს. 1937 წლის 2 სექტემბერს გრ. ლორთქიფანიძემ მოწამეობრივად დალია სული.

**ნათქვამია, რომ „ჰეროიკულად შეიძლება შეფასდეს ადამიანის ერთი ნაბიჯიც კი, თუ მასში ჩაქსოვილია ქმედება, რომელიც თავისი თავგანწირვითა და გონიერებით აღემატება დროსა და სიტუაციას“. გრ. ლორთქიფანიძის სახელს 70 წლის მანძილზე ტაბუ ჰქონდა დადებული. მის შესახებ ჯერ კიდევ ყველაფერი არ ვიცით, მაგრამ რაც ვიცით, მისი თავგანწირვის მაჩვენებელია. ის ჭეშმარიტად ეროვნული გმირია. მომავალმა თაობამ თავისი ღირსეული წინაპრების შესახებ აუცილებლად უნდა იცოდეს და ამისათვის საქართველოს პრეზიდენტს ვთხოვთ გრიგოლ ლორთქიფანიძეს მიანიჭოს საქართველოს ეროვნული გმირის წოდება.**

**გურამ ლორთქიფანიძე,**
**გრიგოლ ლორთქიფანიძის საზოგადოების თავმჯდომარე, პროფესორი;**

**გრიგოლ ზარძუა,**
**საზოგადოების სწავლული მდივანი, დოცენტი;**

**საზოგადოების პრეზიდიუმის წევრები:**

**აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე, აკადემიკოსი შოთა ნადირაშვილი; აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ვახტანგ შამილაძე; არქეოლოგ-კავკასიოლოგი გივი ღამბაშიძე; ეთნოგრაფი ლევან ფრუიძე; დოცენტი გიორგი მელითაური; დოცენტი გელა საითიძე; არქეოლოგი მამუკა დათუკიშვილი.**

## სიყმაწვილე და ლექსი ერთია



## ირმა შიოლაშვილი

### ორშაბათი

დატეხილია ჩემი თითები
და მზერა ისე სევდიანი,
რომ სიზმრებსაც გადააბრუნებს...
ჩემში მთავრდება ორშაბათის
მშვიდი საღამო
და თითებიდან სისხლთან ერთად
საღამო წვეთავს...
ხოლო ის კაცი, ვინც ჩემს მზერას
მაფი გამოსდო
და გულზე მაფის გორგალივით
გადაისვია,
დგას ორშაბათის ჩამოთოვლილ
გზაგასაყარზე...
ჩემი ცხოვრება ორშაბათის შეჯამებაა
და აღარ ვიცი, რას მივენდო,
ამ კაცის ღიმილს —
რომელმაც ჩემი სევდა
გულზე გადაისვია,
თუ ბრძნულ ნათქვამს, რომ
ორშაბათით იწყება კვირა
და ხვალვე ყველა ორშაბათებს
ჩამოიტოვებს.

ივლისი, 1999 წ. ბონი.

* * *

### ნაფლეთი

მე უარყოფა ვისწავლე გვიან,
ლოდინზე გვიან, ლოცვაზე გვიან,
ჩურჩულებს წლები და წლებს
და ქარებს
თქვენი დაშლილი სახელი ჰქვია.
მე მინდა, სახელს ვემსხვერპლო
უხმოდ,
მე მინდა, ცრემლის სისუსტეს ვგავდე.
შეცვლილი თრთოლვა
განთიადს უხმობს,
ტრიალებს დარდი... აშინებს დარდებს
და დამსგავსებით დაღლილი მიწა
ფეთქავს და კვნესის, კვნესის
და ფიქრობს:
— რომელი სევდა უხდება წიწვებს,
ან მზეს და ტკივილს, ან მთვარის
მიკრობს;
მე სინანულიც ვისწავლე გვიან
და შევეჩვიე დაზაფრულ მიმწუხრს,
წლები წლებია... თავისი მიაქვს,
მე მმიმედ ვსუნთქავ და გული
მიწუხს
და დამსგავსებით დაღლილი მიწა
იხსენებს რაღაც თანხმობის მაგვარს,
მე წრეზე ვბრუნავ და უხმოდ ვიწვი
და ჩემი ცრემლი სხვა ცრემლებს
არ ჰგავს.
საიდან... როგორ... ლოდინზე გვიან
ჰკარგავს სხეული მთვარის სინათლეს
და ჩემს სისუსტეს — ცრემლი რო
ჰქვია,
ჩემი სხეულის უხმო ბინადარს
ვუკოცნი თვალებს და მფეთქავ
გულზე
ვიგონებ რაღაც სინათლის მაგვარს,
თუმცა თვალები არყოფნას უმზერს
და ჩემი ცრემლიც სხვა
ცრემლებს არ ჰგავს...

1994 წ.

* * *

იმ სურვილებით უნდა გავქვავდე,
ხეს რომ დაადნა წვიმის წვეთებად,
ყველას წვიმების მადლი გფარავდეთ
—
მე... ჩემი მადლიც მეიმედება.
და გდარდობთ. თუმცა შეშლილი
მარტი
როცა ტკივილებს აცლის მზეტიალს,
მე გამოვდივარ სახლიდან მარტო,
და დაღლილ ცრემლში ვიწვებ ხეტიალს.

1994 წ.

* * *

არ შეიძლება ლექსებს წერდე
მეელი ინტიმით,
მეელი ცოდვებით მიდიოდე
ტაძრის კარებთან
და სიკვდილივით გაშინებდეს
რაღაც მარტივი —
ბრმად მოდებული
სიყვარული გულისგარეთა.
არ შეიძლება მოწესრიგდე,
როცა სახელად გქვია პოეტი
და ფოთლებში ემებ სინაზეს,
აჰა, საღამოს მეელი ბოღმა
ამოასველა
და დასჯილივით მიგაჯაჭვა
ფანჯრის მინაზე.
რა მარტივია ყველაფერი,
როცა ხმაურობ,
და ყველა ხდება მოყვარული და
შენიანი
და ტკივილამდე აჯადოებს შენი აურა
ადამიანებს... მომლოდინე
ადამიანებს
და რა რთულია ყველაფერი,
როცა იღლები,
როცა მთიები მკერდზე აკრულ
დაღებს იჩენენ,
როცა შენიდან, როგორც ჭიდან,
ამოიღებენ
წყალს, რომ გვალვისგან მშრალი
გვამი გადაირჩინონ,
და უცნაურად იტყვირთები...
თუმცა ფარულად
რაღაც მარადი ჩაუქრობი
ცეცხლივით გათბობს...
და სიმარტივე — ერთადერთი
თავშესაფარი
ისე მიგელის, როგორც მზისგან
დასიცხულ სატრფოს.

1995 წ.

### გასაუბრება

იყოს შენი ხმა აფოფრილი
სახოწარკვეთა,
ოღონდ მეელისმეელ სამკაულებს
აღარ მოეძო..
სიტყვის ნაპირი მონაცრისფრო
მზერით დაკვეთეს
და, შეგაღამდა მოლოდინის გზაზე,
პოეტო!
შენ შეგაღამდა. ოღონდ ახლა
ნურაფერს იტყვი,
ოღონდ ბრმა წვევდიადს ნუ
დაფოთლავ მეელი ცრემლებით
და მერე, თუნდაც დაგაწამლოს
სამყაროს სიტყვა,
სამყარომ, შენ რომ ვერასოდეს ვერ
შეგელევა.
ახლა დადუმდი, ახლა რაღაც უნდა
ჩამოდნეს,
უნდა მოგისმონ, უნდა გკითხონ და
გამოგრიყონ
და მერე ფოთლის ჩამომჭკნარი
ფერით სარობდე
და ჯიღად გედგას მომლოდინე,
მტკივანი სიტყვა
და მოყვითალო ფოთლის სევდა
შურდეთ მავანებს,
რაღაცა შურდეთ ამ დუმილში და
სინანულში...
ვარდისფერ ეკლებს ისე ისდენს
ზეცის თავანი,
ვინ რას მორომავს, შენს დუმილზე,
ვინ რას მორომავს.
აკეცე ფარდა — უმჯობესი
იქნება ასე...
ნუ დაუდგები მეელი ცრემლით
სამყაროს მისნად,
შენ იცი შენი დასისხლული
გენიის ფასი.
შენ გინდა, შენი დაეკლილი
გენია იხსნა.
პოეტო, ერთმა, ერთმა ბიჭმაც
იქნებ დაშალოს
შენი ბალღური აღტაცებით
მშვენი იერი,
ამ სამყაროში რაღაცა თუ არ
შეგეშალა,
იმ სამყაროში ვერ იქნები მხნე
და მძლიერი.
ერთი ნაბიჯი... მოფართქალე ჩიტის
გულებით
სავსე და მაინც ამოზრდილი მიწის
სმებიდან,
ჩამოიხსენი ეგ ბრჭყვიალა სამკაულები
და გაიქეცი, გაიქეცი ამ ცხოვრებიდან.

1994 წ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## სიყმაწვილე და ლექსი ერთია



# მაია წიგნაძე

მე გადავცურავ ზღვას,
და მივადგები სხვას,
შენ აღარავინ გეავს
და გავხარ ეულ მგზავრს
მე გავიხურავ კარს
და მოვძებნი ჩემს გზას, —
შენ ნუ გადახვალ ზღვარს
და ნუ აიმღვრევ წყალს.
მე ვერ დაგიფენ ბზას
და ვერ გაჩუქებ ცას,
შენ ნუ გააჩენ ბზარს
და გულს ნუ ატკენ სხვას.
* * *

ვიღაცა ეძებს დაკარგულ მზერას,
ღამის ცას თითქოს ატევია დაღი,
საათი უსმენს ჩემს გულის მღერას,
მარტოობისგან კვნესის ოთახი.

დაბრუნდა უკან დაღლილი რაში,
ვერ იმორჩილებს მოთენთილ სხეულს,
მე ჩავინთქმები მწუხარებაში,
ლოცვით შევხვდები ახალ ასწლეულს.

## მელოდია

კლავიშს შეეხო ხინაზით თითი
და დაიბადა მათ შორის ვნება.
თითქოს გაცოცხლდა მშინარე მითი
და აღმოცენდა ბედნიერება.

გულმა გაგლიჯა გრძნობის საზღვარი
და შეეწია ნოტებს არეულს,
ვერ ამოვავსე სულის ნაპრალი
და დავემსგავსე გიჟმაჟ მთვარეულს.
* * *

შენი კივილი, ჩემს ფიქრებს სწვდება,
შენი ტკივილი ჩემს გულს ატირებს
და უსაშველო, ველური ვნება,
ჩემს დაფლეთილ სულს მოინადირებს.
* * *

თითქოს ბუნებამ განიმარცვა სამოსი ჭრელი
და აიტაცა ქარმა ყვითელ ფოთოლთა ჯარი;
მე გაზაფხულის სიტკბოებას ღიმილით ველი,
აღარ მაშინებს ულმობელი, ველური ქარი.
* * *

თურმე ნატვრის ხე დაბერებულა
და მისი ტანი შემად ქცეულა,
რამდენი ვიმე გაჩერებულა
და ოცნებებით გადარეულა.
ერთ ნატვრას შეგთხოვ, ჩემო ნატვრის ხევ,
სანამ დაგათოვს,
დამახატვინე ის ყვითელი მზე,
ჩვენ რომ გაგვათბოს.

## მოდით, დავხატოთ

მოდით, დავხატოთ ლამაზი ქალი,
ცელქი ღიმილით გამთბარი ქუჩა,
ცეკვით დაღლილი, თავნება ქარი,
აყვავებული ხოფლად ალუჩა.

მოდით, დავხატოთ ლურჯი აპრილი,
აჭრელებული იის კორდები,
წვიმის წვეთების თეთრი აჩრდილი,
დაგორებული კლდიდან ლოდები.

მოდით, დავხატოთ ხე უკვდავების,
გამომერწილი ტანი ქალწულის,
უსასრულობა ნატიფი ვნების
და უკვდავება სულში ჩაწნული.

მოდით, დავხატოთ ალუბლის ტოტი,
გადაპენტილი ყვავილედებით,
თბილისის ქუჩა დავხატოთ, მოდით,
წითელფეხება, თეთრი მტრედებით!
* * *

მიდის ზამთარი,
ფიფქების და ქარის თარეშით
და როგორც ფიფქი
მეც ზეციდან ფიქრად დავეშვი.
მიდის სიცივე
და გზას უთმობს მზეს სიყვარულის
და როგორც იამ,
მეც ვიგრძენი ეს სიხარული.
მიდის სიბნელე,
გარიჟრაჟი გააპობს ღამეს
სუნთქვაშეკრული
ვითვლი ზამთრის მილეულ წამებს.
* * *

სიყალბეს ვხედავ თვალებში, ფულში,
სიცივეს ვხედავ ხალხის მზერაში.
პოეტმა იგრძნო ტკივილი გულში
პოეტი მოკვდა ლექსის წერაში.

# გუბე

რა უძიროა ფიქრი ადამიანისა და რა უსასრულო, მიუწვდომელი, როგორც ზეცა. ხანდახან გულში აფუვდება ფიქრთა გუნდა, ახმაურდება და გაიბერება. დიდხანს ეძებს გარეთ გასასვლელს და ბოლოს ჰპოვებს ცრემლთა ნაკადში, სულის სარკის, თვალის ჩამონაბანში.

გულია ფიქრის ნავსაყუდელი, თვალია მისი გზა სიცოცხლისკენ და ცრემლია ფიქრის მშობელი. თვალი შობს ცრემლს, ცრემლი შობს ფიქრს. ცრემლის მეშვეობით გამოაღწევს ხოლმე ფიქრი ჩაკეტილი გულიდან, გამოვა და თავბრუს დაასხვევს ადამიანს, რას აღარ გააკეთებინებს. რამდენი ადამიანიცაა, იმდენგვარია ფიქრიც.

მე ახლა ვდგავარ ერთი გუბის პირას. ეს ჩვეულებრივი გუბე არ გეგონოთ, ცრემლთა გუბეა. პაწაწკინტელა ცრემლის მარცვლები ეწვეთებიან მოთეთრო გუბის ზედაპირს და წრეებს ხაზავენ. ყველა ცრემლის მარცვალი ერთი ფერისაა, სულია განსხვავებული. შეუმღვრეველია გუბე. ეს ფიქრთა გუბეა, ადამიანების ფიქრთა პატარა ზღვაა.

გუბეში ვიყურები. რა უცნაურია?! ჩემი თავის ნაცვლად იქ მთელი სამყარო დავინახე. პატარა დედამიწა დავინახე, რომელიც ისევე ბრუნავს, როგორც ნამდვილი. მაგრამ არა! ცოდვები აბლაბუდებივით ჩახლართულან მის ღერძში და უჭირს ტრიალი. დრო კი არ უცდის და მაინც მიქრის. ვეღარ ეწევა დროს დედამიწა. გაშტერებული ვიყურები. რა ვქნა? რა ვუშველო?

და ხელი გავაწვდინე, უნდა მეცადა ცოდვების ამოგლეჯვა ღერძიდან, მაგრამ, როგორც ხელი შევახე, გაქრა.

და ახლა ტალახიანი გზა გამოჩნდა. მცივა, ვტირი, რა მოხდა? შორს, ძალიან შორს რკინისმუზარადიან მეომრებს ვხედავ,არაბუნებრივი, ხმელი ნაბიჯებით რომ მიარღვევენ ცოდვიან ტალახს. ხმა გავიგონე, დაჭრილი ჯარისკაცის ხმა. საწყალი ძლივს მიღოღავს ტალახში და სისხლის ნაკვალევს ტოვებს. ომია! გავიფიქრე, ხელს შევაშველებ-მეთქი და, როგორც კი ხელი გავაწვდინე, ჯარისკაცი გაქრა.

უცებ ბავშვების ქრიამული შემომესმა. არა, ეს უფრო რაღაც ღნავილის მსგავსი ხმა იყო. ცხელა, შიშველი ბავშვები მიწაზე ყრიან, მუცელგამობერილები, მაგრამ მშივრები. თითქოს ცხადად განვიცადე შიმშილი და თვალები დავხუჭე. გაქრა ზმანება.

მეშინოდა, მაგრამ კიდევ ჩავიხედე. ბავშვის ტირილი გავიგონე, თოთო ბავშვის ტირილი. ახალი სიცოცხლე, ახალი სული და ახალი ფიქრი. სპეტაკი, უცოდველი ბავშვი მოევლინა ქვეყანას. ბედნიერია მშობელი დედა, ის ხომ საწყისია სიცოცხლისა.

თითქოს მომხდარმა წარსული დამავიწყა და სრული ბედნიერება მაგრძნობინა.

თოვლში მივდივარ, ქათქათა თოვლში. ცაში ვიყურები. ის ისეთივე უსასრულოა, როგორც ყოველთვის. რას ვეძებ? შენ გეძებ უფალო ყველგან და ყოველთვის, ყველაში და ყველაფერში შენ მინდა გხედავდე.

და გამოვფხიზლდი. ისევ გუბის პირას ვდგავარ, არ მინდა ვინმემ დამინახოს. წავალ, ღამდება, მალე მთვარეც ამოვა.

უცებ ჩემს თვალსაც მოსწყდა ერთი ცრემლი და ნელა, აუჩქარებლად გუბეში ჩაეწვეთა. წკაპ! თითქოს გუბემ იგრძნო ახალი ფიქრის მოახლოება და ახმაურდა, აგუგუნდა, აჭრელდა... წვეთის გარშემო ნაოჭა წრეები გაჩნდა და ჩემი ფიქრი გუბეს შეუერთდა. ისევ მიჩუმდა გუბე.

ბედნიერება ვიგრძენი. ვიცი სასაცილოდ მოგეჩვენებათ თქვენ. მივდივარ. ახლა ვიცი, რომ იმ უსასრულო ფიქრთა ზღვაში, მთელი მსოფლიოს ფიქრთა სავანეში, ჩემი პატარა ფიქრიც ურევია.

და უკანასკნელად ჩავიხედე გუბეში. ჩავიხედე და ჩემი თავი დავინახე, გვერდით კი დიდი, ყვითელი მთვარე.

**მაია წიგნაძე,**
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ პრემიის ლაურეატი,
თელავი.

## ჩვენი ენა ქართული

# «სხვას მივბაძო?! – ვის?!»

**„ათასი რამე-რუმით აივსო ჩვენი უბედური ენა. სადღაა ქართული ენა, სადღა გაიბას ქართულმა ენამ ფესვი?“ — ღაღადებდა ბრძენკაცი.**

დიდმა ილიამ კარგად იცოდა, რომ, ერთი მხრივ, საჭირო იყო ნიადაგის გაწმენდა ისეთი საერთაშორისო სიტყვებისათვის, რომლებსაც ყველა ცივილიზებული ხალხის ენაში გზა ხსნილი აქვს, მაგრამ დიდმა მამულიშვილმა ისიც უწყოდა, რომ აუცილებელი იყო ბრძოლა უცხო სიტყვების მოზღვავების წინააღმდეგ.

XIX საუკუნის I ნახევრის ქართული სალიტერატურო ენა სავსე იყო უცხო და უხეირო სიტყვებით. „ოთარაანთ ქვრივის“ ავტორი მათ „გარმიანულ“ (გადამთიელთა) სიტყვებს უწოდებდა.

თუ XIX საუკუნეში ქართულის მიმართ რუსული ენის მომძლავრების გამო ჩვენი ენა სულს ღაფავდა, უარეს დღეშია დღეს, ინგლისურისაგან შევიწროებული და დატუქსული.

გადავშალოთ დღევანდელი ნებისმიერი გაზეთი ან ჟურნალი. მტვერივით შემოგვეფრქვევა უამრავი მიუღებელი ბარბარიზმი, დიალექტიზმი, ჟარგონი, ორთოგრაფიული წუნი. საგულისხმოა, რომ შეცდომები მოსდით „განათლებულ“ ინტელიგენტებს — ჟურნალისტებს.



ავიღოთ ერთ-ერთი საკმაოდ პოპულარული გაზეთის (სახელწოდებას შეგნებულად არ დავასახელებ) მხოლოდ ერთი გვერდი. სურათი შემაშფოთებელია:

„მამაკაცების წინ საჭესთან ჯდომის პრივილეგია მან ქალაქ კერეჯაში მოიპოვა“.

სიტყვა „პრივილეგია“ განა რითი სჯობს ხასხასა ქართულ „უპირატესობას“? არაფრით. მაშ, წინადადება ასე გაიმართება: „მამაკაცების წინ საჭესთან ჯდომის უფლება (უპირატესობა) მან ქალაქ კერეჯაში მოიპოვა“.

მეორე მაგალითი:

„ხელისუფალთა ნოვაცია, ალბათ, ძალიან მოეწონებათ ლონდონელებს“.

რა საჭიროა უცხოური „ნოვაცია“, როდესაც ქართულს მისი ზუსტი შესატყვისი მოეპოვება? ეს არის „სიახლე“. წინადადება ასეთ სახეს მიიღებს: „ხელისუფალთა სიახლე, ალბათ, ძალიან მოეწონებათ ლონდონელებს“.

როგორც ვხედავთ, გასწორდა სხვა შეცდომაც: „ალბათ“ ჩართულია და ტექსტს მძიმეებით უნდა გამოეყოს.

კიდევ მაგალითი:

„პროვაიდერმა მომხმარებელს ახალი, უფასო მომსახურება შესთავაზა“ და „ამისთვის აბონენტმა უნდა აკრიფოს საინტერესო ნომერი“.

„პროვაიდერს“ მშვენივრად ცვლის ქართული „მწარმოებელი“ და „მეწარმე“. ამდენი სიტყვა გვაქვს და მაინც უცხოურს ვეპოტინებით? მაშასადამე, ქართულია: „მწარმოებელმა მომხმარებელს ახალი, უფასო მომსახურება შესთავაზა“.

ასევე საინტერესოა მეორე შემთხვევაც. „აბონენტმა“ უკვე გაიდგა ფესვი ჩვენს მეტყველებაში, რაც, ჩემი აზრით, სულაც არ არის სასურველი. აბონენტი — იგივე მომხმარებელია, „სააბონენტო მომსახურება“ „კი — სრულ უაზრობად მოჩანს. მაშ, ქართულია: „ამისთვის მომხმარებელმა უნდა აკრიფოს საინტერესო (ალბათ, სათანადო — ავტ.) ნომერი“.

სხვა თუ არაფერი, ქართულად მაინც ჟღერს!

პირდაპირ შეჭამა ჩვენი პრესა სიტყვებმა: ბოსი, შეფი, სნობები, ფანები და ა. შ.

ჩვენი ფიქრით, ისინი არ უნდა გავაკაროთ ჩვენი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებს, რადგან მათი შესატყვისები მოგვეპოვება.

იმავე სტატიაში უამრავი სხვა შეცდომაც არის დაშვებული, რაც აზრის სისუსტესა და სიმწირეზე მიუთითებს. მაგალითად, არ უნდა იყოს სადავო, რომ სპორტსმენები „ცდის პირები“ კი არ არიან, არამედ გამოსაცდელი პირები. საერთოდ კი, ეს ორი სიტყვა ერთად იწერება, — „ცდისპირები“. ამავე დროს, მათ სძინავთ და არა „ძინავთ“; მხოლოდ ხანგრძლივი ფიქრის შედეგად მივხვდი, რომ ფრაზით — „დიდი თოჯინების სახლების კოლექცია“ — ჟურნალისტს ეწადა ეთქვა: „დიდი კოლექცია თოჯინების სახლებისა“ ან „თოჯინების სახლების დიდი კოლექცია“. ასევე საკმაო წვალება დამჭირდა, გამეგო, რას ნიშნავდა ფრაზა: „მუზეუმები მოუვლელია და პრინცმა ფასიანი სადილი გამართა“. ბოლოს ვიგუმანე: თურმე, ფასიანი სადილის მოწყობის შედეგად შემოსული თანხა მუზეუმის კეთილმოსაწყობად გადაირიცხებოდა. ასევე გაურკვეველია, რა საჭიროა ორი ერთნაირი სიტყვის ხმარება იქ, სადაც სრულიად საკმარისია ერთი. არადა, წერენ: დიდი დავა-კამათი. უნდა იყოს: „დიდი დავის შემდეგ გამონაკლისი დაუშვეს“.

ზოგ ჟურნალისტს თავი მარინეტის სკოლის მიმდევრად წარმოუდგენია და სასვენი ნიშნები გვერდზე მოუსროლია. ამის მხოლოდ ორიოდე მაგალითს მოვიყვან:

„სწორედ რამადანის წინ, ეგვიპტეში, ერთი ამბავი მომხდარა“...

ამ შემთხვევაში მძიმე არსად არ იყო საჭირო, რამდენადაც „წინ“ დროის გარემოებაა, „ეგვიპტეში“ — ადგილისა. ისინი სხვადასხვა წევრებია და მათ შორის მძიმე არ დაისმის.

**„მწერალი, აგრეთვე, მოქალაქეცაა“.**

**იხ. მე-11 გვ.**

(იხ. მე-11 გვ.)

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 84, ორშაბათი, 31 მარტი, 2003 წელი.

სხვა გაზეთიდან

# მაყვალა ქასრაშვილი:

# „მე სიყვარული პროფესიას შევწირე მსხვერპლად“

**„იგი არასდროს არ ყვირის საკუთარ თავზე“, — მითხრა მაყვალა ქასრაშვილზე მისმა ერთ-ერთმა კოლეგამ. ლამის მთელ წელიწადს ვურეკავდი ქალბატონ მაყვალას ინტერვიუს იმედით, მაგრამ ხან რა მოიმიზეზა, და ხან — რა. ჩვენ კი უკვე ვიცნობდით ერთმანეთს. იგი პირველად ვნახე ალა დემიდოვას სახლში, სადაც ქასრაშვილს მათი საერთო ნებიერა, პეკინესი მიკი ჰყავდა მოყვანილი. როდესაც ამ ორ მსახიობთაგან ერთი მოსკოვიდან მიდის ხოლმე, ძაღლს მეორე იტოვებს. „მაყვალას ოქროს გული აქვს“, — ამბობს ალა დემიდოვა... მართლაც იგი, არა მარტო შესანიშნავი მომღერალია, არამედ ლამაზი ადამიანიც არის. ერთი წლის წინათ პრიმადონას ცხოვრებაში მოულოდნელი მოვლენა მოხდა: იგი დიდი თეატრის საოპერო დასის მმართველი გახდა. ჩვენ მის სამუშაო კაბინეტში ვსაუბრობთ.**

***— ქალბატონო მაყვალა, გაგიჭირდათ დათანხმება ამ თანამდებობის დაკავებაზე?***

— როდესაც ჩვენმა დირექტორმა ანატოლი იქსანოვმა და მუსიკალურმა ხელმძღვანელმა ალექსანდრე ვედერნიკოვმა დასის მმართველობა შემომთავაზეს, პირველად შევშინდი, და უნებლიედ აღმომხდა: „მაგრამ მე რომ კიდევ მინდა ვიმღეროო?“ მათ გაეცინათ და მითხრეს: „იმღერეთ, რამდენიც გენებოთო“, და ამიხსნეს, რომ სწორედ მოქმედი მომღერალი სურთ, იხილონ მმართველის ადგილზე...

***— ეტყობა, დაგიფასეს დელიკატურობა, რომელიც ესოდენ აუცილებელია თეატრალური კოლექტივის ცხოვრებისათვის. რთული სამუშაოა?***

— ეს არის ძალზე პასუხსაგები სამუშაო, ყოველ მომღერალს თავისებური მიდგომა სჭირდება. კიდევ კარგი, რომ დასისთვის ჩემთან ერთად ვედერნიკოვიც აგებს პასუხს. ყველაფერს ერთად ვწყვეტთ. მაგრამ ბოლო სიტყვა მას ეკუთვნის.

***— რატომღაც მგონია, რომ ბუნებით თქვენ უფრო ადვოკატი ხართ, ვიდრე პროკურორი...***

— ლია მოგილევსკაიას, ჩემ კონცერტმაისტერს, ჩემთვის ხშირად უთქვამს, შენ მომღერალი კი არა, ვექილი უნდა ყოფილიყავიო, იმიტომ, რომ ყველას ვექომაგები. არ შემიძლია, გული ვატკინო კაცს. კარგად ვიცი, როგორ სძაგს მომღერალს რაღაც უარყოფითის გაგონება. მაგრამ ჩვენ ხომ ყოველთვის ვერ ვხედავთ საკუთარ თავს და არ გვესმის ჩვენი ხმა. ყოველ ადამიანს სჭირდება მეგობარი ან პედაგოგი, რომელიც გააკონტროლებდა.

***— ბორის პოკროვსკი ამბობდა: იმისათვის, რომ კარგი მომღერალი იყო, მარტოოდენ ხმა არ კმარა, საჭიროა სულის სისპეტაკე, საჭიროა სინდისიერება...***

— რა კარგია, რომ ჩემი დიდი მასწავლებელი გაიხსენეთ. უდიდეს თაყვანს ვცემ. მან გამზარდა მსახიობად. მისი წყალობით გამომივიდა ტატიანა, ნატაშა როსტოვა, პოლინა „მოთამაშეში“. სწორედ მან მამღერა ტოსკა, თუმცა ყველანი წინააღმდეგი იყვნენ, შიშობდნენ, რომ ამ უძნელეს პარტიაში ხმას დავკარგავდი. თავიდან ძალიან ვმორცხვობდი, შებოჭილი ვიყავი, ის კი დამეხმარა, გამომევლინა მთელი ჩემი შინაგანი ძალები.

***— თბილისის კონსერვატორიაში თქვენ გნახათ და შემდეგ დიდ თეატრში მოსასმენად მიგიწვიათ ანატოლი ორფიონოვმა. მაშინ სწორედ იმ თანამდებობაზე მუშაობდა, რომელიც ახლა თქვენ გიკავიათ. თავად თქვენ შესძელით, აღმოგეჩინათ და დიდ თეატრში მოგეყვანათ ვინმე?***

— არიან, რა თქმა უნდა, მომღერლები, რომლებიც მე ამოვარჩიე და მინდოდა, ჩვენთან ემღერათ. მაგალითად, ვორონეჟის თეატრის სოლისტი ირინე მაკაროვა უკვე მუშაობდა ჩვენს სცენაზე და, მე ვფიქრობ, საბოლოოდ ჩვენთან დარჩება.

***— გადავიდა თეატრი უკვე საკონტრაქტო სისტემაზე?***

— ამას თანდათან ვაკეთებთ. ყველაფერს ფინანსები წყვეტს. მაგრამ ყოველი დადგმის წინ ვაწყობთ მომღერალთა მოსმენას და კონტრაქტს ვუდებთ მათგან საუკეთესოებს, მიუხედავად იმისა, თუ საიდან არიან ისინი ჩამოსულნი. იგორ სტრავინსკის „გიემაქის თავგადასავლის“ პრემიერაში შემსრულებელთა უმრავლესობას მოწვეულები შეადგენენ. მთავარი გმირის ენის პარტიას დიდებულად ასრულებს „გელიკონ-ოპერის“ სოლისტი ელენე ვოზნესენსკაია. სპექტაკლი საუცხოოდ დადგა და გააფორმა დიმიტრი ჩერნიაკოვმა. დირიჟორია პეტერბურგელი ალექსანდრე ტიტოვი. მიმაჩნია, რომ ეს დადგმა თეატრის დიდი წარმატებაა.

***— რამდენი სოლისტია საოპერო დასში?***

— სამოცდაექვსი. საკონტრაქტო სისტემა ხელს უწყობს საუკეთესოთა ბუნებრივ შერჩევას. ჩვენ ვზრუნავთ იმისათვის, რომ გამორჩეული შემოქმედნი, რომლებიც დიდ თეატრს სჭირდება, იმის ნახევარს მაინც იღებდნენ, რაც მათი დონის ხელოვანებს აქვთ დასავლეთში.

***— როგორია მომღერლის საშუალო ხელფასი?***

— დაახლოებით სამი ათასი რუბლი. იმედი გვაქვს, რომ გაიზრდება პრეზიდენტის იმ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომ თეატრს მიეცეს დოტაცია. თითოეული სპექტაკლისათვის ჩვენ ვიღებთ ჰონორარსაც. მაქსიმალური განაკვეთია 16 ათას 500 რუბლი, მინიმალური — ათჯერ ნაკლები. დასავლეთისთვის ეს კაპიკებია.

***— რატომ არის სპექტაკლების ასეთი განსხვავებული დონე — ზოგს გაძლებაზე უსმენ, ზოგზე კი ნამდვილ ტკბობას განიცდი, თუმცა, მართალი გითხრათ, ეს არც ისე ხშირად ხდება?!***

— ეს დამოკიდებულია შემსრულებელთა ერთობლივ კულტურაზე — მომღერლის, მსახიობის, მუსიკოსისა... ჩვენ გვყავანან შესანიშნავი მომღერლები. მაგრამ ხდება ხოლმე, რომ სცენაზე გამოდის მთლად ფუჭი არტისტი — არც შთაგონება ეტყობა, არც როლში წვდომა, ხეირიანად კოსტიუმიც კი ვერ მოურგია. სპექტაკლი მაშინვე ფუჭდება, თუმცა, საუცხოო რეჟისორის დადგმულია. ასეთი მომღერალი ვერ აღგანთებს, არ ხდება ენერგეტიკის გაცვლა.

***— რატომ? ერთ დროს დიდ თეატრში მაღალი სტილი იყო...***

— მე ბევრს დავდივარ მსოფლიოში და ვხედავ, რომ ნებისმიერი საოპერო თეატრის დონე ხან ეცემა, ხან კვლავ მაღლა იწევს. დიდ თეატრში დონის დაცემა, ეტყობა, იმან განაპირობა, რომ პიროვნებები შემოგვაკლდა. ერთ დროს ხელაღებით იღებდნენ ახალგაზრდებს, ოღონდ, სიმღერა სცოდნოდათ, და ერთბაშად უშვებდნენ სცენაზე. მაგრამ ოპერაში მარტოოდენ სიმღერა ბევრს არაფერს ნიშნავს. საჭიროა, კიდევ, შექმნა ნამდვილი სახე. ისე კი, მთლიანად ვერ დაგეთანხმებით. მაღალი სტილის მაგალითია ჩვენი უკანასკნელი ნამუშევრები: „ტურანდოტი“, „გიემაქის თავგადასავალი“ და კლასიკური დადგმები, როდესაც სპექტაკლებში ნამდვილად ნიჭიერი ხალხი მონაწილეობს. ამ ცოტა ხნის წინათ, ჩვენ მოვიწვიეთ განთქმული ბანი პაატა ბურჭულაძე ბორის გოდუნოვის სამღერლად, და სპექტაკლს უდიდესი წარმატება ხვდა. 14 ივნისს ჩვენთან გაიმართება ამ გამოჩენილი მომღერლის შემოქმედებითი საღამო.

***— ხომ ვერ დაგვისახელებდით ახალგაზრდა ტალანტებს?***

— რატომაც არა. ეკატერინე ვასილენკო, ირინე სამოილოვა, ლოლიტა სემენინა, ოლღა ჩერნიშოვა, ანდრია დუნაევი, მიხეილ კაზაკოვი, ნიკოლოზ კაზანსკი, ვადიმ ლინკოვსკი...

***— ვლადიმერ ატლანტოვმა საზღვარგარეთ წასვლის წინ მიამბო, რომ კრებაზე ვიღაცამ დარბაზიდან წამოძახა, სულ სხვა ნოტი აიღეო. ამ რეპლიკამ იგი შეურაცხყო. თუმცა, არ ცდება მხოლოდ ის, ვინც არ მუშაობს, ასე არ არის?***

— ატლანტოვს უბრალოდ გული ატკინეს, რაც ყოვლად დაუშვებელია. ბრძენნიც კი ცდებიან. ჩვენ ხომ ცოცხალი ადამიანები ვართ, შეიძლება აღელდე, რაღაც შეგეშალოს, ანდა, გაციებული იყო... ხმა უფაქიზესი ინსტრუმენტია, ხოლო სპექტაკლი ყოველთვის არის ემოციური დატვირთვა. ერთში სოლისტი ორმოც წუთს მღერის, მეორეში — საათნახევარს, და ეს იგივეა, რომ ერთ კვირას იმუშაო დაზგასთან. მომღერალს უდიდესი მოფრთხილება სჭირდება.

***— თუ იგი ფორმას კარგავს?***

— უნდა გაერკვე, რაშია საქმე. მაგრამ ისე კი არა, რომ გული დასწყვიტო. როდესაც სპექტაკლში ვმღეროდი, ლია მოგილევსკაია მუდამ ჩემს გვერდით იყო კულისებში. თუ რაღაც აღარ გამომდიოდა, ერთბაშად კი არ მომახლიდა, მამხნევებდა: „ყოჩაღ, ყველაფერი რიგზეაო“. მეორე დღეს, როდესაც ემოციები დაცხრებოდა, ვკითხავდიხოლმე, რა არ გამომივიდაო? და ჩვენ ერთად ვარჩევდით, რატომ წავიბორძიკე სადღაც, თუმცა, მსმენელმა ვერაფერი შეამჩნია. მეც სწორედ ასე ვუდგები კოლეგებს.

***— ქალბატონო მაყვალა, თქვენი ბრწყინვალე კარიერა შეიძლება მაგალითი იყოს ახალგაზრდებისათვის. როდის დაიწყეთ სიმღერა?***

— თორმეტი წლისამ უკვე ზეპირად ვიცოდი ბევრი საოპერო არია, მათ შორის, მამაკაცისა. ჩვენ ქუთაისში ვცხოვრობდით, ვუსმენდი რადიოს, რომელშიც იმ დროს ხშირად ჟღერდა კლასიკური მუსიკა, და შემსრულებლებთან ერთად ვმღეროდი მელოდიებს, რომლებიც მომწონდა. დიდი ხნის შემდეგ გავიგე, რომ თურმე ვბაძავდი კარუზოს, ლანცას, ჯილის, ანჯაფარიძეს... სწორედ მაშინ მოვისმინე როსინის „გერია“, ზარა დოლუხანოვას შესრულებით და განმაცვიფრა მისი ხმის სილამაზემ... ცამეტი წლისამ დავიწყე სწავლა ქუთაისის სასწავლებელში. მაგრამ ოთხი წლის შემდეგ კინაღამ ხმა დავკარგე: ვმღეროდი ნებისმიერ მდგომარეობაში, გაციებულიც კი, თანაც, სისტემატურად მიწევდა სხვადასხვა შეკრებებზე გამოსვლა...

***— როგორ აღმოჩნდით თბილისის კონსერვატორიაში?***

— ჩემი მეგობარი გოგონა ვერა დავიდოვას კლასში ჩაირიცხა. გადავწყვიტე, მეც ჩავსულიყავი, და მოსამზადებელ განყოფილებაზე მიმიღეს. მაგრამ მე ვოცნებობდი დავიდოვას კლასზე. როდესაც ეს შეიტყო, ვერა დავიდოვამ თქვა: „რაში მჭირდებაო ასეთი მოწაფე — უხმო“.

***— როგორ დაიყოლიეთ?***

— ვიჯექი მისი კარის პარმაღთან და ვტიროდი. შევეცოდე, და თავის კლასში ამიყვანა. ერთი წლის შემდეგ ხმა დამიბრუნდა. მე არათუ არ გამომიტოვებია არც ერთი ჩემი გაკვეთილი, სხვისაზეც ვიჯექი, ვცდილობდი, არაფერი გამომრჩენოდა. როდესაც გამოვიდა რენატა ტებალდის ფირფიტა, ვისწავლე ბატერფლაის არია, ვბაძავდი გამოჩენილ იტალიელ მომღერალს. მივედი და ვუმღერე დავიდოვას. მოხდა სასწაული: ხმა, რომელიც ღრმად ყოფილა ჩამალული, უეცრად გამოთავისუფლდა და აჟღერდა — მსუბუქად და ბუნებრივად...

***— ერთხელ თქვენ თქვით, რომ არ გიყვართ ცისფერი როლები. ალბათ, იმიტომ, რომ მთელი ხელოვნება ტანჯვაზეა აგებული. და ეს სატანჯველი სიმღერაში რაღაცით უნდა გამოხატო?***

— რა თქმა უნდა.

***— თქვენ განგიცდიათ ტანჯვა?***

— გახსენებაც არ მინდა — პატარაობიდან. დედაჩემსა და მამაჩემს რთული ურთიერთობა ჰქონდათ. მამა სულ ქალებს დასდევდა. მე შვიდი წლისა ვიყავი, როდესაც იგი დედამ გააგდო. მახსოვს, ფეხშიშველი მივდევდი ღრმა თოვლში... მამამ მიგვატოვა და აღარ გვეხმარებოდა. დარჩა დედა მარტოდმარტო, ორი შვილის ამარა, გვიან ღამემდე მუშაობდა, მე კი მთელი საოჯახო მეურნეობა მებარა. დედა მიკრძალავდა გარეთ გასვლას, ბიჭებს ხმა არ გასცეო. როდესაც ცამეტი წლისას მეზობლის ბიჭმა სიყვარულის ახსნა მომინდომა, ისე გავბრაზდი, რომ ვცემე.



***— ხომ არ დაასვა დაღი ასეთმა ბავშვობამ თქვენს პირად ცხოვრებას?***

— სამწუხაროდ, დაასვა. თბილისში სულ თავჩაღუნული დავდიოდი. მაგრამ გავიდა ხანი და იფეთქა პირველმა სიყვარულმა. მაგრამ ჩემს გულისსწორს არ სურდა, რომ მე მემღერა. მე კი მეხუთე კურსიდან წამიყვანეს დიდ თეატრში.

***— როგორ მოხდა ეს?***

— როდესაც მოსკოვიდან გამოძახება მოვიდა, ყველა ცდილობდა, რაღაცით დავესაჩუქრებინე. დედამ კრაველის ქურქი მომცა, ვერა დავიდოვამ — ლამაზი თბილი შალი. ხოლო ვაჟა ჩაჩავა ჩემთან ერთად დარბოდა რუსთაველზე, რათა ჩექმები ეშოვა, საბოლოოდ, იუგოსლავურები ვიყიდეთ... ჩემთან ერთად წამოვიდა თვით ვერა დავიდოვაც. მოსმენაზე ვიმღერე არიები „ბოჰემიდან“ და „ტოსკადან“. რამდენიმე წუთის შემდეგ მითხრეს, დიდი თეატრის სტაჟიორთა ჯგუფში ხართო ჩარიცხული. ეს უდიდესი ბედნიერება იყო!

***— თქვენი ტოსკა მზად არის, ყველაფერი გაწიროს სიყვარულის გულისათვის. თქვენ?***

— სიყვარულის გულისათვის მე პროფესია ვერ გავწირე. მართალია, მოსკოვში სულ მალე გავთხოვდი — ერთ კვირაში გავმიჯნურდი. მას ტექნიკური განათლება ჰქონდა, მაგრამ კარგად იცოდა ლიტერატურა, პოეზია, შესანიშნავ ყვავილებს მჩუქნიდა. ყოველივე ამან სულ სამ თვეს გასტანა — და სიყვარულიც ჩაიფერფლა... ჩემს სიცოცხლეში ორჯერ ვიყავი შეყვარებული. ასე ინება უფალმა.

***— თქვენ, როგორც თეატრში ამბობენ, არასდროს არ გითხოვიათ არავითარი პარტია, არ გამოგიჩენიათ კატეგორიულობა, რომ თქვენთვის დაედგათ სპექტაკლები. მართლა ასეა?***

— მე თუ რაღაც მინდა, შემიძლია ვითხოვო, მაგალითად, კოსტიუმის ფასონის გადაკეთება, მაგრამ მოთხოვნებს არავის ვუყენებ. ეს სიმართლეა.

***— აბა, ერთხელ კულტურის მინისტრს დემიჩევს რომ მიმართეთ?***

— 1975 წელს გაიმართა დიდი თეატრის გასტროლები „მეტროპოლიტენ-ოპერაში“, სადაც ტატიანას ვმღეროდი. რეცენზიები საუცხოო იყო. ოთხი წლის შემდეგ „მეტროპოლიტენმა“ ტატიანას სამღერლად მიმიწვია იური მაზუროკთან ერთად უკვე თავის დადგმაში. კონტრაქტი ხელმოწერილი გვქონდა, როდესაც „გოსკონცერტიდან“ მაცნობეს, თეატრი არ გიშვებთო... ჩემი მეგობრის ქმარი იცნობდა დემიჩევის თანაშემწეს და სწორედ მან მომახვედრა მინისტრთან. დემიჩევმა მომისმინა და მითხრა: „თქვენ გაფრინდებით“. მე ნიუ-იორკში ვიმღერე და მივიღე მომავალი სეზონის მიწვევა... ინტრიგა ის გახლდათ, რომ ერთ ჩვენს წამყვან მომღერალს თავად სდომებია „მეტროპოლიტენში“ წასვლა...

***— იმ წლებში საზღვარგარეთის კონტრაქტები ჰქონდა დიდი თეატრის სულ ხუთ სოლისტს — ელენე ობრაზცოვას, ვლადიმერ ატლანტოვს, იური მაზუროკს, ევგენი ნესტერენკოს და თქვენ. სად მღეროდით ამერიკის შემდეგ?***

— კოვენტ-გარდენში, სადაც 1980 წელს მიმიწვიეს დონე ანას პარტიის შესასრულებლად მოცარტის „დონ ჟუანში“. სამი სეზონი გამოვდიოდი. შემდეგ იქვე ვასრულებდი ვიტელიას მოცარტის ოპერაში „ტიტუსის გულმოწყალება“. კრიტიკოსები წერდნენ, „ეს მოცარტისეული ლედი მაკბეტიაო“, და მოცარტის მომღერალს მიწოდებდნენ.

***— დიდ თეატრში შეგისრულებიათ მოცარტი?***

— ვმღეროდი გრაფინია ალმავივას „ფიგაროს ქორწინებაში“, როცა სტაჟიორად ვიყავი. „კოსტიუმიანი“ როლია — თეთრი პარიკი, „ხაბარდა“ კაბა... ვერავინ ვერ მიცნო. და პირველი სტატია ჩემზე დაიბეჭდა დიდი თეატრის გაზეთში, სადაც გალინა ვიშნიოვსკაიამ ქებით მოიხსენია ჩემი პროფესიონალიზმი.

***— ჩვენი კრიტიკოსები თქვენ ვერდის მომღერლად გთვლიან. თქვენ ხომ აიდას გარდა ამნერისსაც მღერით?***

— პირველად აიდა ვიმღერე მიუნხენში 1984 წელს, თანაც ისე, რომ არ მქონდა გავლილი საორკესტრო რეპეტიცია. იმპრესარიომ სპექტაკლამდე ოთხი თვით ადრე დამირეკა და მკითხა: „აიდას იმღერებ?“ — ვუპასუხე, ვიმღერებო. და ვისწავლე პარტია. მიუნხენში გავიარე იგი დირიჟორ ნელო სანტისთან ერთად. სპექტაკლის შემდეგ სანტიმ მკითხა: „აქ საიდან მოხვდით?“ — „მოსკოვიდან-მეთქი“ — ვუპასუხე და დავძინე: „მაესტრო, მე პირველად ვმღერი აიდას“. „თქვენ რა, დამცინით?“ — აღშფოთდა იგი. ერთი წლის შემდეგ „აიდას“ სეზონი გავხსენი „არენა დი ვერონაში“. ასე ისურვა სანტიმ... სამი წლის შემდეგ ვიმღერე ამნერისიც. ჯერ ნიუ-ჯერსიში, მერე კი — მოსკოვში.

***— კარიერის წლებში თქვენ რეპერტუარი შეიცვალეთ და დრამატული სოპრანო გახდით. ეს შეგნებულად გააკეთეთ?***

— რა თქმა უნდა. რაც უფრო მრავალფეროვანია ხასიათები, მით უფრო საინტერესოა მუშაობა. მიყვარს პარტიები გერმანული ოპერებიდან — შტრაუსის „ელექტრას“ დათრგუნული ქრისოთემიდა, იგი ტორონტოში შევასრულე, იგივე შტრაუსის „სალომეას“ მგზნებარე იროდიადა, აგრეთვე, ვაგნერის „ლოენგრინის“ ქედმაღალი ორტრუდა. ორი უკანასკნელი პარტია გერგიევის დირიჟორობით ვიმღერე... მე წილად მხვდა ბედნიერება, მემუშავა მსოფლიოს უთვალსაჩინოეს მუსიკოსებთან. როსტროპოვიჩთან ერთად ვასრულებდი ბრიტენის „ომის რეკვიემს“, პენდერეცკისთან — შოსტაკოვიჩის მე-14 სიმფონიას...

***— როგორც გავიგე, თქვენ იაპონიაში მიგიწვიეს მასტერ-კლასების გასაძღოლად. წახვალთ?***

— იმედი მაქვს. აგვისტოში მიწვეული ვარ პეტერბურგში, ელენე ობრაზცოვას III საერთაშორისო კონკურსის ჟიურიში, სადაც ჩამოვლენ ისეთი განთქმული მომღერლები, როგორებიც არიან ჯოან საზერლენდი, რენატა სკოტო, თედორა ბარბიერი, რიჩარდ ბონინგი... მე იქაც შევეცდები, ვიპოვო ახალგაზრდა ხმები დიდი თეატრისათვის.

**საუბარს უძღვებოდა**
**ლიდია ნოვიკოვა.**
გაზ. „კულტურა“, № 11.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## ჩვენი ენა ქართული

# «სხვას მივბაძო?! – ვის?!»

(მეცხრე გვერდიდან)

„აგრეთვე“ ჩართული არაა, იგი არ უნდა გამოიყოს! აქვე მეორე შეცდომაც დაუშვიათ: „აგრეთვე“ საერთოდ არ უნდა ეხმარათ. საქმე ის არის, რომ „აგრეთვე“ გამოხატავს სწორედ იმას, რასაც ნაწილაკი „ც“. ამ ფრაზაში კი ერთი და იმავე ნიუანსის გამომხატველი ორი სიტყვა გვაქვს. მაშასადამე, სწორია: „მწერალი მოქალაქეცაა“ ან კიდევ: მწერალი, აგრეთვე, მოქალაქეა“.

ერთობ „საინტერესო“ შეცდომებითაა დაყურსული ფრაზა: „ამ ისტორიას, სახელწოდებით „უფლისწული და მათხოვარი“, პრესაში არაერთი სტატია მიეძღვნა“.

აქ „ისტორია“ სტილისტურად შეუფერებელი ფორმაა. უნდა „ამბავი“. მეორეც, ფრაზა ასე უნდა აიგოს:

„ამ ამბავს, რომლის სახელწოდებაცაა „უფლისწული და მათხოვარი“, პრესაში არაერთი სტატია მიეძღვნა“.

რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ყოველივე ეს მხოლოდ ერთი გვერდიდან არის ამოწერილი, იმ გვერდიდან, რომელიც, სამწუხაროდ და ჩვენდა სამარცხვინოდ, ერთ პრესტიჟულ გაზეთს ეკუთვნის, თუმცა წინ უარესი გელით. მეორე ჟურნალისტი (ასევე პოპულარული ჟურნალის თანამშრომელი) უფრო უშედეგოდ ებრძვის სიტყვას – თავადაც იტანჯება, ჩვენც გვტანჯავს. წერს:

„სამეფო ამალის ქენევაში ყოფნით მარტო საიუველირო მაღაზიებს არ მოუგიათ, არამედ წიგნების, ფირფიტების და კომპიუტერების მაღაზიებმაც“.

აქ აზრი დაუსრულებელია. ვფიქრობ, ბოლოში უნდა დართვოდა: „ნახეს მოგება“.

სხვა მაგალითი:

„მათ მფლობელებს იმდენი შესთავაზეს, რომ სხვა კლიენტები გამოასახლეს“.

აქედან მკითხველი ვერას გაიგებს. „სხვა კლიენტები გამოასახლეს“, ასე უნდა შეცვლილიყო: „სხვა კლიენტები სასტუმროს ნომრებიდან გამოასახლეს“.

ქვემოთ მოყვანილ წინადადებაში არ მოგვწონს „კლანი“. მის მაგიერ შეიძლებოდა გვეხმარა „დაჯგუფება“:

„საუდის არაბეთი იმას ნიშნავს, რომ მას ალ საუდის კლანი აკონტროლებს“.

თურმე, „საავტომობილო კატასტროფაში 47 წლის პრინცი გარდაიცვალა“.

უმჯობესია, ვთქვათ უფრო მოკლედ და ეკონომიურად: ავტოკატასტროფაში. სამაგიეროდ, უპრიანია, ითქვას „საავტომობილო ქარხანა“.

სხვა მაგალითი:

„20-კაციანი ამალა ორი საათის განმავლობაში ირჩევდა ციფრულ ფოტოაპარატს, ვიდეოკამერებს, ნოუთბუკებს“.

„ნოუთბუკი“ მაინც გვეთარგმნა!

ასევე ყოვლად მიუღებელი ფორმაა „მუსლიმი“. თურმე, „5 ათასმა მუსლიმმა მისი დახმარებით მოილოცა“.

„მუსლიმის“ ადგილას უნდა ჩავსვათ „მუსლიმანი“.

ქართველებს არც სიტყვა „კლიენტის“ გამოყენება გვჭირდება. გვაქვს შესანიშნავი შესატყვისები: მუშტარი, მყიდველი, შემკვეთი, დამკვეთი...

ისევ გადავფურცლოთ, ჟურნალი, გადავიკითხოთ „შოუ-ბიზნესისათვის“ განკუთვნილი გვერდი. ნამდვილი განუკითხაობაა. თვალში საცემია ბარბარიზმის მოძალება. თურმე, „ამ ინციდენტის შემდეგ პატრისიამ ახალი ცხოვრება დაიწყო“.

ჯერ ერთი, ინციდენტი კი არა, გაუგებრობა, შემთხვევა, უსიამო შემთხვევა; უფრო მთავარი სხვა რამ გახლავთ: „ახალი ცხოვრება“ კი არ დაიწყო, „ახლებურად ცხოვრება“ დაიწყო. ფრაზა ასე გაიმართებოდა:

„ამ უსიამო შემთხვევის შემდეგ პატრისიამ ახლებურად ცხოვრება დაიწყო“.

ასევე მიუღებელია სიტყვები: შებმა, ბარიერი, ბუნტი, პროტესტი, ფიასკო, შოპინგი...

„იგი ვერც ერთი ქალის შებმას ვეღარ ახერხებდა“.

ეს რომ პერსონაჟის მეტყველება იყოს, კიდევ დასაშვები იქნებოდა, მაგრამ ეს ჟურნალისტის ენაა. არადა, „შებმა“ ჟარგონია. უნდა „გულის მონადირება“. მეორეც, „ვერც ერთი“ ორი სიტყვაა, ერთად არ იწერება.

მიუღებელია წინადადება:

„ბავშვის დაბადებამ ცოლ-ქმარს შორის ბარიერი მოხსნა“.

გვაქვს შესანიშნავი სიტყვები: ზღუდე, სამანი, დაბრკოლება და სხვ. ზოგიერთს ჰგონია, რაც უფრო მეტ უცხოურ სიტყვას გამოიყენებს, მით უფრო ნაკითხი და განათლებული გამოჩნდება. იმას კი ვერ ხვდება, რომ ცოდნა და განათლება სწორედ რომ საკუთარი ენის კარგი ცოდნითა და მართებული გამოყენებით დადასტურდება, წინადადება ასეთ სახეს მიიღებდა: „ბავშვის გაჩენამ ცოლ-ქმარს შორის ზღუდე მოშალა („ზღუდე გააქრო“). სხვაგან ჟურნალისტი ამბობს: „ეს იყო ბუნტი დედამისის წინააღმდეგო“. მგონია, დაავიწყდა მშვენიერი სიტყვა „ჯანყი“. გავიხსენოთ ე. ნინოშვილის რომანის შესანიშნავი სათაური – „ჯანყი გურიაში“.

ვერავითარ გამართლებას ვერ მოუძებნი ამგვარ წინადადებას:

„მუსიკაში იმიტომ გადავედი, რომ დედაჩემისათვის პროტესტი გამომეხატა“. უმჯობესი იქნებოდა, „პროტესტის“ წილ „წინააღმდეგობა“ გამოგვეყენებინა. მეორეც, უქართულო ქართულია „მუსიკაში იმიტომ გადავედი“. უნდა „მუსიკის სწავლა იმიტომ დავიწყე“.

გაუმართლებელი ბარბარიზმების, ჟარგონების, პროვინციალიზმებისა და ნეოლოგიზმების გვერდით შეხვდებით აზრობრივად გაუმართავ ფრაზებს, მაგალითად:

„მეორე დღის საღამოს მის სახლთან შავი ლიმუზინი გაჩერდა: ჟურნალისტს უნდა დაეწერა: „მეორე დღეს, საღამოს, მის სახლთან...“ აგრეთვე უგერგილო და უსახურია ფრაზა: „დაქორწინების პირველი დღე“. უფრო მოქნილი და საიმედოა: „ქორწინების პირველი დღე“.

თურმე, „იმის გამო, რომ მილა არასრულწლოვანი იყო, მისი ქორწილი ანულირებული იქნა“.

აქ იმდენი შეცდომაა, სტაჟიანი ბუღალტერი თუ დათვლის.

ზედმეტია სიტყვა „მისი“. კიდევ ვისი ქორწილის „ანულირება“ უნდა მომხდარიყო? მეორეც, „ანულირებული იქნა“ კი არა, „ანულირებულ იქნა“ („ანულირებულ“ ფუძე უკავშირდება სიტყვას „იქნა“); მესამეც, „ქორწილი ანულირებული იქნა“ აბსურდია. „ქორწილი“ თავყრილობაა, ქეიფია. თუ ის გადაიხადეს, მერე მისი გაუქმება ანულირება, შეუძლებელია. სინამდვილეში „ანულირებადია“ (გაუქმებადია) **ქორწინება.** მაშასადამე, უნდა ეთქვათ ასე: „ქორწინება გაუქმებულ იქნა“-ო.

ეს კი სულ სხვა რამეა!

„ქორწინებაში“ უკვე გადახდილი ნადიმი კი არ იგულისხმება, არამედ ქორწინებითი ვალდებულებები. „ქორწილი“ რიტუალური ტერმინია, „ქორწინება“ – იურიდიული. გარდა ამისა, უცხო „ანულირებული“ სულაც არ გვჭირდება. აზრს უზუსტესად გამოხატავს ქართული ცნებები: ბათილი, გაბათილებული, გაუქმებული და სხვ.

ბარემ ესეც ვთქვათ: „დასთანხმდა“ და არა „დათანხმდა“; „შეძლებდა“ და არა „შესძლებდა“; „დაჰყავდა“ და არა „დაყავდა“; „შეჰკივლა“ და არა „შეკივლა“; „ჭკუიდან გადადიოდნენ“ და არა „ჭკუაზე გადადიოდნენ“. იმავე სტატიაშია ეს „მარგალიტებიც“:

ერთი და იგივე საქმეს (უნდა – ერთსა და იმავე საქმეს)

რბოლების შემდეგ – (უნდა – რბოლის შემდეგ)

ფანტასტიური ლიტერატურა (უნდა – ფანტასტიკური ჟანრის ლიტერატურა)

სათხილამურო სპორტის ტანსაცმელი (უნდა – სათხილამურო სპორტისათვის განკუთვნილი ტანსაცმელი)

პილოტი – (უნდა – მფრინავი).

სხვა „ელიტურ“ ჟურნალში ვკითხულობთ: „ფანები კი ცეკვავდნენ და როკავდნენ“. ეს იგივეა, რომ ვთქვათ: „მღეროდნენ და მღეროდნენო“, რადგან ცეკვა იგივე როკვაა!

სტატია დამხრჩვალია უცხოური სიტყვების ბუღით: კონსულტანტი, ასისტენტი, პრიზი, სარეკლამო პროდუქტი, ნიუანსი, ტრასა, ინტერიერი, დისლოკაცია, ლიკვიდაცია, პროვოცირება, იდენტიფიკაცია, აქტიორული, პლაჟი... პირდაპირ სული შეგეხუთება.

ვაი, ჩვენს საწყალ ქართულს!

აღნიშნულ სიტყვა-ტერმინებს ულამაზესი ქართული შესატყვისები ეძებნება.

შეიძლება მავანმა მტკიცება დაიწყოს: ყოველი ეს სიტყვა ნეოლოგიზმიაო. ყველაფერს თუ ნეოლოგიზმი დავარქვით და თავი ამით ვიმართლეთ, რაღად გვჭირდება ქართული ენა?! მაშინ ავიღოთ და, სახელმწიფო ენად ინგლისური გამოვაცხადოთ, ქართული კი „გადავაგდოთ“.

ვფიქრობ, საჭიროა საგანგაშო ზარების ახმიანება. ფრიად სახიფათო ტენდენციის შემყურენი ვხდებით:

„ჩვენი ენა ქართული“ სულს ღაფავს, ყელში ხროტინებს, საარსებო ჟანგბადი ესაჭიროება და მას ჩვენ თვითონ, ქართველები, ვუკავებთ, არ ვაწვდით. აი, ამ ტენდენციის კიდევ ერთი მკაფიო მაგალითი. ჟურნალისტი (ესე იგი, განათლებული პირი, ინტელიგენტი, ის, ვისაც ქართველმა ხალხმა ენის სადავეები ხელში ჩააბარა) წერს:

„ხალხის დისლოკაციას თორმეტი საათი დასჭირდა“.

რა აქვს დასაწუნი ქართულ „გადაადგილებას“?

იმავე ავტორს თავისუფლად შეეძლო შეეცვალა უცხოური სიტყვები ასე:

კონსულტანტი – მრჩეველი

ასისტენტი – დამხმარე

სარეკლამო პროდუქტი – სარეკლამო ნაწარმი

ტრასა – გზა

ლიკვიდაცია – თავიდან მოშორება, აღმოფხვრა, მოსპობა

პროვოცირება – გამოწვევა

იდენტიფიკაცია – გათანაბრება, გაიგივება

აქტიორული პრაქტიკა – სამსახიობო (თეატრალური) პრაქტიკა.

მარჯვნივ ჩამოწერილი სიტყვები სულს ამშვიდებს, მარცხნივ ჩამოწერილი კი აშინებს, აფორიაქებს, საშიშროებას შეაგრძნობინებს.

გაუგებარია, რას ნიშნავს „სამთო თხილამურების სიყვარული“. ჟურნალისტს გადავიწყებია, რომ არსებობს „სამთო სათხილამურო სპორტი“ და არა „სამთო თხილამურები“. აგრეთვე ძნელია მიხვდე, რა იგულისხმება „უგროშ-კაპიკო“-სა და „უარყოფითი გმირის როლში“.

ენის გადარჩენა ერის გადარჩენაა. ქართული მართლწერისა და მართლმეტყველების გადარჩენა ქართული ენის წიაღში მზერის ჩაბრუნებით არის შესაძლებელი.

სიტყვები?

სიტყვის მეტი რა გვაქვს? უნებლიეთ მახსენდება მუხრან მაჭავარიანის ნათქვამი:

**„მე შენ გეტყვი –**
**არ გეყოფა სიტყვის მარაგი...**
**არა!**
**სხვისი მისაბაძი**
**რა მჭირს, –**
**თვარა, – კი!“**

**ნათია თევზაძე.**

## ხელოვნების ქურუმები

# ზურაბ ანჯაფარიძის სიყვარულის ანატომია

(მეშვიდე გვერდიდან)

და ისინი შეუღლდნენ 1980 წლის 12 აპრილს.

საერთოდ, 12 აპრილი ზურაბისთვის საკრალური იყო.

1928 წლის 12 აპრილს, ხუთშაბათს დაბადებული, 12 აპრილს გარდაიცვალა აღდგომის ხუთშაბათსვე, ერთსა და იმავე დროს – 10-ის ნახევარზე.

25 აპრილს (ძველი სტილით 12 აპრილი) დაიბადა დღეს ზურაბ ანჯაფარიძე უმცროსად სახელდებული მისი ვაჟი, მალე 12 წლის რომ გახდება, დედის იმედი, მამის ალი-კვალი, მისი გენის გამგრძელებელი.

დიდი ზურაბი ზუსტად 69 წლისა აღესრულა.

ცხოვრებაში მრავალი გაჭირვებისა და გულისტკივილის უხმოდ გადამტანი, მძიმე ავადმყოფობასაც სხვათაგან დაფარულად ებრძოდა, არ შეუწუხებია 30-იანი წლების რეპრესიების „სიკეთით“ უქმროდ დარჩენილი, შვილებზე გადაგებული დედა, ქალბატონი ალექსანდრა ბარათაშვილი, რომელსაც მზე და მთვარე ობლობაში გაზრდილ ორ ვაჟზე ამოსდიოდა (გარდაიცვალა სამი წლის შემდეგ), ასევე არ შეუწუხებია, არც მეუღლე და არც შვიდი წლის ნებიერა ბიჭი.

მეუღლე იგონებს: „ვიცოდით, მუხანათი სენი სჭირდა, ვგრძნობდით, როგორ აწუხებდა და აწვალებდა, მაგრამ მისი ერთი დაჩივლებაც არ გაგვიგონია, მხოლოდ ბოლო სამ დღეს ჩაწვა და ანდერძად დამიბარა: ძალიან პატარას ვტოვებ, არ დამეჩაგროს და არ მომიშივდეს.

მიცვალების წინ, გამთენიისას, 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ დათქმულ პირობას – აღარ მემღერება და სიკვდილამდე მდუმარე ვიქნებიო, ქვეშეცნეულად უღალატა, მოულოდნელად ამღერდა და ასეთი ჰანგი, ასეთი სულისშემძვრელი ხმა პირველად მოვისმინე, ეს იყო აპოთეოზი – იგი სიმღერით გადავიდა მიღმიერში“.

მოვიდა სიმღერით, იცხოვრა სიმღერით, წავიდა სიმღერით.

ფრიად იშვიათია ასეთი განშორება სიცოცხლესთან. მხოლოდ ერთი, დიდი კარუზო 1921 წლის 15 ივლისს, სიკვდილთან შესახვედრად ამერიკიდან სამშობლოში ჩასული, სორენტოს სასტუმროში მოულოდნელად ამღერდა.

მისი მეუღლე, დორა, იგონებდა: როცა ხმა შემომესმა, გამოვვარდი სასტუმრო ოთახში, ენრიკო იდგა შუაგულში და მღეროდა ისე, როგორც არასდროს.

– დორო, მე შემიძლია ვიმღერო, ხმა არ დამიკარგავს. შემიძლია ვიმღერო, დორო!

და როგორც ამ შეძახილიდან ჩანს, კარუზო მხოლოდდამხოლოდ ისევ სცენისკენ მიილტვოდა.

ზურაბ ანჯაფარიძის გამღერება კი მიწიერ ცხოვრებასთან დამშვიდობება იყო.

### ზურაბის შემდეგ

დიახ, დამთავრდა მიწიერი ყოფა და იწყება ლეგენდა.

წარმოუდგენლად დიდი პატივი მიაგო რუსეთის შემოქმედებითმა ინტელიგენციამ თავის ქართველ რჩეულს.

ქალბატონი მარინას მონათხრობი: „რუსეთის მუსიკალურმა საზოგადოებამ“ ირინა არხიპოვას მეთაურობით გარდაცვალების შემდეგ მიანიჭა ზურაბს დიდი ოქროს მედალი ფილმ-ოპერა „პიკის ქალში“ გერმანის როლის გენიალურად ხორცშესხმისათვის.

როცა კონსერვატორიის დიდ დარბაზში ირინა არხიპოვამ შეკრებილთ ეს აუწყა, ენით აუწერელი ოვაცია გაიმართა. მადლობა გადავიხადე და ვთქვი: ძალიან მინდა, როგორც დიდი ზურაბი იდგა აქ, ამ სცენაზე და ყველა უყვარდა, პატარა ზურიკოც ისევე დადგეს ამ სცენაზე და თითოეულ თქვენგანს პატივს მიაგებდეს.

მოსკოვის მთავრობის ერთმა წევრმა მყისვე მიპასუხა: თუ თქვენ გულწრფელად გსურთ, რომ თქვენი ანჯაფარიძე დადგეს ამ სცენაზე, გიბრუნებთ მოსკოვის ბინას და მოაწყვეთ იქ ზურაბის მუზეუმი.

საყოველთაო პატივისცემის გამოხატვაა ის, რომ სამ აპრილს მოსკოვის დიდ თეატრში გაიმართება ჩემი მეუღლის დაბადების 75 წლისთავისადმი მიძღვნილი სპექტაკლი, ბეთჰოვენის დარბაზში შედგება საიუბილეო შეკრება, რუსებმა მოიფიქრეს და სახლს, სადაც ვცხოვრობდით, მემორიალური დაფითა და ბარელიეფით დაამშვენებენ, უფრო ზუსტად, შეცვლიან მეზობლებისაგან სიყვარულით გაკეთებულ წარწერას: „აქ ცხოვრობდა დიდი ზურაბ ანჯაფარიძე“.

ზურიკოს ხალხი სიცოცხლეშივე ეთაყვანებოდა და ეფერებოდა. ბოლო წლებში, როცა ყველაფერი დაინგრა, დალხინებული ცხოვრება აღარ ჰქონდა. ამაზე ხმამაღლა ლაპარაკს ვერიდები, არ მინდა შევაწუხო ჩემი დიდი კაცის სული. თვითონაც ხომ სიჩუმეს არჩევდა. 17 წელი ვიცხოვრეთ ერთად. ვცდილობ, მივბაძო მას კეთილშობილებასა და მიტევებაში, რაც მთავარია, ვცდილობ მისი დაბარებისამებრ, ჩემი შვილის ნიჭს გზა გავუხსნა, იგი ჩინებულად ხატავს, ამას წინათ პარიზში გამოფენაზეც გაიმარჯვა, სიმღერის კარგი მონაცემები აქვს, ზურაბის მეგობრებს ეიმედებათ, რომ მშობლის კვალს გაჰყვება, სხვაგვარად ვერც წარმომიდგენია, როცა ამ პატარა ბიჭში ვხედავ მამის გამეორებას, საოცრად ჰგავს მას.

მეუღლის უახლოესი მეგობრების გურამ ქაშაკაშვილის და ნიკო ხატიაშვილის თაოსნობით, მხარდაჭერით და თანადგომით ჩამოვაყალიბე „ზურაბ ანჯაფარიძის საერთაშორისო ფონდი“.

შარშანწინდლამდე ბიჭს დიდი თეატრი არ ენახა. სულ მთხოვდა, მაჩვენე თეატრი, სადაც ჩემი მამა მღეროდაო. და აი შარშანწინ, დეკემბერში, ავუსრულე ნატვრა. მყავდა კონსერვატორიაში – ჩაიკოვსკის საკონცერტო დარბაზში, სადაც 1962 წელს მამამისმა, ბორის ხაიკინის თქმით, საუკუნის კონცერტი გამართა. უმცროსმა ზურიკომ გაიხარა, როცა სხვა კორიფეთა გვერდით მამის პორტრეტები ნახა.

დიდ თეატრში 31 დეკემბერს საახალწლო კონცერტზე მიგვიწვიეს. რაც იქ მოხდა, მსურს ყველამ გაიგოს და გაიცნობიეროს. მივედით მანქანით მე-16 (სამომსახურო) სადარბაზოსთან. გარეთ თოვლი და ყინვაა. ვხედავ, უამრავი ხალხი ყვავილებით დგას. ვფიქრობ, 31 დეკემბერია, საახალწლო კონცერტზე უცხოელ საპატიო სტუმრებს ხვდებიან. გადავდივარ მუხლამდე თოვლში და მესმის.

– Мариночка приехала с мальчиком, - დამხვდურნი, სამხატვრო ხელმძღვანელიდან დაწყებული, მთელი დასი, ბალეტის მსახიობები, სცენის მუშები დგანან გარეთ და წინ მიმავალ პატარა ზურაბს ფეხებთან უყრიან ყვავილებს...

კონცერტის ყველა მონაწილე მოდის ჩემს ლოჟასთან, აცხადებს: „ეძღვნება უდიდეს მომღერალს“... „უდიდეს ტენორს“... „ტენორების მეფეს“ და თაიგულიდან გამოცალკევებულ თითო ყვავილს ლოჟასთან დებს.

მოგვიანებით ჩვენთან მოდის მსოფლიოს მოქალაქე მსტისლავ როსტროპოვიჩი და გვეუბნება: პატარა ზურაბის განათლებაზე, მის აღზრდასა და მომავალზე სრულ პასუხისმგებლობას ვიღებ...

ეს იყო კეთილშობილი და ბუნებრივი ადამიანური რეაქცია იმ დიდი სიყვარულის სანაცვლოდ, რასაც ზურაბ ანჯაფარიძე ამჟღავნებდა თითოეული მათგანის მიმართ“.

ღმერთმა ინებოს, პატარა ზურაბის სიმღერას გაეგრძელებინოს ნახევარი საუკუნის წინათ ფეხადგმული ლეგენდა!

**გივი შეყილაძე.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## ორშაბათი
### 31 მარტი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "ჯაშუშები" 10.10 მხ. ფილმი "მილიონი ფუნტი სტერლინგის ბანკნოტი" 11.35 ზოოპარკი 12.00, 15.00, 20.00 "მოამბე" 12.15 ტელესერიალი "ეშმაკუნა" 13.00 ნაშუადღევს 14.05 დოკ. სერიალი "შინაური ცხოველების ველური ბუნება" 1-ლი ს. 15.15 მხ. ფილმი "საშობაო ღვეზელი" 17.00 ტელესერიალი "ძილის წინ" 17.15 "რამპა" 17.20 50-50 18.00 "ვესტნიკი" 18.20 დოკ. სერიალი "საუკნის გინატები" 18.35 ბასტი-ბუბუ 18.55 "გზა პერსპექტივისაკენ" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 20.55 მუს.პაუზა 21.00 ტელესერიალი "ეშმაკუნა" 21.50 დოკ. სერიალი "ყველაზე, ყველაზე საკვირველი" 22.35 ტელესერიალი "ძილის წინ" 23.00 "რა ხდება?" 23.55 მხ. ფილმი "დოყლაპია"

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი "ოჯახური ურთიერთობები" 20.30 მოგზაურობა სასიტყვეთში 21.00 ჯანმრთელობა 21.30 დოკ. ფილმი 22.10 ჰიტ. პარადი 22.20 მხ. ფილმი "ეძიეთ ქალი"

07.00 მუსიკა 07.30 სერიალი "დათვების ქალაქის ზღაპრები" 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 10.40 სერიალი "ალფი" 11.10 ხალხის პირისპირ 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი "დატყვევებული გულები" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 18.00, 21.00, 02.20 კურიერი 18.15 სერიალი "დათვების ქალაქის ზღაპრები" 18.40 სერიალი "მედისონის სკოლა" 19.00 სერიალი "კუსტოს წყალქვეშა ოდისეა" 19.55 სერიალი "დატყვევებული გულები" 22.00 ხალხის პირისპირ 22.50 ღამის კურიერი 00.20 მხ. ფილმი "ჰიპნოზის ქვეშ" მთ. რ-ში: ჯოდი ფოსტერი. 02.30 კლასიკა

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.15 აღსავალი 08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 19.30, 23.30, 01.05 მუსიკა 08.30 მხ.ფ. "გამოქვაბულის დათვის კლანი" 10.20 მხ.ფ. "რით დავიმსახურე ეს" 13.00, 15.00, 17.00, 19.00 ახალი ამბები 13.10, 18.00 დოკ. სერიალი "ექსპედიცია" 14.10 დოკუმენტური ფილმი 17.30 დოკ. სერიალი 18.45 ბუნების ფერები 20.00 მხ.ფ. "ანგარებიანი ქორწინება" 22.40 "ბურთი და მოედანი" 22.00 დიალოგი 23.45 მხ.ფ. "კოსმოსის ტყვეობაში" 01.30 ღამის ფილმი

17.00, 01.00 იმედის მელოდიები 17.56, 20.57, 00.50 ახალი ამბების დაიჯესტი 18.00 სერიალი "ლაბირინთი" მე-4 ს. 19.00, 22.00 ქრონიკა 19.30 სერიალი "ამაზონი" მე-6 ს. 20.30 8 1-2 სპორტული პროგრამა "გოლი" 21.00 სერიალი "ბანდიტური პეტერბურგი" მე-10 ს. 22.45 კინონოსტალგია "თავდასხმა" (მ. ბუკე, ფ. ნუარე)

12.00 ინდური მხ. ფილმი "საუკუნოდ შენი ვარ" 15.00 მხ. ფილმი "მის კონგენიალობა" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი "ახალგაზრდა მსროლელები" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი "დიდი ბიზნესი" 22.30 მხ. ფილმი "სულელები"

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი 12.00 "ვარსკვლავები გვამცნობენ" 13.00 საბავშვო მუსიკალური კოლაჟი 14.00 მხ. ფილმი "ვანილიანი მარწყვის ნაყინი" 15.00, 21.00 ვესტი 15.30 ფილმის გაგრძელება 18.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი 19.30 ექსტრაორდინალური 20.30 "გვარიშვილობა" 21.30 ტალანტები და თაყვანისმცემლები 22.30 პირველი ნაბიჯები 23.00 მუსიკალური პაუზა 23.25 ინდური მხ. ფილმი.

08.00 ტოროლა 11.00 განმეორებით ქართული მუსათეული 11.45 ფილმი 14.00 ფილმი 16.00 ფილმი "ჩემი მამა, ჩემი დედა, ჩემი ძმები და დები" 19.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30 ვიდეორადიო 20.50 ათი ლექსი 21.15 უცხოური მუსათეული 22.35 პაპარაცი 23.00 აბა გამოიცანი კადრი 00.00 ფილმი ბრავო "სენსაცია" მთ.როლში ჯეისონ პრისტლი 01.40 ფილმი ღამურა "დიდებული ბიჭები" მთ.რ-ში რეი ლიოტა, ლორენ ბრაკო. 03.45 პაუზის გარეშე

09.35 მხ. ფილმი "პასეანსი ორისათვის" 11.15, 17.25, 17.50, 18.45, 21.55, 23.50 მუსიკა 11.20 მხ. ფილმი "უკანასკნელი გარიგება" 12.50 დოკ. ფილმი "ფოტორობოტი" მე-6 ს. 13.40 მარიონეტების ფილმი "ყოჩაღები". "პენსია" 13.55 "ოსტატები"-დიზაინერი 14.15 "ბელისიმო" 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 14.45 "მსოფლიო ფეხბურთი" 15.15 "ლეო და გეო" 15.30 მულტფილმი "აბა დამაცადე!" 16.30 დოკ. ფილმი "ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება" 18.00 მხ. სერიალი "ქვეყნის კიდეზე" 19.00 მხ. სერიალი "მოჯადოება" 146-ე ს. 20.00 გადაცემა "მსოფლიო რაგბი" 21.00 მხ. სერიალი "ვი. აი. პი" 22.00 "ტელემეტრი" 22.15 მხ.ფილმი "ბავშვების გადასარჩენად" 00.20 მხ. სერიალი "თოჯინების ველი" 00.45 მხ.ფ. "გრძელი შაბათ – კვირა"

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.20 დოკუმენტური ფილმი 09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება 09.15 სათავგადასავლო ფილმი "პატარა სტიუარტი" 10.45 ფილმი-ფანტასტიკა "კაპიტანი ნემო" 1 ს. 12.10 კომედია "ფორტუნა" 13.40 მხატვრული ფილმი "გამოსასყიდი" 16.10 მულტფილმი "პაკემონი: შუაღამის დარაჯი" 17.10 ისტორიული ფილმი "ბენ-ჰური" 1 ს. 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.30 ფილმი-კატასტროფა "იდეალური შტორმი" 21.35 დოკუმენტური ფილმი 23.00 "ალტერნატივა" (ავტორი ნ.რატიშვილი) 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 01.05 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 01.10 მხატვრული ფილმი "შიდა გამოძიება" 03.20 დოკუმენტური ფილმი "ბარსელონა" 03.45 მელოდრამა "ჰოლივუდის პრინცესა"

## სამშაბათი
### 1 აპრილი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "ჯაშუშები" 10.15 მხ. ფილმი "დოყლაპია" 12.00, 15.00, 20.00, 23.55 მოამბე 12.15 ტელესერიალი "ეშმაკუნა" 13.00 ნაშუადღევს 14.05 "ლერერის შოუ" 15.15 მხ. ფილმი "ერთი ცამეტში" 16.50 ტელესერიალი "ძილის წინ" 17.05 შემეცნებითი ფილმი - მოგზაურობა დედამიწის გარშემო 17.30 საქართველო და გარე სამყარო 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი "საუკუკნის გიგანტები" 18.35 ბასტი-ბუბუ 18.50 "და არს მუსიკა" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.00 ტელესერიალი "ეშმაკუნა" 21.50 "იპოლიტე" 22.35 ტელესერიალი "ძილის წინ" 23.00 "რა ხდება?" 23.55 მხ. ფილმი "ეძიეთ ქალი" მე-2 ს.

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი "ოჯახური ურთიერთობები" 20.30 ამბები ჩვენზე 20.45 ოქტაგონი 21.30 ასპარეზი 22.10 ჰიტ. პარადი 22.20 მხ. ფილმი "შეიძლება"

07.00 მუსიკა 07.30 სერიალი "დათვების ქალაქის ზღაპრები" 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 10.40 სერიალი "ალფი" 11.10 ხალხის პირისპირ 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი "დატყვევებული გულები" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 18.00, 21.00, 02.20 კურიერი 18.15 სერიალი "დათვების ქალაქის ზღაპრები" 18.40 სერიალი "კუსტოს წყალქვეშა ოდისეა" 19.30 პერეკროსტოკი 20.05 სერიალი "დატყვევებული გულები" 22.00 ვის უნდა ოცი ათასი? 22.50 ღამის კურიერი 00.20 მხ. ფილმი "მეორე ჭეშმარიტება" მთ. რ-ში: მიშელ მერსიე. 02.30 კლასიკა

08.00 ანონსი, აღსავალი 08.05 დიალოგი 10.35 "ბურთი და მოედანი" 10.50 მხ. ფილმი "ანგარებიანი ქორწინება" 12.30 დოკ. ფილმი 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 13.10, 18.00 დოკ. სერიალი "ექსპედიცია" 14.10, 17.20, 19.30, 21.45, 00.55 მუსიკა 15.15 მხ. ფილმი "კოსმოსის ტყვეობაში" 17.30 მულტფილმი 20.00 მხ.ფ. "ერთადერთი გამოსავალი" 22.00 დიალოგი 23.45 მხ. ფილმი "უკანასკნელ მომენტში" 01.10 ღამის ფილმი

17.00, 01.00 იმედის მელოდიები 17.56, 20.57, 00.55 ახალი ამბების დაიჯესტი 18.00 სერიალი "ლაბირინთი" 19.00, 22.00 ქრონიკა 19.30 სერიალი "ამაზონი" 20.30 8 1-2 "ერთხელ ჰოლი- ვუდში" 21.00 სერიალი "ბანდიტური პეტერბურგი" მე-3 ნ. 1-ლი ს. 22.45 მძაფრსიუჟეტიანი კინო "ჟანდარმი და უცხოპლანეტელები" (ლუი დე ფიუნესი)

12.00 მხ. ფილმი "დიდი ბიზნესი" 13.30 მხ. ფილმი "სულელები" 15.00 მხ. ფილმი "მახე" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი "ახალგაზრდა მსროლელები 2" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი "პერლ ჰარბორი"

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი 12.00 დოკ. ფილმი "ფანჯარა ევროპაში" 12.30 სალონი 14.00 საბავშვო მუსიკალური კოლაჟი 15.00, 21.00 ვესტი 18.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი 19.30 "სალონი" 21.30 "სპორტის სამყარო" 22.30 სტუდია "ეკონომისტი" 23.30 მუსიკალური პაუზა 00.00 მხ. ფილმი "განდიდების მანია"

08.00 ტოროლა 11.00 განმ. მუსათეული 11.45 ფილმი 14.00 ფილმი 16.00 ფილმი "დიდი მამა" მთ. რ-ში ადამ სენდლერი 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.15 ქართული მუსიკა 19.30, 20.15 ვიდეორადიო 20.50 ათი ლექსი 21.15 უცხ. მუსათეული 22.35 ქართული მუსიკა 23.00 აბა გამოიცანი მელოდია 00.00 ფილმი ბრავო "დაქირავებული მკვლელები" მთ.რ-ში სილვესტერ სტალონე 01.45 ფილმი ღამურა "ნამდვილი სიყვარული" მთ.რ-ში კრისტიან სლეიტერი. 03.45 პაუზის გარეშე

09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 09.50, 11.50, 17.50, 18.50, 19.50, 21.55, 23.50 მუსიკა 10.00 მხ. სერიალი "ქვეყნის კიდეზე" 11.00 მხ. სერიალი "მოჯადოება" 12.00 მხ. სერიალი "ვი. აი. პი" 12.45 მხ.ფ. "ბავშვების გადასარჩენად" 14.20 "ტელემეტრი" 14.45 "მსოფლიო რაგბი" 15.10 მხ. ფილმი "გრძელი შაბათ – კვირა" 16.30 დოკ. ფილმი "ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება" 18.00 მხ. სერიალი "ქვეყნის კიდეზე" 19.00 მხ. სერიალი "მოჯადოება" 20.00 "ევროპის სტადიონებზე" 21.00 მხ. სერიალი "ვი. აი. პი" 22.15 მხ. ფილმი "ლეგიონი" 00.20 მხ. სერიალი "თოჯინების ველი" 00.45 მხ. ფილმი "საათის მექანიზმი"

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.20 დოკუმენტური ფილმი 09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება 09.15 სათავგადასავლო ფილმი "შერლოკ ბონდი" 10.45 ფილმი-ფანტასტიკა "კაპიტანი ნემო" 2 ს. 12.10 კომედია "მოკლე ვადა" 14.00 დრამა "შეშფოთებული გულები" 16.10 მულტფილმი "ოლივერი და კომპანია" 17.25 ისტორიული ფილმი "ბენ-ჰური" 2 ს. 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.30 "Ï ðåñň-ï àï üå" 19.40 მხატვრული ფილმი "შავი არწივი" 21.20 დოკუმენტური ფილმი 22.50 "Ï ðåñň-ï àï üå" 23.00 "რა არ ხდება" 23.10 დოკუმენტური ფილმი 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 01.05 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 01.10 კომედია "მე-13 ვაგონის საიდუმლო" 03.20 აჭარის სახ. სიმფონიური ორკესტრი და კაპელა 03.40 მხატვრული ფილმი "იდუმალების საფარქვეშ"

## ოთხშაბათი
### 2 აპრილი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "ჯაშუშები" 10.15 მხ. ფილმი "ეძიეთ ქალი" მე-2 ს. 11.25 დოკ. სერიალი "ეგვიპტოლოგიის პიონერები" 12.00, 15.00, 20.00, 23.55 მოამბე 12.15 ტელესერიალი "ეშმაკუნა" 13.00 "ნაშუადღევს" 14.05 ქართული ენის გაკვეთილი 14.30 "ქართული მთამსვლელობის ისტორია" 15.15 დოკ. სერიალი "პალიტრა" 15.40 ტელესერიალი "ძილის წინ" 15.55 ფეხბურთში საქართველოს და შვეიცარიის ოლიმპიური ნაკრების შეხვედრა. შესვენების დროს დოკ. სერიალი "მოდა ყველასათვის" 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი "საუკუნის გიგანტები" 18.30 ბასტი-ბუბუ 18.50 "ისტორიანი" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.00 ტელესერიალი "ეშმაკუნა" 21.55 ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩი: საქართველო-შვეიცარია. 23.00 "რა ხდება?!" 23.50 ტელესერიალი "ძილის წინ" 00.10 მხ. ფილმი "შტორმი"

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი "ოჯახური ურთიერთობები" 20.30 და არს მუსიკა 21.00 დოკ. ფილმი 21.30 წარსულის ტერიტორია 22.10 ჰიტ. პარადი 22.20 მხ. ფილმი "ამაღლება"

07.00 მუსიკა 07.30 სერიალი "დათვების ქალაქის ზღაპრები" 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 10.40 სერიალი "ალფი" 11.10 ვის უნდა ოცი ათასი? 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი "დატყვევებული გულები" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 18.00, 21.00, 02.20 კურიერი 18.15 სერიალი "დათვების ქალაქის ზღაპრები" 18.40 სერიალი "მედისონის სკოლა" 19.00 სერიალი "კუსტოს წყალქვეშა ოდისეა" 19.55 სერიალი "დატყვევებული გულები" 22.00 ხალხის პირისპირ 22.50 ღამის კურიერი 00.20 მხ. ფილმი "ძალაუფლება, ვნება, მკვლელობები" მთ. რ-ში: მიშელ პფაიფერი. 02.30 კლასიკა

08.00 ანონსი, აღსავალი 08.05 დიალოგი 10.30 მხ. ფილმი "ერთადერთი გამოსავალი" 12.30 დოკ. ფილმი 13.00, 15.00, 17.00, 19.00 ახალი ამბები 13.10, 18.00 დოკ. სერიალი "ექსპედიცია" 15.15 მხ. ფილმი "უკანასკნელ მომენტში" 17.20, 18.30, 19.30, 21.35, 23.30 მუსიკა 17.30 მულტფილმი 18.45 ბუნების ფერები 19.45 გადაცემა - მურადა 20.00 მხ.ფ. "მონადირე" 22.00 დიალოგი 23.45 მხ.ფ. "კარიერა" 01.30 ღამის ფილმი

17.00, 00.55 იმედის მელოდიები 17.56, 20.57, 00.45 ახალი ამბების დაიჯესტი 18.00 სერიალი "ლაბირინთი" 19.00, 22.00 ქრონიკა 19.30 სერიალი "ამაზონი" 20.30 8 1-2 სპორტული პროგრამა "ესტაფეტა" 21.00 სერიალი "ბანდიტური პეტერბურგი" 22.45 ფანების კინოკლუბი "საძინებლის ფანჯარა" (ე. მაკგოვერნი, ი. იუპერი)

12.00 მხ. ფილმი "პერლ ჰარბორი" 15.00 მხ. ფილმი "მგლის საქმო" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი "ვირთხების რბოლა" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი "ცხელი ზაფხული" 22.30 მხ. ფილმი "აფეთქება"

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი 12.00 "სალონი" 13.30 ექიმი გვირჩევს 14.30 საბავშვო მუსიკალური კოლაჟი 15.00, 21.00 ვესტი 15.30 საბავშვო მუსიკალური კოლაჟის გაგრძელება 18.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი 19.30 სცენის ოსტატები 20.30 მულტფილმი 21.30 "სპორტის სამყარო" 22.30 თინეიჯერი 23.30 მუსიკალური პაუზა 23.55 მხ. ფილმი "დომინოს პრინციპი"

08.00 ტოროლა 11.00 განმ. მუსათეული 11.45 ფილმი 14.00 ფილმი 16.00 ფილმი "კატები ძაღლების წინააღმდეგ" მთ.რ-ში ჯეფ გოლდბლიუმი 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.15 ქართული მუსიკა 19.30, 20.15 ვიდეორადიო 20.50 ათი ლექსი 21.15 რუს. მუსათეული 22.35 პაპარაცი 23.00 ჩაძიროვანა 00.00 ფილმი ბრავო "გადამტანი" მთ.რ-ში ჯეისონ სტეტხემი 01.45 ფილმი ღამურა "ეგზოტიკა" მთ.რ-ში ბრიუს გრინვუდი 03.45 პაუზის გარეშე

09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 09.50, 11.55, 17.50, 18.50, 19.50, 21.50, 23.45 მუსიკა 10.00 მხ. სერიალი "ქვეყნის კიდეზე" 11.00 მხ. სერიალი "მოჯადოება" 12.00 მხ. სერიალი "ვი. აი. პი" 12.45 მხ. ფილმი "საათის მექანიზმი" 14.45 "ევროპის სტადიონებზე" 15.05 მხ. ფილმი "ლეგიონი" 16.30 დოკ. ფილმი "ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება" 18.00 მხ. სერიალი "ქვეყნის კიდეზე" 19.00 მხ. სერიალი "მოჯადოება" 20.00 "ევროპის სტადიონებზე" 21.00 მხ. სერიალი "ვი. აი. პი" 22.00 "ტელემეტრი" 22.15 მხ.ფილმი "მკვლელი-ლიფტი" 00.20 მხ. სერიალი "თოჯინების ველი" 00.45 მხ. ფილმი "ინტიმური იმედგაცრუება"

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.20 დოკუმენტური ფილმი 09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება 09.15 სათავგადასავლო ფილმი "კორინფის დამპყრობელი" 10.45 ფილმი-ფანტასტიკა "კაპიტანი ნემო" 1 ს. 12.10 კომედია "საუკეთესო მეგობრის ქორწილი" 14.00 თრილერი "კერკეტი კაკალი-3" 16.10 მულტფილმი "კასპერი მოჩვენებანი შობის ღამეს" 17.30 მელოდრამა "მე და მერელინი" 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.30, 22.50 "პრესდაიჯესტი" 19.40 "ქართული კინო" 20.20 კომედია "ვოვაჩკა" 21.50 "გალერეა" 23.00 "ალტერნატივა" 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 01.05 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 01.10 მხატვრული ფილმი "გზა არლინგტონზე" 03.20 დოკუმენტური ფილმი "პარიზი" 03.40 მელოდრამა "ქალბატონის პორტრეტი"

## ხუთშაბათი
### 3 აპრილი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "ჯაშუშები" 10.15 მხ. ფილმი "შტორმი" 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 დოკ. სერიალი "წყვილები და დუეტები" 12.40 ტელესერიალი "ძილის წინ" 13.00 "ნაშუადღევს" 14.00 ინგლისური ენის გაკვეთილი 14.30 "ქართული მთამსვლელობის ისტორია" 15.15 მხ. ფილმი "ჯონი მნემონიკი" 16.50 50-50 17.25 რამპა 17.30 შემეც.ფილმი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი "საუკუნის გიგანტები" 18.30 ბასტი-ბუბუ 18.50 "ჯანმრთელობა" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.00 ტელესერიალი "ეშმაკუნა" 21.50 პრეს-ეკრანი 22.15 საქართველო არის ესე 22.35 ტელესერიალი "ძილის წინ" 23.00 "რა ხდება ?!" 23.55 მხ. ფილმი "დაბნელება" 02.00 ქართული ენის გაკვეთილი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი "ოჯახური ურთიერთობები" 20.30 ისტორიანი 21.00 შვიდეული 22.10 ჰიტ. პარადი 22.20 მხ. ფილმი "იტალიელი ხალხის სახელით"

07.00 მუსიკა 07.30 სერიალი "დათვების ქალაქის ზღაპრები" 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 10.40 სერიალი "ალფი" 11.10 ხალხის პირისპირ 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი "დატყვევებული გულები" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 18.00, 21.00, 02.20 კურიერი 18.15 სერიალი "დათვების ქალაქის ზღაპრები" 18.40 სერიალი "მედისონის სკოლა" 19.00 სერიალი "კუსტოს წყალქვეშა ოდისეა" 19.55 სერიალი "დატყვევებული გულები" 22.00 ვის უნდა ოცი ათასი? 22.50 ღამის კურიერი 00.20 მხ. ფილმი "ვერსენ ჟეტორიქსი" რ-ში: კრისტოფერ ლამბერი 02.30 კლასიკა

08.00 ანონსი, აღსავალი 08.05 დიალოგი 10.30 მხ. ფილმი "მონადირე" 12.30 დოკ. ფილმი 13.00, 15.00, 17.00, 19.00 ახალი ამბები 13.10, 18.00 დოკ. სერიალი "ექსპედიცია" 15.15 მხ. ფილმი "კარიერა" 17.20, 17.50, 18.30, 21.55, 23.30 მუსიკა 17.30 დოკ. სერიალი 18.45 ბუნების ფერები 19.30 კონცერტი 21.00 ტელესინე-ვიდეო (განმეორებით) 22.00 დიალოგი 23.45 მხ.ფ. "ექსპერტი" 00.55 მხ.ფ. "ჯინკო-ლეგენდა მეომარზე" 01.55 მუსიკა

17.00, 01.05 იმედის მელოდიები 17.56, 20.57, 00.55 ახალი ამბების დაიჯესტი 18.00 სერიალი "ლაბირინთი" 19.00, 22.00 ქრონიკა 19.30 სერიალი "ამაზონი" 20.30 8 1-2 "არტ-ბულვარი" შოუ ბიზნესი 21.00 სერიალი "ბანდიტური პეტერბურგი" 22.45 კინოვარსკვლავთა ღამე "ბუფალო ბილი და ინდიელები" (პოლ ნიუმენი)

12.00 მხ. ფილმი "ცხელი ზაფხული" 13.30 მხ. ფილმი "აფეთქება" 15.00 მხ. ფილმი "ადამიანი რკინის ნიღაბში" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი "იამაკასი" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი "ამერიკული დრაკონი" 22.30 მხ. ფილმი "სიკვდილზე გამარჯვება"

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი 12.00, 21.30 სალონი 13.30 საბავშვო მუსიკალური კოლაჟი 14.30 დოკ. ფილმი საქართველოზე 15.00, 21.00 ვესტი 18.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი 19.30 "სპორტის სამყარო" 20.30 მულტფილმი 23.00 "ერთი ერთზე" 23.30 მუსიკალური პაუზა 23.50 მხ. ფილმი "სექტემბერი"

08.00 ტოროლა 11.00 განმ. მუსათეული 11.45 ფილმი 14.00 ფილმი 16.00 ფილმი "მამაკაცთა სტრიპტიზი" მთ.რ-ში რობერტ კარლაილი 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.15 ქართული მუსიკა 19.30, 20.15 ვიდეორადიო 20.50 ათი ლექსი 21.15 უცხ. მუსათეული 22.30 მუსიკა 23.00 აბა გამოიცანი მელოდია 00.00 ბრავო "დები ია-იას ღვთიური საიდუმლოებანი" მთ. რ-ში ელენ ბერსტინი, ეშლი ჯადი. 01.45 ღამურა "ტრავმა" მთ. რ-ში კრისტოფერ რაიდელი. 03.45 პაუზის გარეშე

09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 09.50, 11.50, 17.50, 18.45, 19.50, 21.50, 23.45 მუსიკა 10.00 მხ. სერიალი "ქვეყნის კიდეზე" 11.00 მხ. სერიალი "მოჯადოება" 12.00 მხ. სერიალი "ვი. აი. პი" 12.45 მხ. ფილმი "მკვლელი-ლიფტი" 14.20 "ტელემეტრი" 14.45 "ევროპის სტადიონებზე" 15.05 მხ. ფილმი "შემცვლელი-2" 16.30 დოკ. ფილმი "ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება" 18.00 მხ. სერიალი "ქვეყნის კიდეზე" 19.00 მხ. სერიალი "მოჯადოება" 20.00 დოკ. ფილმი "ჩვენი დროის კინო" 1-ლი ნ. 21.00 მხ. სერიალი "ვი. აი. პი" 22.00 "ჩემი ქვეყანა". კლუბი სარდაფი. 22.15 მხ. ფილმი "მშველელი" 00.20 მხ. სერიალი "თოჯინების ველი" 00.45 მხ. ფილმი "ვუკოვარი"

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.20 დოკუმენტური ფილმი 09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება 09.15 სათავგადასავლო ფილმი "ჩვილის გასეირნება" 11.10 დოკუმენტური ფილმი 12.10 ისტორიული ფილმი "ლეგენდა ენეოსზე" 13.55 მხატვრული ფილმი "თუნუქის თასი" 16.10 მულტფილმი "ლედი და მაწანწალა" 17.25 თრილერი "შეთქმულება თეთრ სახლში" 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.30 "პირისპირ" 20.20 კომედია "ტაქსი" 22.50 დოკუმენტური ფილმი 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 01.05 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 01.10 კომედია "წმინდანი" 03.20 საბალეტო სკოლა. ფრაგმენტები სპექტაკლიდან "მაკნატუნა" 03.40 მელოდრამა "ლოლიტა"

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

## პარასკევი
### 4 აპრილი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "ჯაშუშები" **10.10** მხ. ფილმი **"ბედის საჩუქარი"** **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** **13.00** "ნაშუადღევს" **14.00** "მხოლოდ კლასიკა" **15.15** მხ. ფილმი **"გულის საიდუმლოებანი"** **16.55** ტელესერიალი **"ძილის წინ"** **17.10** 50-50 **17.50** "ზუმი" **18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. სერიალი "საუკუნის გიგანტები" **18.30** ბასტი-ბუბუ **18.50** პალიტრა **19.20** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.00** ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** **21.50** მრავალსახეობა **22.35** ტელესერიალი **"ძილის წინ"** **23.00** "რა ხდება?!" **23.55** მხ. ფილმი **"სიყვარულის ხიფათები"**

**19.00, 22.00** "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.40** სერიალი **"ოჯახური ურთიერთობები"** **20.30** საქართველო არის ესე **21.00** დოკ. ფილმი **21.30** აფხაზეთის ტელევიზია **22.10** ჰიტ. პარადი **22.20** მხ. ფილმი **"ბრიგადა"**

**07.00** მუსიკა **07.30** სერიალი "დათვების ქალაქის ზღაპრები" **08.00** დილა მშვიდობისა **09.40** სერიალი **"ქალთა ქვეყანა"** **10.40** სერიალი "ალფი" **11.10** ვის უნდა ოცი ათასი? **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი **"დატყვევებული გულები"** **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.05** სერიალი **"ქალთა ქვეყანა"** **18.00, 21.00, 02.20** კურიერი **18.15** სერიალი "დათვების ქალაქის ზღაპრები" **18.40** სერიალი **"მედისონის სკოლა"** **19.00** სერიალი **"კუსტოს წყალქვეშა ოდისეა"** **19.55** სერიალი **"დატყვევებული გულები"** **22.00** ხალხის პირისპირ **22.50** ღამის კურიერი **00.20** მხ. ფილმი **"ფარგო"** მთ. რ-ში: ფრენსის მაკ დორმანდი. **02.30** მხ. ფილმი **"ბანდიტები"** მთ. რ-ში: ბრიუს უილისი. **04.30** კლასიკა

**08.00** ანონსი, ალსავალი **08.05** დიალოგი **10.30** მხ. ფილმი **"ექსპერტი"** **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00** ახალი ამბები **13.10, 18.00** დოკ. სერიალი **"ექსპედიცია"** **15.15** მხ. ფილმი **"ჯინკო-ლეგენდა მეომარზე"** **17.30** დოკ. სერიალი **18.45** "ნაცნობი ქალაქის უცნობი ამბები" **20.00** მხ.ფ. **"ბედის ბორბალი"** **22.00** დიალოგი **00.55** მხ. ფილმი **"მეზღაპრე"** **02.10** ღამის ფილმი

**17.00, 01.05** იმედის მელოდიები **17.55, 20.57, 00.55** ახალი ამბების დაიჯესტი **18.00** სერიალი **"ლაბირინთი"** **19.00, 22.00** ქრონიკა **19.30** სერიალი **"ამაზონი"** **20.30** თამაში "ლარის მახე" **21.00** სერიალი **"ბანდიტური პეტერბურგი"** **22.45** არტ. ფილმი **"ცივი საუზმე"** (ჟერარ დეპარდიე)

**12.00** მხ. ფილმი **"ამერიკული დრაკონი"** **13.30** მხ. ფილმი **"სიკვდილზე გამარჯვება"** **15.00** მხ. ფილმი **"ეპიდემია"** **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მულტფილმი "მულანი" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი **"სიცილიური კლანი"** **23.00** მუსიკა

**10.30** ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი **12.00** სალონი **13.30** საბავშვო მუსიკალური კოლაჟი **14.30** დოკ. ფილმი საქართველოზე **15.00, 21.00** ვესტი **18.00** ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი **19.30** "მომავალი" **20.00** ტელესერიალი **"დაბრუნება ედემში"** **21.30** კრიმინალი, პოლიცია, საზოგადოება **22.30** "გამარჯობა" **23.15** მუსიკალური პაუზა **23.40** ძველი კინოკლასიკა მხატვრული ფილმი **"უკანასკნელი მეტრო"**

**08.00** ტოროლა **11.00** განმ. მუსათეული **11.45** ფილმი **14.00** ფილმი **16.00** ფილმი **"გაალეთ პოლიციაა"** მთ.რ-ში ფილიპ ნუარე. **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.15** ქართული მუსიკა **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** ქართული მუსათეული **22.35** პაპარაცი **23.00** ჩაძირობანა **00.00** ფილმი ბრავო **"სამოთხე"** მთ. რ-ში ქეით ბლანშეტი **01.45** ფილმი ღამურა **"ხინჯი"** მთ. რ-ში მეთიუ მაკონახი **03.45** პაუზის გარეშე

**09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **09.50, 11.50, 17.50, 18.25, 19.50, 21.55, 23.40** მუსიკა **10.00** მხ. სერიალი **"ქვეყნის კიდეზე"** **11.00** მხ. სერიალი **"მოჯადოება"** **12.00** მხ. სერიალი **"ვი. აი. პი"** **12.45** მხ. ფილმი **"გარღვევა"** **14.15** "ჩემი ქვეყანა". კლუბი სარდაფი. **14.45** დოკ. ფილმი "ჩვენი დროის კინო" **1**-ლი ნ. **15.15** მხ. ფილმი **"მშველელი"** **16.30** დოკ. ფილმი "ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება" **18.00** მხ. სერიალი **"ქვეყნის კიდეზე"** **19.00** მხ. სერიალი **"მოჯადოება"** **20.00** დოკ. ფილმი "ჩვენი დროის კინო" მე-**2** ნ. **21.00** მხ. სერიალი **"ვი. აი. პი"** **22.00** "ტელემეტრი" **22.15** მხ. ფილმი **"შერგარი"** **00.20** მხ. სერიალი **"თოჯინების ველი"** **00.45** მხ. ფილმი **"გამოძალვა მაიამიში"**

**08.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.20** დოკუმენტური ფილმი **09.00, 12.00, 16.00** საინფორმაციო გამოშვება **09.15** სათავგადასავლო ფილმი **"დაკარგული სამოთხე"** **10.30** კომედია **"ციხეში მინდა"** **12.10** მელოდრამა "ვალსი" **13.55** მხატვრული ფილმი **"აფიორა"** **16.10** მულტფილმი "აბა-დაბა-დუ!" **17.40** თრილერი **"დები"** **19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება "დღეს" **19.20, 22.30, 00.30** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **19.30** «Ï ðåñ-ï àï üå» **19.40** ისტორიული ფილმი **"პირველი რაინდი"** **21.50** "გალარეა" **22.50** «Ï ðåñ-ï àï üå» **23.00** "ალტერნატივა" **00.50** საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე **01.00** საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე **01.05** საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე **01.10** კომედია **"ჩემპიონის საუზმე"** **03.20** ფრაგმენტები ოპერიდან "ლელა" **03.40** ისტორიული ფილმი **"ალექსანდრე დიდი"**

## შაბათი
### 5 აპრილი

**08.00, 15.00, 21.00, 01.05** მოამბე **08.15** ზოოპარკი **08.25** მხ. ფილმი **"უცხო ამერიკა"** **10.00** დილის პაემანი **11.05** მხიარული კარუსელი **11.35** დოკ. სერიალი "ეგვიპტოლოგიის პიონერები" **12.00** "ვიცი" **12.30** "მეტრო" **13.05** კვალი **13.35** დოკ. სერიალი "გადამეცი საჰარას მარგალიტი" **14.25** "საქართველო, დრო, მოვლენები" **15.15** მხ. ფილმი **"დიანაგულის დედოფალი"** **16.55** საწინდარი **17.25** მულტსერიალი "ჯაშუშები" **18.00** ვესტნიკი **18.45** "თბილისის დროით" **19.05** ენერგია **19.35** გინდ დაიჯერეთ გინდ არა **20.00** ცაიტნოტი **21.10** დოკ. ფილმი "ლუი დე ფიუნესი, ანუ გაცინების ძალა" **22.00** "ფორტუნა" **22.35** პროფათეული **23.15** მხ. ფილმი **"კაბირიას ღამეები"** **01.15** ღამის ჯაზი

**19.00** მულტფილმი **19.30** ორატორი **19.40** სერიალი **"ოჯახური ურთიერთობები"** **20.30** "ახლო ხედი" **21.00** დოკ. ფილმი **22.00** მხ. ფილმი **" აუსტრელიცი"** **00.05** ჰიტ-პარადი

**08.00** მუსიკა **09.00** კურიერი **09.20** მულტსერიალი **10.00** ჯადოქარი **10.45** საბავშვო ფილმი **12.00, 15.00** კურიერი **12.20** სიმფსონები **12.50** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.00** სერიალი **"სახლი ძველ უბანში"** **17.30** სერიალი **"კოლომბო"** **18.00, 00.30** კურიერი **18.20** სერიალი **"კოლომბო"** **19.15** ჩემპიონთა ლიგის კვირის მიმოხილვა **20.05** სერიალი **"ჩინელი პოლიციელი"** **21.00 კურიერი** P.S. **22.00** საოჯახო ტოტო **22.30 ფსიქო**. მხ.ფ. **"კიკუძირო"** **00.50** მხ.ფ. **"მარტოხელა თეთრი ქალი"** მთ. რ-ში: ბრიჯიტ ფონდა. **03.00** ღამის ჯაზი

**08.00** ანონსი, ალსავალი **08.05** დიალოგი **10.30** მხ. ფილმი **"ბედის ბორბალი"** **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00** ახალი ამბები **13.10, 18.00** დოკ. სერიალი **"ექსპედიცია"** **15.15** მხ. ფილმი **"მეზღაპრე"** **17.30** მუსიკა **18.00, 19.30** მულტფილმი **18.45** ბუნების ფერები **20.30** ლიტერატურული გადაცემა - სილუეტი **21.00** დოკ. ფილმი **23.30** მუსიკალურ ტალღაზე **01.30** მხ.ფ. **"დიდი, მსუქანა მატყუარა"** **02.40** ღამის ფილმი

**11.00, 01.10** იმედის მელოდიები **12.00, 15.00, 19.00, 22.00** ქრონიკა **12.10** მულტფილმი "ფანტომეტა" - მე-**7** ს. **12.30** ახალგაზრდული სერიალი **"უკიდურესი ზღვარი"**, **"ტროას ცხენი"** - 13 **"აკვიატებული აზრი"** **13.30** თამაში "ფორტ ბოიარდი" **14.30** X-კლუზივი **15.15** რეტროსკოპი "ფრთოსანი მღებავი" **17.00** ახალი ამბების დაიჯესტი **17.05** დოკ. სერიალი "მსოფლიოს ყველაზე იდუმალი ადგილები", "ალკატრასი", "მარჯნის სასახლე" **18.00** სერიალი **"ლაბირინთი"** - მე-**9** ს. **19.30** სერიალი **"ნირო ვულფი"**, ვულფი შინ რჩება **20.55** თოქ შოუ "არჩევანი თქვენ" **22.45** საღამოს ღიმილი (გასართობი გადაცემა) **23.00** კლიპ-ლოტო **23.30** ფეხბურთი **1**-ლი ტაიმი **00.30** ფეხბურთი მე-**2** ტაიმი **01.20** ეროტიკული ფილმი **"მშვიდობით ემანუელა"** მთ. როლში სილვია კრისტელი

**12.00** მხ. ფილმი **"სიცილიური კლანი"** **14.00** მხ. ფილმი **"სახელმწიფოს მტერი"** **17.00** მულტფილმი "ნიკი, ეშმაკი უმცროსი" **19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.20** მუსიკა **21.00** მხ. ფილმი **"ადამიანები შავებში"** **22.30** მხ. ფილმი **"გზაჯვარედინი"** **00.20** მხ. ფილმი **"ბლეიდი"**

**10.30** ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი **12.00** სალონი **13.30** ექიმი გვირჩევს **14.30** საბავშვო მუსიკალური კოლაჟი **15.00, 21.00** ვესტი **15.30** საბავშვო მუსიკალური კოლაჟის გაგრძელება **16.00** ლაბირინთი **17.00** მუსიკალური პაუზა **17.30** თქვენი ადვოკატი **18.30** ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი **20.00** თინეიჯერი **21.30** "ზერკალო" **22.00** "და ღმერთმა შექმნა ქალი" **22.30** საოცარი პირამიდა **23.30** თეატრალური შეხვედრები **00.30** მხ. ფილმი **"ავტოკატასტროფა"**

**10.00** ტოროლა **13.00** გან. ათეული **13.45** ფილმი **15.45** ფილმი **17.45** ფილმი **"გზის შვილები"** **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.15** ქართული მუსიკა **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** რუსული მუსათეული **22.35** კვირის საუკ. ლექსები **23.00** აბა გამოიცანი კადრი **00.00** ფილმი ბრავო **"შემთხვევითი სიყვარული"** მთ. რ-ში მონიკა პოტერი **01.50** ფილმი ღამურა **"კუბ-2: ჰიპერკუბი"** მთ.რ-ში ვინ დევისი **03.45** პაუზის გარეშე

**09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **09.50, 11.50, 17.50, 18.25, 19.50, 21.50, 23.45** მუსიკა **10.00** მხ. სერიალი **"ქვეყნის კიდეზე"** **11.00** მხ. სერიალი **"მოჯადოება"** **12.00** მხ. სერიალი **"ვი. აი. პი"** **12.45** მხ. ფილმი **"შერგარი"** **14.15** "ტელემეტრი" **14.45** დოკ. ფილმი "ჩვენი დროის კინო" მე-**2** ნ. **15.15** მხ. ფილმი **"კომპიუტერული მოჩვენება"** **16.30** დოკ. ფილმი "ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება" **18.00** მხ. სერიალი **"ქვეყნის კიდეზე"** **19.00** "საუბრები სტუდიაში" **20.00** ფილმი-კონცერტი "ერიკ კლაპტონი" **1**-ლი ნ. **21.00** ფილმი-კონცერტი "ერიკ კლაპტონი" მე-**2** ნ. **22.00** მარიონეტების ფილმი "ყოჩაღები". "პენსია" **22.15** მხ. ფილმი **"ქალღების პარკი"** **00.20** მხ. ფილმი **"დროის განაჩენი"**.

**08.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.20** დოკუმენტური ფილმი **09.00, 12.00, 16.00** საინფორმაციო გამოშვება **09.15** სათავგადასავლო ფილმი **"პატარა პრინცესა"** **10.55** კომედია **"აგენტი მინიკაბით"** **12.10** ისტორიული ფილმი **"ალექსანდრე დიდი"** **14.35** მხატვრული ფილმი **"მაფიის ხალხი"** **16.10** მულტფილმების კრებული **17.35** თრილერი **"დედოფლის სიკვდილი"** **19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება "დღეს" **19.20, 22.40, 00.30** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **19.30, 22.30** "პრესდაიჯესტი" **19.40** "ყველანი ვართ პატარები" **19.50** მხატვრული ფილმი **"ორნი ქალაქში"** **21.25** "ქართული კინო" **21.50** "გალერეა" **23.00** «Ñëî âî » **23.30** დოკუმენტური ფილმი **00.50** კომედია **"მეხსიერებით თამაში"** **03.20** ბავშვთა ოპერისა და ბალეტის სახ.თეატრის სოლისტების კონცერტი **04.00** ვესტერნი **"შესანიშნავი შვიდეული"**

## კვირა
### 6 აპრილი

**08.00** მოამბე **08.15** ზოოპარკი **08.25** მხ. ფილმი **"უცხო ამერიკა"** **10.00** "დილის პაემანი" **11.05** "ამბები ჩვენზე" **11.35** მოგზაურობა სასიტყვეთში **12.05** "სპა" **12.35** "პრეს-სტუდია" **13.25** მოსკოვი-თბილისი **13.55** "ღამის ჯაზი" **14.25** არათბილისური ამბები **15.00** საინფორმაციო პროგრამა ინგლისურ ენაზე **15.15** რუსთაველის სახ. აკად. თეატრის სპექტაკლი "საშობაო სიზმარი" **17.35** ეძიე ქალი **18.00** ტაიმ-აუტი **18.20** "ჩემპიონი" **18.50** "ეკოდაიჯესტი" **19.25** "ჩვენი მისამართია" **20.00** ტაიმ-აუტი **20.55** მუსიკალური ოქტაგონი **21.40** "ამბობენ" **22.15** მეალომანია **22.50** სატელევიზიო კინოდარბაზი "ჩვენ პირველი ევროპელები ვართ" **23.35** არტმობილი **00.00** ტაიმ-აუტი **00.30** მხ. ფილმი **"ცის ქუხილი"**

**19.00** მხიარული კარუსელი **19.30** დიზაინი **19.50** შეხვედრები ფიქრის გორაზე **20.30** საქართველოს მატიანე **21.00** დოკ. ფილმი "საუკუნის გიგანტები" **21.50** ვარსკვლავები გვამცნობენ **22.00** შვიდეული **23.00** მხ. ფილმი **"არხების გადათვლისას"** ჰიტ-პარადი

**08.00** მუსიკა **09.00** კურიერი **09.20** მულტსერიალი **10.00** ჯადოქარი **10.45** საბავშვო ფილმი **12.00, 15.00** კურიერი **12.20** სიმფსონები **12.50** მხ.ფილმი **15.20** ველური ამბები **16.10** მხ. ფილმი **17.00** სერიალი **"კოლომბო"** **18.00, 00.00** კურიერი **18.20** სერიალი **"კოლომბო"** **19.00** მხ. ფილმი **21.00** კურიერი **21.45** ჩვენი ეზო **22.00** "ჯეოსელის კინოკლუბი" - **"ჩრდილოეთის ვარსკვლავი"** **877 45-79-25** სიმონა სინიორე, ფილიპ ნუარე, **"ნავი"** **877 45-79-26**, იურგენ პროხნოვი, ჰერბერტ გრონმაიერი. **"დაქირავებული პოლიციელი"** **877 45-79-27** ბერტ რეინოლდსი. **00.15** მხ.ფ. **"ღამის ფერი"** მთ. რ-ში: ბრიუს ულისი. **02.15** კლასიკა.

**08.00** ანონსი, მულტფილმი **08.20** აღსავალი **08.25, 10.15, 12.30, 21.55, 22.50** მუსიკა **08.30** ახალი ამბები **09.00** მხ. ფილმი **"დიდი, მსუქანა მატყუარა"** **10.20** მულტფილმი **12.30** გადაცემა - მურადა (განმეორებით) **13.00** მუსიკალურ ტალღაზე **17.00** ოპერა: მადამ ბატერფლაი **19.30** დოკ. ფილმი **20.00** მხ. ფილმი **"სიყვარულის ფურცელი"** **22.00** ტელე-სინე-ვიდეო **23.00** მხ.ფ. **"საიდუმლო"** **01.00** ღამის ფილმი

**11.00, 01.20** იმედის მელოდიები **12.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00** ქრონიკა **12.10** მულტფიმლი "ფანტომეტა"- 8 **12.30** ახალგაზრდული სერიალი **"უკიდურესი ზღვარი"**. **"დოპინგი"**-15, **"სრული კონტროლი"**-18 **13.10** "არტ-ბულვარი" შოუ-ბიზნესი **13.45** თოქ შოუ "არჩევანი თქვენ" **15.15** სპორტული პროგრამა "ასი" **15.35** ქართული ფილმი **"მაცი ხვიტია"** **17.05** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისათვის". "დრაკონის მიწა" **18.00** სერიალი **"ლაბირინთი"**- მე-**10** ს. **19.30** სერიალი **"შტოკინგერი"**-3 **20.30** თამაში "ლარის მახე" **21.00** ქართული სერიალი **"ცხელი ძაღლი"**-4 **22.00** დროება **22.40** წარსულის ერთი კვირა - **4** **23.05** "მუღამები" (ფარული კამერა) **23.30** ფეხბურთი **1**-ლი ტაიმი **00.20** ახალი ამბების დაიჯესტი **00.30** ფეხბურთი მე-**2** ტაიმი

**12.00** მხ. ფილმი **"ადამიანები შავებში"** **13.30** მხ. ფილმი **"გზაჯვარედინი"** **15.00** მხ. ფილმი **"შეთქმულების საიდუმლო"** **17.00** მხ. ფილმი **"ვარსკვლავური დესანტი"** **19.00** ინდ. მხ. ფილმი **"გზაჯვარედინზე"** **22.00** მხ. ფილმი **"გულთამაყრობელნი"** **00.10** მხ. ფილმი **"ბლეიდი 2"**

**11.00** საბავშვო მუსიკალური კოლაჟი **12.00** თეატრალური შეხვედრები **13.35** თბილისური ოჯახები **14.00** მუსიკალური პაუზა **14.25** მხ. ფილმი **"პონეტი"** **16.00 - 18.00** რელიგიის საათი **18.00** დოკ. ფილმი **19.00** კითხვების კორიანტელი **19.20** ცეროდენა ვარსკვლავები **20.00** შეხვედრა ვარსვლავთან **20.20** მოგზაურობა ბავშვობაში **20.40** თავისუფალი მიკროფონი **20.50** თქვენი აზრით **21.00** "კვირის ვესტი" **22.00** "იდენ-ტვ" **22.30** საოცარი პირამიდა **23.30** მხ. ფილმი **"ფოსტალიონი ყოველთვის ორჯერ რეკავს"**.

**10.00** ტოროლა **13.00** გან. ათეული **13.45** ფილმი **15.45** ფილმი **17.45** ფილმი **"სიყვარულის ისტორია"** მთ.რ-შიუორენ ბიტი **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.15** ქართული მუსიკა **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** ქართული მუსათეული **22.50** კვირის საუკ. ლექსები **23.00** აბა გამოიცანი მელოდია **00.00** ფილმი ბრავო **"15 აგვისტო"** მთ. რ-ში შარლ ბერლინგი **01.50** ფილმი ღამურა **"კარლიტოს გზა"** მთ. რ-ში ალ პაჩინო, შონ პენი. **03.45** პაუზის გარეშე

**09.30** დღის ამბები **09.50, 11.50, 17.50, 18.25, 19.50, 21.50, 23.45** მუსიკა **10.00** მხ. სერიალი **"ქვეყნის კიდეზე"** **11.00** "საუბრები სტუდიაში" **11.50** მულტფილმი "ფოლადის გიგანტი" **13.20** მხ. ფილმი **"თომას კრაუნია აფიორა"** **15.15** მხ. ფილმი **"ქალღების პარკი"** **17.00** მხ. ფილმი **"დროის განაჩენი"** **19.00** "ბელისიმო". ელისო ვირსალაძე. **19.30** "მსოფლიო ფეხბურთი" **20.00** "ოსტატები". მეღვინე. **20.40** დოკ. სერიალი "ფოტორობოტი" მე-**7** ს. **22.00** მარიონეტების ფილმი "ყოჩაღები". **22.15** "ლეო და გეო" **22.30** მხ. ფილმი **"იარაღიანი კაცი"** **00.20** მხ. ფილმი **"სუპერჯაშუში"**.

**08.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.20** დოკუმენტური ფილმი **09.00, 12.00, 16.00** საინფორმაციო გამოშვება **09.15** ზღაპარი **"დაბრუნება ოზის ქვეყანაში"** **11.05** "ყველანი ვართ პატარები" **11.15** «Ñëî âî » **12.10, 16.10, 19.20** "სამყარო მშვენიერია" ბავშვები და ხელოვნება **12.20** ვესთერნი **"შესანიშნავი შვიდეული"** **14.25** სათავგადასავლო ფილმი **"ექვსი დღე, შვიდი ღამე"** **16.20** მულტფილმი "გუფი და მისი მეგობრები" **17.20** კომედია **"შავი რაინდი"** **19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება "დღეს" **19.30** მხატვრული ფილმი **"ოუშენის თერთმეტი მეგობარი"** **21.30** "ქალბატონები" **22.30, 00.30** «Í î âî ñòè â âî ñêðåñåí üå» **23.00** «Âåëè÷åñòâåí í î å í àñëåäèå» **00.50** მელოდრამა **"დედინაცვალი"** **03.20** დრამა **"ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა"**

## [illegible]



**კოტე მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრი**
მარჯანიშვილის ქ. 8 95-55-00

04.04 (18.00) პოლიკარპე კაკაბაძე **"ყვარყვარე თუთაბერი"**. დამდგმელი რეჟისორი - ლევან წულაძე.
05.04 (18.00) ინგა გარუჩავა, პეტრე ხოტიანოვსკი **"მიტევების დღე"** დამდგმელი რეჟისორი - ქეთი დოლიძე. მონო სპექტაკლი გურანდა გაბუნიას მონაწილეობით.
06.04 (18.00) ლაშა თაბუკაშვილი **"ნატაძრალი"**. დამდგმელი რეჟისორი - ნუკრი ქანთარია.

*ფასი 2-5 ლარი.*

[illegible]
[illegible] "[illegible]" [illegible].
[illegible]: 93-11-06

05.04, 06.04 (14.00) საბავშო ზღაპარი **"ყველაზე დიდი სასწაული"**. დამდგმელი რეჟისორი — ავთო ვარსიმაშვილი.
06.04 (19.00) ჯონ ოზბორნი **"კომედიანტები"**. დამდგმელი რეჟისორი - ავთო ვარსიმაშვილი.
04.04 (19.00) კინომსახიობთა თეატრის სპექტაკლი. რაფიელ ერისთავი **"ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს"**. დამდგმელი რეჟისორი - გიორგი მარგველაშვილი.
02.04 (19.00) ფედერიკო გარსია ლორკა **"სისხლიანი ქორწილი"**. დამდგმელი რეჟისორი - გოჩა კაპანაძე.
03.04 (19.00) ევრიპიდე, ჟან ანუი **"მედეა"**. დამდგმელი რეჟისორი - გოჩა კაპანაძე.
05.04 (19.00) ავთო ვარსიმაშვილი **"პროვოკაცია"**. დამდგმელი რეჟისორი - ავთო ვარსიმაშვილი.

*ფასი 5 ლარი.*

[illegible]
Â. ÂÂÂÂÂÂÂÂ Â. 10

**შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლები**

04.04 (18.00) ლაშა თაბუკაშვილი **"მერე რა, რომ სველია სველი იასამანი"**. დამდგმელი რეჟისორი - რობერტ სტურუა, დავით ხინიკაძე.
05.04 (18.00) სამუელ ბეკეტი **"გოდოს მოლოდინში"**. დამდგმელი რეჟისორი - რობერტ სტურუა.
06.04 (18.00) უილიამ შექსპირი **"ჰამლეტი"**. დამდგმელი რეჟისორი - რობერტ სტურუა.

*ÂÂÂÂ 5-10 ÂÂÂÂ.*

**თეატრალური სარდაფი**
რუსთაველის გამზ. 42. ტ. 99-95-00

01.04 (20.00) ნანა ჯანელიძე **"-90-იანი ხმა ადამიანისა"**. დამდგმელი რეჟისორი - ნანა ჯანელიძე.
02.04 (20.00) ნინო ბასილია **"თაგვი"**. დამდგმელი რეჟისორი - ლევან წულაძე.
03.04 (20.00) ნანა ჯანელიძე **"ანტიგონე"**. დამდგმელი რეჟისორი - ნანა ჯანელიძე.

*[illegible] 5 [illegible].*

**ვაკის სარდაფი**
ჭავჭავაძის. 32. ტ. 91-27-78

02.04 (19.00) უილიამ შექსპირი **"ვენეციელი ვაჭარი"**. დამდგმელი რეჟისორი - ლევან წულაძე.
05.04, 06.04 (19.00) პრემიერა. ანტონ ჩეხოვი **"ძია ვანია"**. დამდგმელი რეჟისორი - ოთარ ეგაძე.

*[illegible] 10 [illegible].*

მუნიციპალური „მეტეხის თეატრი"
**თეატრი "ძველი სახლი"**
**თბილისის მუნიციპალური "მეტეხის თეატრი"**
მეტეხის აღმართი №1 ტ.77-04-64
თეატრი "ძველი სახლი"

03.04, 04.04(18.00) თეოდორ დოსტოევსკი **"იდიოტი"**. დამდგმელი რეჟისორი — სანდრო მრევლიშვილი.
05.04 (18.00) აზიზ ნესინი **"მომკალ... მომკალ "** დამდგმელი რეჟისორი — ლევან კუჭაიძე.

*ფასი 2-3 ლარი.*

**ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი**
ვ. ანჯაფარიძის ქ. 16 ტ. 22-13-38

31.03 (18.00) **"ჩემი გალაქტიონი"**. კითხულობს ელდინო საღარაძე.
02.04 (18.00) გაბრიელ გარსია მარკესი **"სიყვარულის სულთათანა"**. კითხულობს სოფიკო ჭიაურელი. დამდგმელი რეჟისორი - თემურ ჩხეიძე.
03.04 (18.00) ლევან სანიკიძე **"ბაგრატიონები"**. კოტე მახარაძის სპექტაკლი (ვიდეოჩვენება).

*ÂÂÂÂ 5 ÂÂÂÂ.*

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!**

საქართველოს რესპუბლიკა
№ 84, ორშაბათი, 31 მარტი, 2003 წელი.

აღშფოთება

# დაჩქარდეს გამოძიება

**ქართული სპორტული და საქმიანი წრეების ღირსეული წარმომადგენლის კახი ასათიანის რეზონანსული მკვლელობიდან გასული რამდენიმე თვის განმავლობაში საზოგადოებრიობა უშედეგოდ ელის რაიმე სასიკეთო ძვრას ამ საზარელი დანაშაულის გახსნის თვალსაზრისით, ამიტომ სავსებით ლოგიკური გახლავთ ის სუსხიანი სტრიქონები, რომელთაც ქვემოთ გაეცნობით:**

ახლახან ქართული ფეხბურთის სახლში შევიკრიბეთ კახი ასათიანის მეგობრები, ვეტერანი ფეხბურთელები, სპორტსმენები, გულშემატკივრები და ქართული საზოგადოებრიობის ის ნაწილი, რომლისთვისაც სულერთი არ არის ქვეყნისა და ჩვენი მოქალაქეების ბედი.

ქვეყანას მოუკლეს კაცი, რომელიც საქართველოს სავიზიტო ბარათი იყო, სახელმწიფო მოღვაწე, რომელსაც მთელს მსოფლიოში იცნობდნენ და აფასებდნენ... მკვლელები ამასაც აღარ დასჯერდნენ და ახლა მისი ბიზნესის დაპატრონებას და ოჯახის წევრების დაშანტაჟებასაც ბედავენ. ამას აკეთებენ თავხედურად, უტიფრად, თითქოს საქართველო მათი ოჯახების საკუთრებაა და შიშს და ცინიზმს თესავენ ქვეყანაში — აი, ასეთ კაცს მოვერიეთ და თქვენ ვისი ტიკი-ტომრები ხართო!

ამ საზარელი მკვლელობიდან ოთხი თვე გავიდა და გამოძიება წინ არ მიდის, მეტიც — სულ სხვა მიმართულებით ვითარდება. ჩვენ, ქართული საზოგადოებრიობის სახელით, ხელისუფლებისგან მოვითხოვთ:

1. დაჩქარდეს კახი ასათიანის საქმის გამოძიება და საშუალება მიეცეს ამ შეხვედრაზე ჩამოყალიბებულ საინიციატივო ჯგუფს, პერიოდულად გაეცნოს გამოძიების მიმდინარეობას კანონით დადგენილ ფარგლებში.

2. შეწყდეს შანტაჟი კახი ასათიანის ოჯახზე და მათი უსაფრთხოების მიზნით, სასწრაფოდ დაენიშნოს დაცვა მის ოჯახს.

3. სახალხოდ, კატეგორიული გაფრთხილება მიეცეთ სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელებს, გააააქტიურონ მუშაობა კახი ასათიანის მკვლელობის საქმის გახსნისათვის, განახორციელონ ყველა საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიება, საქმეზე არსებული ვერსიების სრულყოფილად და კანონით დადგენილ ვადებში ჩასატარებლად. მოწმეთა დაკითხვები, როგორც წესი, აწარმოონ პროკურატურის შენობაში და არ დაუშვან პროცესუალური მოქმედებების ფორმალურად შესრულება.

4. დამნაშავენი დაისაჯონ კანონის მთელი სისასტიკით, რათა ეს მაგალითი გახდეს ყველა ჯურის მოძალადისა და ქვეყნის დამქცევისთვის.

5. ეთხოვოს საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციას, ჩაატაროს ჟურნალისტური გამოძიება და გამოაქვეყნოს პერიოდული პრეს-რელიზები.

თუ ერთ თვეში არ შესრულდება ჩვენი მოთხოვნები, ვიტოვებთ უფლებას, ეროვნულ სტადიონზე შევკრიბოთ ის ხალხი, ვისთვისაც სულერთი არ არის საქართველოს ბედი და ჩვენი ძალებით გადავწყვიტოთ ეს პრობლემა, თანაც ხმამაღლა ვთქვათ ქვეყანაში არსებულ ურთულეს სიტუაციასა და მისი სასწრაფოდ გადაწყვეტის გზებზე.



**ალექსანდრე ჩივაძე, მიხეილ ძორძია, მურთაზ ხურცილავა, ზურაბ საკანდელიძე, დავით გოზეჯიშვილი, ლერი ხაბელოვი, შოთა ხაბარელი, ნუგზარ ჯულელი, სერგო კოტრიკაძე, მიხეილ ჯოჯუა, ვლადიმერ ელოშვილი, ბორის სიჭინავა, ოთარ გაბელია, რამაზ შენგელია, თენგიზ სულაქველიძე, არჯევან ლომიძე, კიჭა, რეზო, არჩილ, შოთა არველაძეები, გიორგი ნემსაძე, გიორგი ძინძლაძე, გიორგი კანდელაკი, ანზორ მარტყოფლიშვილი, შოთა ჩოჩიშვილი, დავით ხახალეიშვილი, გელა კეტაშვილი, ალექსანდრე იაშვილი, ვახტანგ ძორიძე, ლევან ცქიტიშვილი, გოჩა ჯამარაული, ილია მჭედლიშვილი, გოგი დემეტრაძე, ანზორ საკანდელიძე, დათო ტურაშვილი, ოთარ მეღვინეთუხუცესი, რამაზ ჩხიკვაძე, ჯემალ ღაღანიძე, ბორის წიფურია, ბეჟან ხურციძე, გოგი თოფაძე, ზურაბ ტყემალაძე, თამაზ ბეჟანიშვილი, ბადრი შოშიტაიშვილი, გიორგი რევაზიშვილი, გურამ პაპიტაშვილი, ზურაბ ზვიადაური, ბიძინა მაზიაშვილი, დავით ქლიბაძე, რაფაელ ჩიმიშკიანი, გიორგი მარგველაშვილი, ნიკა მემანიშვილი, ანატოლი მილჩენკო, მერაბ ჟორდანია, ვალერი ჩოლარია, გივი ჯიშიაშვილი.**

ცხოვრების ჯანსაღი წესი

# დიდ სიკეთეს მოგიტანთ

**თუ სისტემატურად ვარჯიშობთ (დარბიხართ, დილას იწყებთ გამამხნევებელი ვარჯიშით, სხვა ვარჯიშებს ატარებთ), გასაგებია, რომ ტანსწორი, მოქნილი და ჯანმრთელიც ბრძანდებით.** მაგრამ თუ ცოტას (!) ზარმაცობთ, ხამუშ-ხამუშ გამოდიხართ სუფთა ჰაერზე და იშვიათად ატარებთ სხვადასხვა ვარჯიშს, აქაც შეიძლება გამოინახოს გამოსავალი: არსებობს სპეციალური ვარჯიში, რაც დიდ დროს არ წაგართმევთ, სიკეთეს კი ნამდვილად დიდს მოგიტანთ. ეს ვარჯიშები განსაკუთრებით წაადგება კომპიუტერებთან ხშირად მსხდომ ჩვენს ახალგაზრდებს და, საერთოდ, გონებრივი შრომით დაკავებულებს.

საქმე ეხება თქვენს აღნაგობას, ზურგისა და ბეჭების გამართვას, თანაც ძალიან მარტივი და ხელმისაწვდომი ვარჯიშებით.

1. შეამოწმეთ თქვენი ტანის სისწორე. დადექით კედელთან ისე, რომ ფეხის ქუსლები, დუნდულები, ბეჭები და კეფა ეხებოდეს კედელს. 1-2 წუთის შემდეგ გადადგით 1-2 ნაბიჯი და შეეცადეთ შეინარჩუნოთ კედელთან დგომისას მიღებული მდგომარეობა (ტანის სისწორე).

2. წელგამართულმა შეასრულეთ 6-8 დახრა წინ.

3. დაწექით გულდაღმა, შეეცადეთ მაქსიმალურად გაიზნიქოთ, თან ბეჭები აქტიურად გასწიოთ უკან (4-6-ჯერ).

4. დადექით ოთხზე, ასწიეთ თავი, 20-30-ჯერ აიქნიეთ უკან ჯერ მარჯვენა, მერე მარცხენა ფეხი.

5. მუხლებზე მდგომმა გაიზნიქეთ, შეეცადეთ ხელებით დაიჭიროთ ქუსლები, 3-4 წამით დააყოვნეთ. გაიმეორეთ 6-8-ჯერ.

6. დადექით კედელთან ერთ ნაბიჯზე, გაიზნიქეთ უკნ, დააყოვნეთ 5-10 წამით, დაიზნიქეთ წინ. ეს ვარჯიში შეასრულეთ 6-8 ჯერ.

ასეთი უბრალო ვარჯიშებს თუ სისტემატურად შეასრულებთ (აჯობებს დილაობით), მალე ნახავთ, რომ თქვენი ტანი და ბეჭები თანდათანობით მიიღებს ისეთ ფორმას, რომელიც უნდა ჰქონდეს ყველა ნორმალურ ადამიანს, ვისაც საპირისპირო სქესის წარმომადგენლები თვალს ხშირ-ხშირად გააყოლებენ.

**ანზორ ბასილაია.**




ათლეტიზმი

# ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად

## კალათბურთელის ძალისმიერი მომზადება I ნაწილი

თანამედროვე სპორტში კარგი ფიზიკური და განსაკუთრებით ძალისმიერი მომზადების გარეშე მაღალი შედეგების მიღწევა თითქმის შეუძლებელი გახლავთ. ბუნებრივია, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კალათბურთელებიც ცდილობენ დღევანდელობის შესაბამისი ფიზიკური დატვირთვები მიიღონ.

დღეს ჩვენი რუბრიკის სტუმარია თსუ ფსიქოლოგიის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი, ქვეყნის წამყვანი უმაღლესი სასწავლებლის კალათბურთელთა ნაკრები გუნდის წევრი, სხვადასხვა ასაკსა და კლუბებში საქართველოს 8-გზის ჩემპიონი **ნათია ცხადაძე.**

აღსანიშნავია, რომ ნათია 2 სეზონია თსუ-ს შემადგენლობაში თამაშობს, მანამდე 6 წლის განმავლობაში იგი „მართვეს“ სპორტულ ღირსებას იცავდა. მას საკმაოდ კვალიფიციურ მწვრთნელთა ჯგუფი ავარჯიშებს ლამარა გენგაშვილის, ელდარ კაპანაძისა და იანა ავსაჯანიშვილის შემადგენლობით. ისინი დიდ ყურადღებას უთმობენ ახალგაზრდა სპორტსმენის ძალისმიერ მომზადებას და სავარჯიშო დროის მნიშვნელოვან ნაწილს ულტრათანამედროვე ტრენაჟორებით აღჭურვილ თსუ ძალისმიერი მომზადების დარბაზში ატარებენ.

გთავაზობთ ხელების, მხრების, მკერდის, ზურგისა და მუცლის კუნთების ვარჯიშს ნათია ცხადაძის შესრულებით.







**1. აჭიმვა განიერი ჭიდით მკერდიდან (სურ. 1).** სრულდება 6 მისვლა 8-8 გამეორებით. ვარჯიშდება ხელის, მკერდისა და მხრის კუნთები.

**2. ტრენაჟორის სახელურების მკერდთან მოზიდვა (სურ. 2).** სრულდება 6 მისვლა 10-10 გამეორებით. ვარჯიშდება მკერდისა და ხელის კუნთები.

**3. ტრენაჟორის ბლოკის ღერძის ჩამოწევა განიერი ჭიდით (სურ. 3).** სრულდება 6 მისვლა 8-8 გამეორებით. ვარჯიშდება ზურგის უგანიერესი და ხელის კუნთები.

**4. მუცლის კუნთების ვარჯიში დახრილ სკამზე (სურ. 4).** სრულდება 4 მისვლა 20-20 გამეორებით.

**ზურაბ ჭავჭანიძე.**
**თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.**







გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ფეხბურთი

# hjwf xdty udfhw[dtylyty888

იმ დროს, როცა საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრები „ევრო-2004“-ის შესარჩევ ციკლში ირლანდიელებთან მორიგი საინფარქტო „თამაშით“ გვწურავდა ჭირის ოფლში, პოსტსაბჭოთა სივრცის რამდენიმე წარმომადგენელი შესანიშნავი სანახაობითა და, რაც მთავარია, შედეგით ახარებდა საკუთარ გულშემატკივარს.



უპირველესად, აღსანიშნავია ლიტველთა მიერ სტუმრად მოპოვებული ძვირფასი ქულა მსოფლიოს ვიცეჩემპიონებთან — გერმანელებთან — 1:1. ბალტიისპირელთათვის ეს ფრე თავისთავად დიდი წარმატებაა, მაგრამ კიდევ უფრო დასაფასებელია ის თავდადება, რომლითაც ვალდას ივანაუსკასის გუნდმა იბრძოლა.

არანაკლებ შთამბეჭდავად იასპარეზა უკრაინის ნაკრებმა, რომელიც ესპანელებს მასპინძლობდა. სტუმრებს ოფიციალური შეხვედრა 2000 წლის ზაფხულიდან არ წაუგიათ, როცა კონტინენტის წინა პირველობის მეოთხედფინალში მომავალ ტრიუმფატორებთან — ფრანგებთან დამარცხდნენ — 1:2. ამჯერად ინაკი საენსის შეგირდები მე-80 წუთამდე მდევრის როლში იყვნენ (ვორონინი), თუმცა რაულისა და ეჩებერიას ძალისხმევით 87-ე წუთზე მაინც დაწინაურდნენ — 2:1. კრიტიკულ ვითარებაში ლეონიდ ბურიაკს რეპუტაცია (შესაძლოა, თანამდებობაც კი) შორეული დარტყმით გორშკოვმა შეუნარჩუნა — 2:2. რადგან სლავთა თავკაცის პოსტი ვახსენეთ, ახლავე დავაკონკრეტებთ სათქმელს: მან 1:0-ზე თვით ანდრეი შევჩენკო შეცვალა, 80-ათასიანი აუდიტორიის თანდასწრებით საშინაო მატჩის დათმობას კი, ადვილი შესაძლებელია, მისი სანაკრებო კარიერა შესწირვოდა.



თუმცა, რაღა შორს მივდივართ — აგერ, ჩვენმა მეზობლებმა — ჰაოსელებმა ერევანში ჩრდილოეთ ირლანდიელები არ გააკრეს ბეჭებზე? — 1:0. არადა, რამდენიმე დღის წინათ ბრიტანელები ერაყში დაწყებული ომის გამო ამიერკავკასიაში ჩამოსვლაზე უარს აცხადებდნენ და მხოლოდ უეფას ურყევი პოზიციის დამსახურებაა, მაინც რომ გაბედეს ამ ვიზიტის განხორციელება.

ვიდრე შაბათის ბატალიების სრულ ნუსხას შემოგთავაზებთ, ერთ სასიამოვნო ინფორმაციას მოგაწვდით: გუშინწინ ქართველებმა ირლანდიელებს ერთი ბურთაობა მაინც მოუგეს. ეს ჩვენმა ჟურნალისტებმა მოახერხეს, რომლებმაც კუნძულელი კოლეგები 7:1 დაჯაბნეს. ასე რომ, მთლად სათავცემოდ ნამდვილად არ გვქონია საქმე. ახლა კი მოკლედ „ევრო-2004“-ის მორიგი შესარჩევი რაუნდის თაობაზე:

**I ჯგუფი.** საფრანგეთი — მალტა 6:0, კვიპროსი — ისრაელი 1:1:

საფრანგეთი — 12, ისრაელი, კვიპროსი — 4-4, სლოვენია — 3, მალტა — 0 ქულა.

2 აპრილს ითამაშებენ ისრაელი — საფრანგეთი, სლოვენია — კვიპროსი.

**II ჯგუფი.** რუმინეთი — დანია 2:5, ბოსნია — ლუქსემბურგი 2:0.

დანია, ნორვეგია — 7-7, რუმინეთი — 6, ბოსნია — 3, ლუქსემბურგი — 0 ქულა.

2 აპრილს ითამაშებენ დანია — ბოსნია, ლუქსემბურგი — ნორვეგია.

**III ჯგუფი.** ჰოლანდია — ჩეხეთი — 1:1, ბელარუსი — მოლდოვა 2:1.

ჰოლანდია, ჩეხეთი — 7-7, ავსტრია — 6, ბელარუსი — 3, მოლდოვა — 0 ქულა.

2 აპრილს ითამაშებენ ჩეხეთი — ავსტრია, მოლდოვა — ჰოლანდია.

**IV ჯგუფი.** პოლონეთი — უნგრეთი 0:0.

ლატვია — 7, უნგრეთი — 5, პოლონეთი — 4, შვედეთი — 2, სან-მარინო — 0 ქულა.

2 აპრილს ითამაშებენ უნგრეთი — შვედეთი, პოლონეთი — სან-მარინო.

**V ჯგუფი.** გერმანია — ლიტვა 1:1, შოტლანდია — ისლანდია 2:1.

გერმანია, შოტლანდია — 7-7, ლიტვა — 4, ისლანდია — 3, ფარერები — 1 ქულა.

2 აპრილს ითამაშებენ ლიტვა — შოტლანდია.

**VI ჯგუფი.** უკრაინა — ესპანეთი 2:2, სომხეთი — ჩრდილოეთ ირლანდია 1:0.

ესპანეთი — 7, უკრაინა — 6, სომხეთი — 4, საბერძნეთი — 3, ჩრდილოეთ ირლანდია — 1 ქულა.

2 აპრილს ითამაშებენ ესპანეთი — სომხეთი, ჩრდილოეთ ირლანდია — საბერძნეთი.

**VII ჯგუფი.** ლიხტენშტეინი — ინგლისი 0:2, მაკედონია — სლოვაკეთი 0:2.

თურქეთი — 9, ინგლისი — 7, სლოვაკეთი — 3, მაკედონია — 2, ლიხტენშტეინი — 1 ქულა.

2 აპრილს ითამაშებენ ინგლისი — თურქეთი, სლოვაკეთი — ლიხტენშტეინი.

**VIII ჯგუფი.** ხორვატეთი — ბელგია 4:0.

ბულგარეთი — 9, ბელგია — 6, ხორვატეთი — 4, ესტონეთი — 1, ანდორა — 0 ქულა.

2 აპრილს ითამაშებენ ესტონეთი — ბულგარეთი, ხორვატეთი — ანდორა.

**IX ჯგუფი.** იტალია — ფინეთი 2:0, უელსი — აზერბაიჯანი 4:0.

უელსი — 12, იტალია — 7, სერბეთი — 5, ფინეთი — 3, აზერბაიჯანი — 1 ქულა.

2 აპრილს ითამაშებენ სერბეთი — უელსი.

**X ჯგუფი.** საქართველო — ირლანდია 1:2, ალბანეთი — რუსეთი 3:1.

შვეიცარია — 7, რუსეთი — 6, ალბანეთი — 4, ირლანდია — 3, საქართველო — 0 ქულა.

2 აპრილს ითამაშებენ საქართველო-შვეიცარია, ალბანეთი — ირლანდია.



რაგბი



ჯემალ კასრაძის ფოტო.

გუშინ, თბილისის ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე შედგა ევროპის ერთა თასის გათამაშების შეხვედრა რაგბიში საქართველოსა და რუმინეთის ნაკრებ გუნდებს შორის. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 19:6.

მატჩის ვრცელ ანგარიშს გაზეთის მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ.

გახსენება

# ომარ ურთქმელიძის ბედისწერა

ხონის რაიონის სოფელ სუხჩაში დაბადებულმა ომარ ურთქმელიძემ საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტში განაგრძო სწავლა. თამაშობდა გორის გუნდში, ქობულეთის „კოლმეურნეში“. ათლეტური აღნაგობის პერსპექტიული ფეხბურთელი მხედველობიდან არ გამორჩენიათ სპეციალისტებს და 1955 წელს მიიწვიეს საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში, რომელიც ოდესაში გამართულ სოფლის სპორტსმენთა საკავშირო სპარტაკიადაში მონაწილეობდა. საქართველოს ნაკრებმა ჩემპიონობა მოიპოვა, ომარ ურთქმელიძე კი საუკეთესო ბომბარდირი გახდა.



1956-57 წლებში ო. ურთქმელიძე თბილისის „ბურევესტნიკში“ გამოდიოდა. 1958 წელს სტუდენტთა გუნდის შეფობა ამიერკავკასიის რკინიგზას რომ დაევალა, ნიჭიერი ფეხბურთელები რკინიგზელთა გუნდში გადავიდნენ და საგრძნობლად გააძლიერეს იგი. „ლოკომოტივი“ 1959 წლიდან სსრკ ჩემპიონატის „ბ“ კლასში, შემდგომ კი „ა“ კლასის მე-2 ჯგუფში მონაწილეობდა.

1961 წლის მარტის დასაწყისში საბჭოთა კავშირის ნაკრები, რომელმაც 1960 წელს ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა, თბილისში საწვრთნელ შეკრებას გადიოდა. რუსთავში მან საკონტროლო მატჩი გამართა თბილისის „ლოკომოტივთან“.

**სსრკ ნაკრები** ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: მასლაჩენკო, მედაკინი, ჩოხელი, ნეტო, ვორონინი, მანოშინი, მეტრეველი, ივანოვი, პონედელნიკი, ბატანოვი, მესხი.

**„ლოკომოტივი“:** რუხაძე, უსტაბაშიდი, კუჭავა, ოდიკაძე, მუმლაძე, მიროშნიკოვი, იაშვილი, ცერცვაძე, ახალკაცი, ურთქმელიძე, ივანოვი. რკინიგზელმა ფეხბურთელებმა ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს ევროპის ჩემპიონებს. პირველი ტაიმის მიწურულს ახალკაცი-ურთქმელიძე — მიროშნიკოვის მრავალსვლიანი კომბინაცია ამ უკანასკნელმა გოლით დააგვირგვინა. მე-2 ტაიმის დასაწყისში მესხის გადაცემით პონედელნიკმა ანგარიში გაათანაბრა. 1:1 — ასე დამთავრდა ეს მატჩი.

ომარ ურთქმელიძემ თბილისის „ლოკომოტივში“ 1963 წლის სეზონის ბოლომდე ითამაშა. იგი იყო გუნდის კაპიტანი, ბომბარდირი და უშურველად უზიარებდა თავის გამოცდილებას ახალგაზრდა ფეხბურთელებს. უსაზღვროა ო. ურთქმელიძის წვლილი რკინიგზელთა გუნდის წარმატებებში. მან ორასამდე მატჩში ითამაშა. საფეხბურთო კარიერის დამთავრების შემდეგ მუშაობდა მწვრთნელად ახალგაზრდულ საფეხურთო სკოლაში, ხოლო 1964 წლიდან საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდს ჩაუდგა სათავეში, მოგვიანებით იგი წლების განმავლობაში ხონის „იმერეთსაც“ წვრთნიდა. მისი აღზრდილები სხვადასხვა დროს წარმატებით თამაშობდნენ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებში. 1960 წლიდან სსრკ სპორტის ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი აქტიურ მუშაობას ეწეოდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში და პირნათლად ასრულებდა როგორც მსაჯ-ინსპექტორის, ასევე, მწვრთნელ-სელექციონერის მოვალეობას.

ომარ ურთქმელიძე დაჯილდოებული იყო იუმორის უზარმაზარი გრძნობით, გახლდათ შესანიშნავი მოქალაქე, სიტყვისა და საქმის კაცი, გამტანი და საიმედო მეგობარი, დიდად განათლებული პიროვნება, მუსიკის უდიდესი მცოდნე, სიმღერების ჩინებული შემსრულებელი, ოჯახზე და მეგობრებზე უზომოდ შეყვარებული.

1991 წლის 27 ნოემბერს ომარ ურთქმელიძე 57 წლისა მოულოდნელად გარდაიცვალა.

ამ ქვეყნიდან მისმა წასვლამ უსაზღვრო სევდა და გულისტკივილი დაგვიტოვა.

ომარ ურთქმელიძეს ამ დღეებში 70 წელი შეუსრულდებოდა...

**ვაჟა ჭიაურელი.**

სტაჟირება

# ბრწყინვალე დებიუტი

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ჭაბუკი ქართველი მეკარე დავით ჯვარშეიშვილი ჩვენი ქვეყნის კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და საქმიანი ურთიერთობების საერთაშორისო ფონდის თავმჯდომარის ნიკო პატარქალიშვილის პირადი კონტაქტების მეშვეობით სტაჟირებაზე მარადონას სამშობლოში, უმაღლესი დივიზიონის კლუბ „ჩაკარიტა ხუნიორსში“ იმყოფება.

როგორც ამ დღეებში ბატონ ნიკოს არგენტინის ახალგაზრდა ფეხბურთელთა უმაღლესი მომზადების ცენტრის ხელმძღვანელმა და მთავარმა მწვრთნელმა ედუარდო ემილიო დელგადომ აცნობა, ჩვენი თანამემამულის დებიუტმა თავისი გუნდის სარეზერვო შემადგენლობაში ბრწყინვალედ ჩაიარა — სათადარიგოებმა 5:1 მოუგეს ამავე ასაკის (1985 წელს დაბადებულნი) ძირითად შემადგენლობას, რაც მნიშვნელოვანწილად დათოს დამსახურებით მომხდარა.

ჩვენი თანამემამულისგან ახალ-ახალ წარმატებებს ველით.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 84, ორშაბათი, 31 მარტი, 2003 წელი.

## ალბომი

# ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



ბაზინეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშათა სახელმწიფო ორდენებით დაჯილდოების მომენტი.

სხედან: აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია, ანდრია აფაქიძე, პროფესორი, არქეოლოგი ალექსანდრე კალანდაძე, მცხეთის რაიკომის პირველი მდივანი ნ. ქართველიშვილი, რაიაღმასკომის თავმჯდომარე კორახაშვილი, მეორე მდივანი მელიქიშვილი, ფინგანის გამგე შ. ლორია.

დაჯილდოებულთა სახელით სამადლობელ სიტყვას ამბობს არსენა გარსევანიშვილი. 1948 წელი.

ფოტო მოგვაწოდა თ. ზარაყანიშვილმა.

## ღიმილის დოზა



პატარა სერიოჟა:
— დედა, მეძახდი?
— არა.
— მამა, მეძახდი?
— არა.
— ბებია, ბაბუა, მეძახდით?
— არა.
— მაშინ შეკითხვას სხვაგვარად ჩამოვაყალიბებ: „ჩვენ დღეს რამეს შევჭამთ“?

* * *

ექიმმა მითხრა, რომ სამთო-სათხილამურო სპორტისადმი თანდაყოლილი მიდრეკილება მაქვს.
— რაში გამოიხატება?
— ძვლები სწრაფად მიხორცდება!

* * *

ორი ნაცნობი ერთმანეთს ქუჩაში ხვდება:
— გამარჯობა, სად მიდიხარ?
— გაგიმარჯოს, ნემსი უნდა გავიკეთო.
— პოლიკლინიკაში?
— არა, უკანალში.

* * *

— რით განსხვავდება გზაზე მანქანაგადავლილი ძაღლი მანქანაგადავლილი ავტოინსპექტორისგან?
— ძაღლის წინ ავტომანქანის დამუხრუჭების კვალი რჩება.

## მოდა

# დიზაინერებმა მამაკაცებისთვის მოიცალეს




პარიზში, მილანსა და რომში, ამჯერად გამართული გაზაფხული-ზაფხულის მოდის ჩვენებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მამაკაცებისთვის. მათთვის დიზაინერებმა წარმოადგინეს ყველანაირი მოდელი, როგორც ყოველდღიური, ასევე სოლიდური და საქმიანი საღამოსთვის.

უპირველესად, აღსანიშნავია ის, რომ მოდელიერებმა ამ ჩვენებისას, ხაზი გაუსვეს შავი ფერის თაყვანისცემას და თეთრი, ქათქათა საყელოს შესაძლებლობებით აღფრთოვანებას, რაც ძლიერი სქესის წარმომადგენლებს უდიდეს ესთეტურობასა და მიმზიდველობას ანიჭებს.

როგორც ყოველთვის, დიდი ფანტაზიითა და მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა კელვინ კლაინის, ჯორჯიო არმანის, იამამოტოს მოდელები. ისინი ამ სეზონისთვის სოლიდურ და ამასთანავე, მოდის მიმდევარ მამაკაცებს თავისუფალ, მსუბუქ და არამკაცრ პიჯაკებს სთავაზობენ, რომლებსაც სასურველია, იმავე ფერის და მასალის, ასევე, თავისუფალი, ცოტა განიერი და სწორი შარვლები ამშვენებდეს. აქ აუცილებელია ფერთა ტონალობის დაცვა, ანუ მკვეთრად განსხვავებული ფერის პიჯაკი და შარვალი ძველმოდურად ითვლება. მოდური ფერები კი, მამაკაცებისთვის, ამჯერად, შავი, ლურჯი, ცისფერი და უცვლელად — თეთრია. აღსანიშნავია ისიც, რომ პერანგი და ჰალსტუხი შეხამებული უნდა იყოს. მაგალითად, თეთრი პერანგი და ღია ცისფერი ჰალსტუხი, ან კრემისფერი პერანგი და კრემისფერივე ჰალსტუხი ყავისფერი ორნამენტებით, ანუ პერანგზე ჰალსტუხი არ უნდა „ყვიროდეს“.

და კიდევ, დიზაინერები მიიჩნევენ, რომ მამაკაცის ფეხსაცმელი ცოტა დიდი ზომისა უნდა იყოს... მოდის ეს ნიუანსი ცვალებადობას დიდი ხანია არ ემორჩილება, რასაც ლამაზად და მოხდენილად ჩაცმის მოყვარულები ყოველთვის ითვალისწინებენ.

და ბოლოს, სრულფასოვანი, მიმზიდველი და ესთეტური მამაკაცი წარმოუდგენელია სასიამოვნო, მოდური სურნელის გარეშე. მათთვის ყველაზე სასურველ, მოდურ სუნამოდ კი, ამჯერად, შანელის „ალურს“, ქივენშის „ობლიკს“, ელიზაბეტ არდენის „გრინ თისა“ და „კენზოს“ მიიჩნევენ.

ლელა დონაძე.

სურათზე: გაზაფხულ-ზაფხულის მოდელი.

## სევდის ბაღს შეველ

„მართალთა გზა დილის ნათელივითაა: უფროდაუფრო ნათდება დღის დადგომამდე“.
იგავი სოლომონისა, თავი 4.

# თემო – ჩვენი ჩირგო

ძნელია, ძალზე რთულია თემო ჩირგაძეზე წერა. დიდი პიროვნება იყო, განუმეორებელი და ნიჭიერებით გაპენტილი, განათლებული და მრავალმხრივი, არავის მსგავსი ამიტომაც.

მაგრამ მაინც არ მასვენებს ფიქრი თემოზე, გამოვა რამე? ვნახოთ...

* * *

... ამჯერადაც, რამდენიმე მეგობარი ვერაზე ვართ, გურამ ლორთქიფანიძის სახლში. ზოგი ახალ გაზეთებს ჩაჰკირკიტებს, ზოგი ნარდს თამაშობს, ზოგიც ტელევიზორს უყურებს.

კარზე ვიღაც აკაკუნებს.

— შემობრძანდით! როდის იყო ჩემი კარი ჩაკეტილი? — გაღიზიანებული ეხმაურება ახალმოსულებს ლორთქია.

ღიმილით ხელებგაშლილი შემოდის თემურ ჩირგაძე, აღმოსავლური ადათით გვესალმება და თავს გვიხრის.

უკან გიგო ბუაჩიძე მოჰყვება დინჯად. შექეიფიანებულები ჩანან.

— არ იშლით, ხომ თამაშს და ოინბაზობას, ყურუმსაღებო! გვტუქსავს ჩირგო — აბა, აალაგეთ ყველაფერი! კნიაზ ლორთქიფანიძე, სუფრა გაშალე, გამოიტანე, რაც გაგაჩნია!

ფეხზე დგას, არ ჯდება. სუფრა იშლება!

— Самозванцев мы не любим, но тамадой буду ... я, — არტისტულად აცხადებს და ღვინით სავსე ჭიქას მაღლა სწევს.

— სულ ცოტა ხნით შეგაწუხებთ, ძმებო! მერე ჩვენ ჩვენს საქმეს მივხედავთ, თქვენ — თქვენსას! მე არ შემიძლია, გვერდი ავუარო თემო ნაცვლიშვილისა და გურამ ლორთქიფანიძის სახლს, რა დროც უნდა იყოს, ღმერთი გამიწყრეს...

ლაპარაკობს მშვენიერი ქართულით, გამოკვეთილად, მისთვის დამახასიათებელი დიქციით, ორივე ხელი მაღლა აქვს აწეული, არტისტულად.

მონუსხულები ვუსმენთ! აღარც კი მახსოვს ჩვენი ახლობლობის რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში რამდენჯერ შევხვედრივარ, რამდენჯერ დავსწრებივარ მის განუმეორებელ თამადობას. ფანტასტიკურია! მისთვის სულერთია სამასკაციან სუფრას უძღვება თუ ხუთკაციანს, ერთნაირი ოსტატობით მიჰყავს ლხინი.

... გვეფერება, ოხუნჯობს, მღერის, მახვილსიტყვაობს, ჩამოქნილ გრძელ თითებს მეტყველად, ემოციურად, ამოძრავებს... მის ამ მანერას გიგა ლორთქიფანიძემ „თითების თეატრი“ შეარქვა.

წარსულის ამბებს იხსენებს, ზოგს ნამდვილს, ზოგს ახლა შეთხზულს, იმპროვიზებულს.

* * *

... კარიან ქალიშვილი ნინო და რძალი, ნათია მომეგებნენ, ლევანი მოვიკითხე — სამსახურშიაო, მითხრეს.

შუქი არ არის თემოს ბინაში, ცივა.

ქალბატონი კლარა მაგიდასთან ზის. ხმადაბლა მესაუბრება. ტკივილიანი იგონებს მეუღლეს, სიტყვაძუნწობს.

— სჯობს, მის მეგობრებს ესაუბროთ, უფრო ბევრი რამ ახსოვთ. რუსიკოც ნახეთ, თემიკოს და.

კლარა საქაღალდეებში გულდასმით ჩალაგებულ მოზრდილ შეკვრას მაწვდის.

ფანჯარასთან ვჯდები. ჩემს ხელთ უამრავი ფოტო, თემოს ჩანაწერები და ჟურნალ-გაზეთებია. ვათვალიერებ, მერე ვემშვიდობები მასპინძლებს და ნაღვლიანი ვეშვები კიბეებზე.

* * *

თემომ 1951 წელს დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი. მოხდა ისე, რომ სამხედრო ექიმად გაანაწილეს ავიაპოლკში რუსეთში, ტულუქსკის ოლქში, სოფელ ვორაცინსკში.

იქ რამდენიმე წელი იმსახურა. ყველას სიყვარული და სიმპათია დაიმსახურა, სხვანაირად არც შეიძლებოდა.

მისი მეგობრები: თამაზ მელიავა, ვახტანგ ფიფია, გია ბადრიძე, რეზო თაბუკაშვილი იმხანად მოსკოვში სწავლობდნენ და თემოს ხშირად აკითხავდნენ დაბაში.

„მეც ვესტუმრე ერთხელ, — იგონებს გიგა ლორთქიფანიძე, — პატარა ხის სახლში ცხოვრობდა. ფანჯარასთან იჯდა ჩაფიქრებული. მივაკაკუნე. გადაირია სიხარულით. სახლის პატრონს, ხანშიშესულ დიასახლისს, ჩემი თავი ასე გააცნო: საბჭოთა კავშირის გმირიაო, ყოფილი პარტიზანი, ფეხიც იქ დაკარგაო.

თემოსთან რამდენიმე დღე დავრჩი.

ცოტა ხნის წინათ, ყოფილი თეთრგვარდიელებისგან ვისწავლე სიმღერა „быстро, быстро до нельзя, дни пройдут как часы, лягут синие рельсы от Москвы до Чемсы“... და ასე შემდეგ. სხვათა შორის, მოგვიანებით ეს სიმღერა ძალზე პოპულარული გახდა. ჰოდა, როდესაც მოიცლიდა თემო, შემოვუჯდებოდით მწირ მაგიდას და ვმღეროდით. უცბად აითვისა მელოდია და ტექსტი: დანა-ჩანგლით, ჭურჭელზე ოსტატურად აყოლებდა ტაქტს.

ამ პერიოდში გია ბადრიძე დაქორწინდა მოსკოვში. თემომ უფროსობისაგან ნებართვა აიღო და დედაქალაქს ეწვია.

გალაღდა, გაშალა ფრთები თემომ. მხიარულად და ტკბილად გაატარა რამდენიმე დღე. ისე გაუტკბა იქაურობა, რომ ოთხი დღე გადააცილა ვადას. ბიჭებმა ძალით გაისტუმრეს ნაწილში. სამსახურშიც გავიდა, მაგრამ ერთი კვირის შემდეგ დააპატიმრეს „დეზერტირობის“ მუხლით და ტრიბუნალს გადასცეს.

1956 წელი, ხრუშჩოვის ხანა... საჩვენებელი სასამართლოს მოწყობა უნდოდათ. სასამართლო სხვადასხვა მიზეზის გამო არ შედგა.

საქმე მოსკოვში გადაიტანეს. გაასამართლეს, სამი წლით პატიმრობა მიუსაჯეს და გორკის ოლქში გადაასახლეს. ერთ წელიწადზე მეტი იჯდა ბანაკში, თავის სპეციალობით მუშაობდა. „აქ უკეთესად ვარო“, — ამშვიდებდა წერილებში თავისიანებს.

მერე დაბრუნდა თბილისში.

„დიდად საინტერესო კაცი იყო, — იგონებს ბატონი გიგა, — ქართული და რუსული თეატრების შემოქმედების მცოდნე. ერთხელ მირეკავს ხმაშეცვლილი: მე ქართული თეატრის დიდი მოყვარული ვარ და ძალზე მწყდება გული ძველი მსახიობებიდან არეთა ნინუა და ელენე სიბილა რომ დაივიწყეთო. დავიბენი, თავის მართლება დავიწყე. მერე აკისკისდა — თემო ვარ, გიგა, თემო! დამამშვიდა. აფსუსი არ არის, პროფესიონალი მსახიობი



რომ არ იყო... ერთხელ თბილისში სერგეი ბონდარჩუკი გვეწვია. ელდარ შენგელაიას სახლში მივიწვიეთ. რა თქმა უნდა, სუფრას თემო უძღვებოდა. ბონდარჩუკი გაოცებული და აღფრთოვანებული ადევნებდა თვალს თამადას. რამდენიმეჯერ გაიმეორა — მე ერთი მსახიობის თეატრი „ბლეფი“ მეგონა, ახლა კი მივხვდი, ეს რა ყოფილაო!

— ვერ გამოვიყენეთ თემოს ნიჭიერება ვერც კინოში და ვერც თეატრში. ელდარმა დაგვადგა თავი: ჯერ „არაჩვეულებრივ გამოფენაში“ ეპიზოდურ როლში მიიწვია. მერე კი ბრწყინვალე ფილმში „ცისფერ მთებში“, მთავარ როლზე იქ გამოჩნდა მისი დიდი ტალანტი. მის მიერ განსახიერებული „ზაზაევიჩი“ ლეგენდად შემორჩება ქართულ კინემატოგრაფიას, — აგრძელებს ბატონი გიგა.

* * *

მე კი, ახლა რატომღაც თვალწინ მიდგას ერთ რუსულ ქოხში, ფანჯარასთან მჯდარი ნაღვლიანი თემიკო. გულისგამაწვრილებელი ქარი ზმუის და კარფანჯრებს აწყდება. ნეტავ, როდის გავა ზამთარი?

გურამ გომართელი.



ძმა მამია ჭოხონელიძე, რძალი თამარა ნარსია, შვილები ლია, მარიკა ჭოხონელიძეები, სიძეები საშა გულიაშვილი, ვაჟა მშვიდობაძე, შვილიშვილები ალეკო, დავით გულიაშვილები, და თამრიკო მშვიდობაძე, ძმისწული ირინა ჭოხონელიძე, მძახლები ვანო, ევგენია გულიაშვილები, რევო, ემილია მშვიდობაძეები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მირიან ვარლამის ძე ჭოხონელიძე

პანაშვიდი 1, 2, IV, 4 სთ. გამოსვენება 3 IV, 2 სთ. ნუცუბიძის IV მ/რ, კორპუსი 28, სადარბაზო I, IV სართული (დაკრძალვა კუკიაზე).

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-2002“

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, ვახტანგ ბელაშვილი, გურამ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი რუსლან რუსია.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24. სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა — sakresp@gol.ge